ზემოთთქმული ეს ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი მიუღებელია ასეთი რანგის გადაწყვეტილებისათვის და სათანადო გამოკვლევის საგანია! განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც უკვე 34 წელია და დღესაც დე იურე საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური ყველა შესაბამისი კონსტიტუციური სტატუსითა და უფლება-მოვალეობებით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინების“ წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციები, და ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭო როგორც დე იურე საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური მხარე, მოვითხოვთ და მოგმართავთ, აღსრულდეს საერთაშორისო სამართლის და დემოკრატიის პრინციპი და დაინიშნოს სამართლებრივად ლეგიტიმური არჩევნები, რის მიხედვითაც აღდგება საქართველოს რესპუბლიკის სტატუსი, შესწორება მოხდეს გაეროს გადაწყვეტილებაში 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის საფუძველზე, მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის და 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით და აღსრულდეს სამართლიანობა.

მეურობით დავებრუნდებით სამართლებრივ პერიოდს, 1991 წლის დეკემბრის პერიოდს, შეგახსენებთ, რომ ექსტრემისტული ძალების გარედან უხეში ჩარევის შედეგად მალევე აწყობენ სახელმწიფო-სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას, დევნიან კანონიერ ხელისუფლებას, ქვეყანაში იწყებენ ტერორსა და ძალადობას.

ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში 1991-93 წლების შეიარაღებული, სისხლიანი სახელმწიფო, სამხედრო, კრიმინალური გადატრიალების გზით დაამხეს კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და შესაძლებლობა მოუსპეს ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრიობის ალორძინებისა და განვითარების მიმართულებით, დაამკვიდრეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი.

ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება.

დღეს საქართველო კვლავ ქვეყნის არაკანონიერ დე ფაქტო ხელისუფალთა შეცვლა-ჩანაცვლების არასამართლებრივ და არალეგიტიმურ პროცესშია. მიმდინარეობს ე. წ. „დემოკრატიულ არჩევნებში“ მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები.

საგულისხმოა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის, აშშ ჰელსინკის კომისიის, და 34 ქვეყნის, ასევე ჰელსინკის კავშირების 33 წლიანი სიჩუმე და იგნორირება ამ მეტად მნიშვნელოვანი თემისა, მიუხედავად მრავალწლიანი ხმამაღალი შეხსენებისა, რომ მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი- ეროვნული ალორძინება“ როგორც ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია და დღეს როგორც პოლიტიკური გაერთიანება, როგორც ჰელსინკის ჯგუფის და ხელშეკრულების ხელმომწერი მხარე გმობს როგორც ქვეყნის შიგნით გადატრიალებას, ასევე არალეგიტიმურ არჩევნებს, და ითხოვს ჰელსინკის აქტის ხელმომწერი ქვეყნებიდან სათანადო რეაქციას. დღეს კი ჩვენ ვხედავთ აშშ-ს ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარის ცალმხრივ და მიკერძოებულ განცხადებას, რომ ქართული ოცნების დე ფაქტო მთავრობა ლეგიტიმური არ არის, თუმცა არ ითქვა რომ დე ფაქტო და არალეგიტიმურია, ასევე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც, თავმჯდომარეს ასევე, მიუხედავად მრავალწლიანი მიმოწერისა, საერთოდ არ უხსენებია და დამალა, რომ არსებობს საქართველოს რესპუბლიკის დე იურე კანონიერი მთავრობა, ვფიქრობთ რომ ეს გაუმართლებელი ფაქტი, რომელიც საჯარო გახდება აშშ-ს 47 პრეზიდენტის, დონალდ ჯ. ტრამპის და მისი ადმინისტრაციისთვის, ძალზედ შემამფოთებელი და მიუღებელი გახდება, შესაბამისად ექნება მტკიცე რეაგირება.

მხოლოდ სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი. აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმური, სამართლებრივი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი და აუცილებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების რეალურად შექმნა. ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის

მთავრობის მიზანი არ არის თანამდებობების დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის პირობებში კანონიერი ხელისუფლების აღდგენა.

პრეცედენტული და მისასალმებელია, რომ დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, დე იურე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლობა, ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით. დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც რეალურად შესაძლებელია მისი ერთიანი, კანონიერი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ბაზის ფაქტობრივი მოქმედება.

მიგვაჩნია, რომ აშშ-ს ჰელსინკის კომისია ვალდებულია აღიაროს, 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკაში, სახელმწიფო-სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალება, ასევე დღეს არსებული კანონიერი ხელისუფლება და მხარი დაუჭიროს სამართალმემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენას, რაც გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის და ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც.

აქვე შეგახსენებთ, რომ დე ფაქტო, საქართველოს უკანონო მთავრობის მხრიდან მოდიფიცირებული და განსხვავებული ვიდრე კლასიკური ევროპული ვექტორისა და კურსისა, და მისი არჩევა გახლდათ საქართველოსთვის, არალეგიტიმური, მითუმეტეს უკანონოდ და შესაბამისად არასამართლიანად ამ პოზიციის დაფიქსირება საქართველოს კონსტიტუციაში წარმოადგენს დანაშაულს საქართველოს რესპუბლიკის მკვიდრი ხალხის წინაშე.

ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინება და აღმშენებლობა. თავისუფლება კი უფლებებისა და მოვალეობების გონივრული განონასწორებას წარმოადგენს. ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ XX საუკუნის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლას თავისი ისტორია აქვს და იგი დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელთან, რომლის თაოსნობით 1976 წელს შეიქმნა „ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის“ ხელშემწყობი ჯგუფი. 1989 წლის მაისიდან „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“ გაიზარდა და გარდაიქმნა „საქართველოს ჰელსინკის კავშირად“, ხოლო ოქტომბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებად“ (შემოკლებულად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“). მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

უკანასკნელი 33 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა, უაღრესად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა 1975 წლის ზაფხულში ფინეთის დედაქალაქში დაწყებული პროცესი, რომელიც დაგვირგვინდა „ჰელსინკის შეთანხმებით და რომელსაც 35 მონაწილე სახელმწიფომ, ხელი მოაწერა საბოლოო აქტს, რათა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

მხარეებს შორის მოღპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა 10 პუნქტიანი ხელშეკრულება რომელშიცაა:

- სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტის თანდაყოლილი უფლებების პატივისცემა;
- მუქარისგან ან ძალის გამოყენებისგან თავის შეკავება;
- საზღვრების ხელშეუხებლობა;
- სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა;
- ღაგების მშვიდობიანი გადაწყვეტა;
- შიდა საქმეებში არ ჩარევა;
- ადამიანის უფლებების პატივისცემა, მათ შორის, სიტყვის, სინდისის, რელიგიის და გადაადგილების თავისუფლება;
- ხალხთა თანაბარი უფლებები და თვითგამორკვევა;
- სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა;
- საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება;

მეორე კალათა გვპირდებოდა ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ თანამშრომლობას; საქმიანი კონტაქტებისა და სამრეწველო თანამშრომლობის ხელშეწყობა, სატრანსპორტო გზების ერთმანეთთან დაკავშირება და ინფორმაციის ნაკადის ზრდა.

მესამე კალათა მოიცავდა ვალდებულებებს ოჯახის გაერთიანების, ქორწინებისა და მოგზაურობის ადამიანური კონტექსტის გაუმჯობესებაზე. ის ასევე ცდილობდა ჟურნალისტების პირობების გაუმჯობესებას და კულტურული გაცვლის გაფართოებას.

მეოთხე კალათა ეხებოდა განხორციელების მონიტორინგისა და მომავალი შეხვედრების დაგეგმვის პროცედურებს.

შეყრდნობით რა საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან ზემოთხსენებული შეთანხმების კეთილსინდისიერად შესრულებას, ვაცხადებთ, რომ დღეს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინებას“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად შემუშავებული აქვს კონკრეტული საკანონმდებლო პროექტები, იგი იყო, არის და მომავალშიც სურს იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხებში მებრძოლი რეალური ძალა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მასთან ლეგიტიმური ხელისუფლების მმართველი პარტია - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“ მუდმივ კავშირშია და იმედოვნებს, რომ სრული მხარდაჭერა ექნება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში საერთაშორისო თანამეგობრობისაგან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებისგან.

შეგახსენებთ:

„ჰელსინკის დოკუმენტები მოიცავს პოლიტიკურ და მორალურ ვალდებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს დაძაბულობის შემცირებას და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხებს შორის კომუნიკაციის ხაზების შემდგომ გახსნას. ... ჩვენ არ ვასრულებთ არაფერზე მეტ ვალდებულებას, რის მიღმაც უკვე ვართ ვალდებულნი ჩვენი საკუთარი მორალური და სამართლებრივი სტანდარტებით და უფრო ფორმალური ხელშეკრულებებით, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. ... თუ ეს ყველაფერი ვერ მოხერხდა, ევროპა არ იქნება იმაზე უარესი, ვიდრე ახლაა. თუ მისი ნაწილიც კი წარმატებას მიაღწია, აღმოსავლეთ ევროპაში ხალხი ბევრად უკეთესი იქნება და თავისუფლების საქმე სულ ცოტა შორს წავა“

ჰენრი ფორდი 1975

ამიტომაც საქართველოს რესპუბლიკის სახით დემოკრატიული, ლეგიტიმური და თავისუფალი ქვეყნის მიერ უნდა ჩატარდეს ასევე ურთიერთ შეთანხმებითი, სახელმწიფოსა, თუ ნებისმიერ ორგანიზაციათა მიერ, ნებისთ, თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომებისა და არასწორი გადაწყვეტილებების უთუო და აუცილებელი გამოსწორებისათვის სრული პოლიტიკური და სამართლებრივი ლუსტრაციის განხორციელება, (სხვა შემთხვევაში უკვე მომზადებულია ლუსტრაციის კანონი და სამართლიანი მოთხოვნები მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოზე წარსადგენად), რაც თავისთავად ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე მთელს ცივილიზებულ სამყაროში ორმხრივი სინანულის, საჭიროებისამებრ მონანიებისა და თანხმობა-შერიგების გარდაუვალ პროცესებს;

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაური

მიორგი წივნივაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინების“ თავმჯდომარე

მალხაზ მუსერაძე

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე

რატი მაგოშიძე



მკბ
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული ადორძინების“

პრეზიდენტის წევრი,
კავშირის თავმჯდომარე

2013 - 2017 წლებში

ლექსი, ხალხური!

შემოდგომის ერთ მზიან შუადღეს, მთიანი სოფლისკენ მიმავალ გზაზე, უცხო მანქანა გამოჩნდა. სტუმარი მეტად პატივცემული ადამიანი აღმოჩნდა: სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე! პოეტმა გიორგი თურმანაულის სახლი იკითხა. მიასწავლეს.

- გიორგი, „მაჰკვდია ბეჩავ იერემო“, შენი ლექსია?
- რა ვიცი, თქვენ კი დასწერეთ, „ხალხური“ და...
- არ ვიცოდით მაშინ, არა.
- ეხლა ხო გაიგეთ?!
- გავიგეთ და მაგიტომ ამოვედი: სახალხო პოეტების დიდი კონცერტი იმართება თბილისში. იქ გამოგაცხადებენ და ლექსსაც წაგაკითხებენ.
- მე აქაც კარგად ვარ. თქვენ ისე მოიქეცით, როგორც გინდოდეთ . . .

ეს ლექსი თავად მეც, როგორც ხალხური, ასე გავიცანი იმ, შორეული ახალგაზრდობის წლებში. გამოგნებელი იყო უცნობი პოეტის ფილოსოფიური ხედვა, სიკვდილ-სიცოცხლის აღქმა... გულს მიკლავდა იმაზე ფიქრი, რომ არ იძებნებოდა არანაირი ინფორმაცია ამ გენიალური ლექსის ავტორის შესახებ. საბედნიეროდ, არც თუ დიდი ხნის წინ წავაწყდი ზემოთ მოყვანილ ამბავს ავტორისა და მისი ლექსის შესახებ, რომელიც სრული სახით ასეთია:

მაჰკვდია ბეჩავ იერემო,
დასდევს სიღარიბის ჯოხი,
მიწანიმც დაილოცებიან,
შიშველნი დაგიფარა ხორცნი!

ღმერთი უშველის საწუთროსა,
რა ლამაზ ექიმ მოგიყვანა!
ღმერთი უშველის სიკვდილსა,
შენ კვნესა აღარ გამაგონა!

„ბინდისფერია სოფელი“




ოთხმოციანი წლების ბოლოს თბილისის ცენტრალურ ქუჩებს მოდებულმა გიგანტურმა ტალღამ ეროვნული მოძრაობისა, არაერთი გმირი მამულიშვილის ვინაობა შეახსენა სამოცდაათწლიანი ძილიდან გამოფხიზლებულ ერს. ილიას პორტრეტის გვერდით ვიღაც ბოხოხიანი კაცის სურათმა ძალზედ დააბნია ხალხი. მაშინ თითო-ორი ადამიანი თუ იცოდა, რომ ეს იყო შემდგომში ეროვნულ გმირად შერაცხული, ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი.

ჰოდა, ქაქუცა რომ არ ვიცოდით, მისი თანამებრძოლი, მიხა ხელაშვილი ვიღაც ეცოდინებოდა?! არადა მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები: „ლექსო ამოგთქომ“ და „ბინდისფერია სოფელი“ მთელ საქართველოს ეფინებოდა სევდიან ჰიმნებად სახალხო დღესასწაულებზე, საკონცერტო დარბაზებში... ერთი ეგ არის, რომ ლექსის ავტორად „ხალხურიო“ ასე აცხადებდნენ, ასე ეწერა წიგნებში.

უიღბლო იყო: საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა, სიკვდილის აჩრდილი ფეხდაფეხ სდევდა. 1925 წლის 25 იანვარს, ოცდახუთი წლის რომ შესრულდა, იმ დღეს, ბავშვობის მეგობრებმა: ლუკა მარცვალაძემ და ლევან გარსევანიშვილმა სასმელში გარეული ბანგით გათიშეს; სახლის ეზოში დამალულმა ვახტანგ რაზიკაშვილმა (ვაჟა-ფშაველას გერმა) თავში მიბჯენით ორი ტყვია დაახალა; დუშეთში მილიციის წინ ორი კვირის მანძილზე ეგდო მისი ცხედარი; მისმა დამ მოიპარა, ხანჯლით დარეხილი ცხედარი ხურჯინში ჩააწყო, ჩარგალში აიტანა და დედის გვერდით დაასაფლავა, მისმა მკვლელმა, მოკლულის ცოლი შეირთო... და გაქრა მისი ხსენება - ამისთვის საბჭოთა ხელისუფლებამ იბრუნა. ასე გადაიქცა მიხა ხელაშვილის ლექსები ხალხურად.

... ერთ რამეში ჰქონია ბედი, მთავარში: ეროვნულმა მთავრობამ და ქართველმა ხალხმა ეროვნულ გმირად აღიარა!



პორტრეტი

ჟურნალის გარეკანზე მოთავსებული, ზვიად გამსახურდიას პორტრეტის ავტორი, ერთი კარგი ქართველი კაცი, ვალერი კილასონია.

ორიათასიანების დასაწყისში გავიცანი ერთმანეთი. ვალერი, პროფესიით არქიტექტორი იყო. საქმიანი ურთიერთობა მალე მეგობრობაში გადაიზარდა.

ზაფხულის ერთ საღამოს, მე და რამდენიმე საერთო ნაცნობი ოჯახურ ვახშამზე დაგვპატიჟა. ვიდრე დიასახლისი სუფრას გააწყობდა, ვალერიმ მითხრა: გამომყევი, რაღაც მინდა განახლო.

გვერდით, მოზრდილი ოთახის კედლებზე ნაირგვარი ნახატები ეკიდა: პეიზაჟი, ნატურმორტი, აბსტრაქცია, პორტრეტები. მხატვრობაში დიდად განსწავლული არ ვარ, მაგრამ ემოციურად, ნანახმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

განსაკუთრებით, ზვიადის პორტრეტმა. - ვინ არის ამ დიდებული ნახატების ავტორი? ვიკითხე გულწრფელად აღფრთოვანებულმა. - მე. - მიპასუხა მასპინძელმა, მისთვის დამახასიათებელი, მორიდებული ღიმილით. „- ეს ნახატი რომ მაყიდინა!“ - გავიფიქრე გუნებაში. მისთვის რომ რაიმე უხერხულობა არ შემექმნა, გადავწყვიტე, ჩემი შანსი შეფარული კითხვებით გამერკვია: - ვალერი, ამ ნახატებს აგროვებ, თუ ყიდი კიდევაც? - რამდენიმე გამოფენა-გაყიდვა მაქვს მოწყობილი. - და რა ფასში იყიდება? - გააჩნია, რომელი, როგორ. - მაგალითად... მაგალითად აი, ის, ზვიადის პორტრეტი. აქ, ვალერიმ ისევ გაიღიმა და მიპასუხა: - მაგას არანაირ ფასად არ გაყიდი! - გასაგებია, გეთანხმები!


ამ დროს დიასახლისმა სუფრასთან მიგვიწვია.

ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა.

სამძიმარზე მისული, დასახლისმა გვერდით გამიხმო: - თქვენი სტუმრობის შემდეგ, ჩემმა ქმარმა მითხრა: „შევატყვე, ნოდარს, ზვიადის პორტრეტი მოეწონა. ნოემბერში დაბადების დღე აქვს და გადავწყვიტე, მაშინ ვაჩუქო“.

ასე, რომ, გთხოვთ, მიიღოთ ეს ნახატი როგორც საჩუქარი და ვალერის სახსოვარი!

ნოდარ კიკნაძე



მერაბ კოსტავა

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

საკანი. სენაკს მაგონებს იგი, პატიმარი - მეუდაბნოეს არანებაყოფლობითს. ასე განსაჯეთ, აქ იძულებით უნდა დავატყვევო ჩემსავე თავში უსასრულო წყება სურვილებისა, სამშვივნელისეული ქაოსის უმისამართო ენერგიით აღძრულები ლტოლვები, რომელთა დასადავება, გათოკვა და ჭკუაზე მოყვანა მეუდაბნოეთა, განდგომილთა სანუკვარი მიზანია.

მეც აღარ დავაყოვნე და უმკაცრესი კანონმდებელივით სანქცია დავადე ჩემს აბეზარ სურვილებს, გარდაუვალობის ძალით სათითაოდ დავატუსაღე და შევუდექი მათ უღმობელ განკითხვას. გაუჩინარდა გლუვი გველაძუა, ნაირფერად აელვარებული ხატება მათი. შეწყდა მათი მოუსვენარი, საყვედურით აღსავსე სისინი. მოისვენა სხეულმა, და სადღაც, გონებაში აკიაფდა სიმშვიდის მომგვრელი კანდელი სულისმიერი.

სარკმლის დამხანჯლავი სინათლე შთენილა მარტოოდენ ერთადერთ, ჩაუფერფლავ სურვილად. ცის ნაფლეთები მარადისობის ღურჯი იებივით მოსდგომიან ცხაურის ვიწრო სამზერებს. თვალბუდეები ძლივსდა ამაგრებენ უსასრულობის მირაჟით დატყვევებულ თვალებს. შორს, კაპადონზე იალქანივით ლაპლაპებს სივრცეში მონავარდე მტრედი. უცნაურად ენამჭევრობს იგი, როცა ფერმწერის სიმსუბუქით ჰაერში ავლებს იდუმალ ხაზებს. ნეტა თუ ფიქრობს, ამ ფარულ ნიშნებს აღმოუჩინოს სადმე წამკითხველი. ამაოდ, რადგან ისტორიის სათავეებთან აღმართული გასაოცარი სახე კალხასისა, ჩვენმა აკადემიურმა საუკუნემ არათუ ანაქრონიზმად, ბაღლობისჟამიმდელი „უმეცარი“ კაცობრიობის მონაჩმახად მიიჩნია, როგორც ყოველივე მითოლოგიური.

რაოდენი თავისუფლებაა, საოცარო ფრინველო შენს მოძრაობაში! განუსაზღვრელი ექსტაზი სივრცეთა შთანანთქმისა, ერთდროულად ყველგან ყოფნის სურვილი. თავისუფლება დიახაც ჰგულისხმობს ყოვლისმომცველობას და შენ უთუოდ ჰფლობ მას სივრცეში, რომლის სინაკლებესაც მომეტებულად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგრამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ, უსპეტაკესო: კიდევ მეტად რომ

დავინროვდეს საკანი, თუნდ რომ დაიძრნენ და კუბოს ფიცრებივით შემომეჭდონ მისი კედლები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი. შენ სივრცეებმა გასწავლეს ფრენა, მზემ ოქროს ცვარში ამოავლო საშურველი სითეთრე შენი სხეულისა. მიწამდე დაჰყვინთავ და წამისყოფაზე უმაღლესი დიდებული მნათობის კალთასთან ნებიერად ამოჰყვინთავ ფირუზოვან თვალსაწიერის მეუფე, მაგრამ მაგრამ ვერ მომატყუებს ეგ შენი თავდავინყებამდე დაუცხრომელი ნავარდი. არამც და არამც შენ არა ხარ თავისუფლება, არამედ მართოდენ სიმბოლო ხარ თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლება აქ, ამ კუბოსდარ, ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის ხანგრძლივ მოწყენილობაში იბადება იგი. უჩინრად ისახება ენერგიულ ფიქრებში, დაიძვრის, როგორც მდინარე მესხიერებისა და მიეშურება ჩემივე ცხოვრების სათავისაკენ. დავინყების უფსკრულიდან მოუხმობს გარდასულ სახეებს, აწ განვლილ ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ნაფიქრ--ნაგრძნობსა თუ წარმოსახვაში აელვარებულ სურათ-ხატებს. ხელახლა აცოცხლებს, ახლებურად წარმოგვიჩენს მტერსა და მოყვარეს და შენში ჰბადებს ახალ თვალს, თვალს მსაჯულს, შენივე სიღრმისაკენ მიქცეულს, რომელიც დაწვრილებით გამოიწვლილავს მთელ შენს წარსულს, შენს ნამოქმედარს, ნათქვამს, გულისნადებსა და ნააზრევს, ადამიანებისადმი მიმართებას, პიუთვნელობის უქცეველი სასწორით ასწონის ყოველივეს, ნაწევარებს გაამთლიანებს, მიზეზებიდან გამოიყვანს შედეგებს და შედეგებიდან კვლავ მიგაბრუნებს მიზეზებისაკენ, რითაც გასწავლის კითხვას დრო-ჟამისულ კანონებში არეკლილი ბედისწერის წიგნისას. დრო-ჟამისულ მდინარებაში გასწავლის ნავარდს, ისე, ვით შენ დანავარდობ, საოცარო ფრინველო, უკიდევანო სივრცეში. სინანულის საკურთხეველთან განბანილს, სინდისის ცეცხლში გამოგანართობს, საკუთარ თავს, საკუთარ ჭეშმარიტ არსს გაპოვნინებს, სიქველის საწყისსა და უჟამობის სამანებს მიგაახლებს. და მაშინ, ამ ახალი სიმაღლიდან, განახლებულის სულითა და შემართებით გააცნობიერებ და გადააფასებ ნებისმიერ არსებას, ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენას და ისეთ უმნიშვნელო გასაჭირსაც, როგორიცაა პატიმრობა, ოთხკედელშუა გამომწყვდევა, გიხსნის და რაც მთავარია, დასაბამს აძლევს შენში ახალ, ჭეშმარიტ ცხოვრებას, შინაგანი შუქით გასხივოსნებულს.

მაშ ასე, სივრცეების პატარა ბინადარო, შენ მხოლოდ მშვენიერი სიმბოლო ხარ იმ თავისუფლების, ამ ბნელ საკანში რომ იწყო აღმოცენება. ოდესღაც მტრედისფერი დაარქვეს რიჭრაჟს, როცა კაცობრიული ცნობიერების გარიჟრაჟზე პატრიარქთა დადმა წინაპარმა ნოემ წარღვნისეულ სტიქიათა დაცხრომისას გამოგტყორცნა კიდობანიდან, როგორც მაცნე გადარჩენილი კაცობრიობის ახალ საფეხურზე აღზევებისა, და შენ მაშინ, ცნობიერების გარიჟრაჟის სიმბოლოდ იქეცი. სპეტაკზე უსპეტაკესად გიხილა ზეცით გარდამოსული იორდანეზე, წინამორბედმან უფლისამან და ნათლისმცემელმა, როცა ლაჟვარდოვანი სიწმინდის მისაღებად მოიწიფა კაცობრიული გონი, და ეს ახალი, განწმენდილი ცნობიერება მიგვაახლებს ჭეშმარიტებას, ხოლო ჭეშმარიტება თავისუფლების ძალუმი ფრთებით გვაუწევებს.

ანგელოსის ორი ფრთა ფრესკაზე მაღალი ცნობიერი ცხოვრების ხატია, ხოლო ქერუბიმის ექვსი ფრთა - ხატი განუსაზღვრელად უფრო მაღალი ცნობიერებისა და ვინ უნდა გაგიმართოს მზერა შენ, უფალო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველივეს აღავსებ მაღლითა შენითა?! ეს შენ მოგვივლინე სულიწმინდის ხატად ელვარე ნიშბით მოსილი პატარა მტრედი სხეულისმიერი საკანის წიაღში რომ აღგვინთებს ცნობიერების კნადელს და გვაზიარებს ანგელოსურ ბუნებას შენსას, უკვდავებისა და თავისუფლების საწინდარს. ჭეშმარიტად არსებობს შენგან დადგენილი, ცით დედამიწამდე დამავალი და მიწით ზეცამდე აღმავალი ანგელოსური კიბე ცნობიერების ხარისხებისა, შენგან რჩეული ერის ნუგეზად რომ იხილა ოდესღაც ბიბლიურმა იაკობმა. შენა ხარ, მტრედო, ხატი ცნობიერების ამ სიმაღლეთა ერთიანობისა. ვუმზერ სივრცეში შენს დაუსრულებელ ნავარდს, როგორც ჩემი სულის პროექციას გარე სამყაროში და ვტკბები მშვენიერი სიმბოლოთი, რომლის ჭეშმარიტმა არსმა ჩემშივე დაიწყო აღმოცენება.

ჩვენი ფოსტალიონი

ეს ქალი ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობის დროიდან მახსოვს: ჩვენი უბნის ფოსტალიონი იყო. ასაკით, ალბათ, ჩემი მშობლების ტოლი. გრძელქამრიანი, გაცვეთილი ტყავის ჩანთა ჰქონდა მხარიღლივ გადაკიდებული. ისეთი, სერგო ზაქარიადეს რომ აქვს ფილმში, ოღონდ, უფრო პატარა, ქალისთვის შესაფერისი. კაფანდარა გოგო იყო, უგემოვნოდ ჩაცმული (ეგებ, სხვა ჩასაცმელი არც ჰქონდა!). ენა ეჩლიქებოდა. ცოტას, თითქოს, წაისულელებდა კიდევ. მოჰქონდა დეპეშები, წერილები, შეტყობინებები ამანათის შესახებ. თუ დეპეშა სასიხარულო იყო (მილოცვა, ქორწილში დაპატიჟება...) ადრესატის გვარს ეზოშივე დაჰკივლებდა. თუ გამოეხმაურებოდნენ, სწრაფად აირბენდა სადარბაზოს საფეხურებს, დეპეშას გადასცემდა, ქვითარზე ხელს მოაწერინებდა და მერე კისრის მიგრებით, მორცხვად ჩაილიმებდა, გასამრჯელოს მოლოდინში. როცა დეპეშა უბედურების მაუწყებელი, ან სამძიმრისა იყო, ფრთხილად დააკაკუნებდა კარზე, მიუსამძიმრებდა და ისევ კისერმიგრებით, ოღონდ ამჯერად დამწუხრებული სახით ელოდებოდა ხელმოწერილ ქვითარსა და ხურდა ფულს.

მე ყოველთვის ვფრთხილობდი მის დანახვაზე: მეშინოდა, ვინმეს სიკვდილის ამბავი არ მოეტანა. ისიც მალიზიანებდა, რომ მოვალეობის შესრულებისათვის გასამრჯელოს იღებდა. იმ დროინდელ თბილისში მათხოვარიც იშვიათად შეგხვდებოდათ, მით უმეტეს, ხელფასის მქონე ადამიანი, მოწყალებას რისთვის ითხოვდა, ვერ გამეგო.

მოვიდა ახალი დროება. დიდ ბედნიერებას დიდი უბედურება მოჰყვა: "თბილისის ომი", სამეგრელო, აფხაზეთი. . . ვიღას ახსოვდა ფოსტა-ტელგრაფი, ვიღას ჭირდებოდა ფოსტალიონი. ცუდი ამბები ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად იქცა. კარგი ამბის გაგება სანატრელი გახდა. ჩვენი ფოსტალიონი თითქმის ათი წლის განმავლობაში არ მინახავს.

და აი, გაზაფხულის ერთ მზიან დღეს, კეკელიძის ქუჩის დასაწყისში, შუქნიშანთან გამოჩნდა: ერთ, ამოჩემებულ ადგილას იდგა ხოლმე, დაბერებული, ჩამოძონძილი. ჩანთის ნაცვლად, ახლა, xelჯიხი უმშვენებდა გვერდს. ისევ ძველებურად, კისრისმიქცევით, მორცხვად ხელგაშვებული იდგა. გახევებული, უაზრო, უიმედო. თითქოს, მისთვის ამ შუქნიშანზე მუდამ წითელი ენთო. თითქოს, მისთვის მწვანე აღარასოდეს აინთებოდა...

ჩვენი ქუჩის ძველმა მაცხოვრებლებმა გავიხარეთ. ქალები გამოეცნაურნენ, რაღაც-რაღაცებს ჩუქნიდნენ; კაცები მცირეოდენ ფულს ყოველთვის ვაძლევდით.

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი შეხვედრები: ეს, სამათხოვროდ მეტად სარფიანი ადგილი, მათხოვრების ერთმა ბანდამ ჩაიგდო ხელში: ყავარჯნებიანი, საშინლად აგრესიული ქალი; აბეზარი გოგო-ბიჭი და თმა-წვერ გაბურძენილი, ზორბა კაცი, რომელიც ჩემი სტუდენტობისას კინო "ოქტომბერთან" ბილეთებს ყიდდა ზედმეტ ფასში - ასეთი იყო ამ ჯგუფის შემადგენლობა. ისევ დამეკარგა ჩვენი ფოსტალიონი. ვინ იცის, ეგებ აღარც არის-მეთქი ცოცხალი - ვფიქრობდი.

რამდენიმე თვის შემდეგ, კოსტავას ქუჩაზე ფეხით მომავალმა, რედაქცასთან, კედლის ძირას ჩამჯდარი ვნახე: თავჩაქინდრულს, ეძინა. მარჯვენა ხელი სამათხოვროდ გამოშვებული დარჩენოდა. ჯიბე მოვიჩხრიკე, რაც ფული მქონდა, გაშლილ ხელში ჩავუდე და თითებიც მოვაკეცინე - ფული რომ არ დაკარგოდა. თვალი არ გაუხელია. არც შერხეულა. ეგებ არც გაუგია არაფერი. ეგებ ფული აღარც სჭირდებოდა. თითქოს, ახლა, ის კვლავაც ფოსტალიონი იყო, რომელსაც ერთადერთი და ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა დარჩენილი: უკანასკნელი წერილი მიჰქონდა.

ნოდარ კიკნაძე

წარწერა საფლავის ქვაზე

მთანმინდაზე, მამა დავითის სახელობის ეკლესიის იატაკი მოფენილია სხვადასხვა საფლავებით: საეკლესიო პირები, გენერლები, დიდი თავადები ... ერთი, მათშორის, ასეთიც:

ვდოვა გენერალ-მაიორა კნიაგინია
სიდონია ზახარიევნა სავარსამიძე
სკონჩ. 20 ფევრალია 1836 გ.

ორი მიზეზის გამო მიიქცია ჩემი ყურადღება ამ საფლავმა: პირველი ისაა, რომ ეს ამ გვარის ადამიანი, ჩემი არცთუ მცირე ხნის სიცოცხლის მანძილზე, არსად შემხვედრია. მხოლოდ, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილშია“ ასეთი გმირი: კონსტანტინე სავარსამიძე.

მეორე მიზეზი, ამ წარწერის ბუნდოვანი შინაარსია: არ არის მითითებული ქალბატონის დაბადების წელი, ან ასაკი; არ გვამცნობენ გენერალ-მაიორი მეუღლის გვარს.

მაინც რა მოხდა, ქალბატონო სიდონია? ვინ იყო თქვენი ქმარი, რომლის მოხსენიება საჭიროდ არ ჩათვალეს, ან სულაც აკრძალეს?

რა გვარის კაცი იყო, რა ეროვნების: ქართველი? რუსი? რა ბედისა იყო: ადრევე დაიღუპა სადმე კავკასიის მთებში, თურქეთის ხეობებში, ან რუსეთის ტრამალებში? თავად თქვენ რა ხნისა გაეცალეთ ამ ქვეყნიერებას? ახალგაზრდა გოგონა, თუ ასაკოვანი ბანოვანი? რა იყო მიზეზი თქვენი გარდაცვალებისა?

ეგებ, თქვენი მეუღლე, ერთი ვინმე ვიგინდარა რუსის გენერალი იყო, თქვენზე ბევრად უფროსი, რომელზეც ძალით გაგათხოვეს. მან კი, ლოთმა, უხეშმა სალდაფონმა სიცოცხლე გაგიმწარათ.

ჰოდა, როგორც ხშირად ხდება, თავი შეგახსენათ ყმანვილქალობის დროინდელმა უნაზესმა სიყვარულმა. მერე ეჭვიანობის სცენები... დუელში მოკლული ახალგაზრდა მიჯნური ... მოუსავლეთში გადაკარგული ქმარი.

ან, ასე თუ იყო: მეუღლე - ღირსეული ქართველი ვაჟკაცი. მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა, გადასახლებულ იქნა შორეულ ყინულეთში. თქვენ მასთან განშორება ვერ გადაიტანეთ. ხელისუფლებამ კი შერისხული გენერლის გვარის საფლავის ქვაზე მითითება აკრძალა.

. . . და კიდევ ვინ იცის, რა და რა შეიძლებოდა მომხდარიყო?!

დიდებულ ქალბატონო, სიდონია სავარსამიძე, ზაქარიას ასულო, ნეტავ შემეძლოს, მოგიძღვნათ რაიმე მშვენიერი რომანი, ლექსი, ან სიმღერა!

რამდენი ფიქრი, რამდენი ...

ნოდარ კიკნაძე



ძ ე ბ ლ ე ბ ი

ყალბი დიდებით მოსილნი
დღეს ყალბ ძეგლებად ქცეულნი
დგანან ქუჩებში, სკვერებში
წარმწყდარნი, სულით სნეულნი.

და როგორც წინა თაობის
მრავალი ძეგლი მოისრა,
ამათ ძეგლების დამსხვრევაც
საქმეა მხოლოდ დროისა

ნოდარ კიკნაძე



**იურისტი,
უფლებადამცველი**

მაია დემეტრაძე

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი ლუსტრაციის შესახებ

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“, საკუთარი პოლიტიკური ნებისა და მიზნის შესაბამისად, შეიმუშავა ლუსტრაციის კანონის პროექტი, რომლის ამოქმედების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, თავისუფალი ეკონომიკისა და თავისუფალი ბაზრის უზრუნველყოფა, ხელისუფლების დეოლიგარქიზაცია, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს არსებობა. წარმოდგენილ კანონპროექტში ზუსტად არის განსაზღვრული, ვისზე ვრცელდება ის, რა თანამდებობები ექვემდებარება შემოწმებას და დროის რა მონაკვეთს მოიცავს. ამასთან, გათვალისწინებულია გასაჩივრების მექანიზმი და სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ცხადია, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული ფაქტობრივი რეჟიმის მონაცვლე რეჟიმებს არ გააჩნიათ არც პოლიტიკური ნება და არც მიზანი, შეიმუშავონ და დაამტკიცონ ლუსტრაციის რეალურად აღსრულებადი კანონი! ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს კონტინუიტეტის (სახელმწიფოს იდენტურობისა და უწყვეტობის) რეალიზება სწორედ ლეგიტიმური ხელისუფლების უწყვეტ არსებობასთან არის დაკავშირებული, სწორედ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“ აქვს უფლება (და ვალდებულებაც), ქვეყნის მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, წარადგინოს ხელისუფლების ლუსტრაციის კანონის პროექტი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“, როგორც უმაღლესი პოლიტიკური და სამოქალაქო ღირსების მატარებელი პრეზიდენტის და იმავდროულად დისიდენტის (პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროსაც), ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული პოლიტიკური ძალა, ლუსტრაციის კანონის პროექტს წარმოადგენს სახელწოდებით: „საქართველოს რესპუბლიკის კანონი ლუსტრაციის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი ლუსტრაციის შესახებ

მუხლი 1. ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანი

ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანია ამ კანონით განსაზღვრულ პირთათვის განსაზღვრული თანამდებობების დაკავების განსაზღვრული ვადით აკრძალვა - ხელისუფლებისგან მათი ჩამოშორების გზით, საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიული ღირებულებების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვისა და განმტკიცების უზრუნველსაყოფად;

მუხლი 2. ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ძირითადი პრინციპები;

1. ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ძირითად პრინციპს წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურში 1991 - 1993 წლების პუტრის განმახორციელებელ პირთათვის და მათი ოჯახის წევრთათვის, ასევე, აგრესორი და/ან ოკუპანტი ქვეყნის და/ან ყოფილი სსრკ - ს სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომელ პირთათვის და მათი ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო - პოლიტიკური თანამდებობების, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ხელმძღვანელი თანამდებობების, მუნიციპალური ორგანოების ხელმძღვანელი თანამდებობებისა და სასამართლო ხელისუფლების მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველმყოფი თანამდებობების (შემდგომში - თანამდებობების) დაკავების დროებით აკრძალვა, რაც დადგენილია ამ კანონით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით;

2. ხელისუფლებისგან ჩამოშორება ხორციელდება სახელმწიფოს მართვაში (ხელისუფლებაში) იმ პირთა მონაწილეობის თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც თავიანთი გადაწყვეტილებით, ქმედებით ან უმოქმედობით, განახორციელეს ან/და წვლილი შეიტანეს 1991 - 1993 წლების პუტრის განხორციელებაში და/ან ისეთი გარემოებების დადგომაში, რომელიც მიზნად ისახავდა და/ან ისახავს: საფრთხის შექმნას საქართველოს სუვერენიტეტისთვის, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის და/ან თავდაცვის ძალებისთვის, დემოკრატიული მმართველობის განხორციელებისთვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის. ხელისუფლებისგან ჩამოშორება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეროვნული ღირსების დაცვა;
- კანონისა და სამართლის უზენაესობა;

3. ამ კანონის ამოქმედებიდან 15 წლის განმავლობაში თანამდებობა, რომლისთვისაც ხორციელდება ხელისუფლებისგან ჩამოშორება, არ შეიძლება ეკავოს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც ამ კანონის ამოქმედებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში ნებაყოფლობით არ წარუდგენიათ განაცხადები დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ;

4. ამ მუხლის მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ ერთხელ;

5. ამ კანონის აღსრულების უფლებამოსილების მქონე სუბიექტის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში;

მუხლი 3. თანამდებობრივი პოზიციები და პირები, რომელთაც ეხება და რომელთა მიმართაც ხორციელდება ხელისუფლებისგან ჩამოშორება:

1. ხელისუფლებისგან ჩამოშორება ეხება შემდეგ თანამდებობრივ პოზიციებს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ არიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრები;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საბანკო, საგადასახადო ან/და საბაჟო პოლიტიკის ფორმირებას და განხორციელებას, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის თანამდებობის პირებს;

გ) საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, საქართველოს რესპუბლიკის დამცვერვის სამსახურის უფროსს;

დ) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოხელეებს, გარდა სამხედრო მოსამსახურეებისა;

ე) საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის მოსამართლეებს;

ვ) საქართველოს რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიის ხელმძღვანელ პირს და წევრებს;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის ანტიკორუფციული და ანტიმონოპოლიური სამსახურების ხელმძღვანელ პირებს;

თ) საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს;

ი) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ საწარმოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციები აქვთ დელეგირებული;

კ) სახელმწიფო რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მუნიციპალური ორგანოების თანამდებობის პირებს (გარდა არჩევითი თანამდებობის პირებისა);

2. ხელისუფლებისგან ჩამოშორება ეხება იმ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც:

1) არჩეულნი იყვნენ და მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საქართველოს კომუნისტური პარტიის, ყოფილი სსრკ-ის სხვა საკავშირო რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის წამყვან პოზიციებზე;

2) არჩეულნი იყვნენ და მუშაობდნენ კომკავშირული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის წამყვან თანამდებობებზე;

3) იყვნენ სსრკ - ის სუკ - ის, საქართველოს სსრ - ის სუკ - ის, სსრკ - ის სხვა საკავშირო რესპუბლიკების სუკ - ის აგენტები და სსრკ - ის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამსახურისა და სსრკ - ის სუკ - ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (გარდა ტექნიკური სპეციალობებისა) თანამშრომლები.

მუხლი 4. ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის აღსრულება და კონტროლი:

1. ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის აღსრულების უფლებამოსილების მქონე სუბიექტს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, რომელმაც უნდა შეიუშავოს შესაბამისი დებულება და ნორმატიული აქტები;

2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს ამ კანონის აღსრულებაზე.

მუხლი 5. ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონისადმი დაქვემდებარებულ პირთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი:

1. ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომელთა მიმართაც დადგენილია ამ კანონის მე - 3 მუხლის მე - 2 ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვა, შეიტანება ერთიან სახელმწიფო რეესტრში, რომელსაც ქმნის და აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

2. რეესტრის დებულებას, მისი ფორმირებისა და შენარჩუნების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი;

3. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს დაევალოს დადგენილია ამ კანონის მე - 3 მუხლის მე - 2 ნაწილით გათვალისწინებულ აკრძალვას დაქვემდებარებულ პირთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრის დებულების, რეესტრის ფორმირებისა და შენარჩუნების წესის შემუშავება;

მუხლი 6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე და ლუსტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებამდე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“ ქმნის საგამოძიებო კომისიას, რომლის მიზანია სათანადო და უტყუარი მტკიცებულებების მოძიება იმ პირთა გამოსავლენად, რომლებმაც თავიანთი გადაწყვეტილებით, ქმედებით ან უმოქმედობით, განახორციელეს ან/და წვლილი შეიტანეს 1991 - 1993 წლების პუტჩის განხორციელებაში და/ან ისეთი გარემოებების დადგომაში, რომელიც მიზნად ისახავდა და/ან ისახავს საფრთხის შექმნას საქართველოს სუვერენიტეტისთვის, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის და/ან თავდაცვის ძალებისთვის, დემოკრატიული მმართველობის განხორციელებისთვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის, ასევე, აგრესორი და/ან ოკუპანტი ქვეყნის და/ან ყოფილი სსრკ - ს სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომელ პირთა გამოსავლენად;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი დაკომპლექტებისა და სამუშაო გეგმის შემუშავების წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

მ ა ი ა დ ე მ ე რ ა ძ ე

ევროპის კონსტიტუციის მარცხი, ანუ ბაკვეთილი ბაკვეთილისგან

ევროკავშირი, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის ღირსების, თავისუფლების, სამართლიანობის, თანასწორობის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების პატივისცემა, აერთიანებს ევროკავშირის წევრ 27 ქვეყანას.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ევროკავშირის უფლებამოსილება გაფართოვდა /მაასტრიხტის, ამსტერდამის და ნიცას ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ/. მოგვიანებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახალი წევრების მიღებამ დღის წესრიგში დააყენა ევროკავშირის შიდა სტრუქტურის რეფორმა, რომლის ერთ-ერთი მიმართულება ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება იყო. საერთო ევროპული კონსტიტუციის შექმნის იდეა 1990-იანი წლების ბოლოს გაჩნდა. მაშინ ევროპელმა პარლამენტარებმა განაცხადეს, რომ ევროკავშირი მხოლოდ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებზე იყო დაფუძნებული, რაც არ იყო საკმარისი და საჭირო იყო ერთიანი ძირითადი კანონის შემუშავება. ძირითადი კანონი ევროკავშირის მოქალაქეთათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, სწორედ ეს იყო მისი შემუშავების მთავარი მიზანი. ევროკავშირის კონსტიტუციის მიღება უნდა ყოფილიყო ევროინტეგრაციის ახალი საფეხური, რასაც მნიშვნელოვნად უნდა გაეძლიერებინა ევროკავშირის ინსტიტუტები და ლოგიკურად გაეგრძელებინა ევროკავშირის გაფართოების კამპანია. ამასთან, კონსტიტუციაში უნდა გაერთიანებულიყო მანამდე ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება, რათა ამ ერთი დოკუმენტით უფრო მარტივი გამხდარიყო ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს გაგება. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობდა სამთავრობათაშორისო კონფერენცია, რომელშიც შედიოდა ყველა მინისტრი ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან, ევროკომისიისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მონაწილეობით. დოკუმენტის საბოლოო ტექსტი დამტკიცდა ევროკავშირის სპეციალურ სამიტზე 2004 წლის ივნისში. 2004 წლის ოქტომბერში კონსტიტუციის საბოლოო, შეთანხმებულ ვერსიას მოაწერეს ხელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურებმა. რჩებოდა მხოლოდ რეფერენდუმი ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე... კონსტიტუციის პროექტი პირველ რიგში საზოგადოებასთან ურთიერთობას ითვალისწინებდა. მისი მთავარი მიზანი იყო ევროპულ

საზოგადოებაში ნდობისა და მხარდაჭერის ხარისხის გაზრდა ევროკავშირის არსებული პოლიტიკისა და პოლიტიკური კულტურის შეცვლით. მთავარი იდეა იყო ევროკავშირის ლეგიტიმაცია - არა ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობით, არამედ იმგვარი პოლიტიკებით და დემოკრატიზებით, როგორიც ხელს შეუწყობდა საზოგადო პროექტში სამოქალაქო მონაწილეობის საერთო განზრახვის დაბადებას. ევროპის საბოლოო პოლიტიკის განხილვისას ითქვა, რომ მოქალაქეებმა აუცილებლად უნდა გააცნობიერონ ევროკავშირის ღირებულება. პოლიტიკის უშუალო მიზანი კონკრეტული იყო - ორგანიზაციის პოპულარობის გაზრდა:

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებდა მნიშვნელოვან ცვლილებებს ევროკავშირის ინსტიტუციურ სტრუქტურაში. დოკუმენტი განსაზღვრავდა ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების კომპეტენციის სფეროებს, კონსტიტუცია ითვალისწინებდა რამდენიმე ფუნდამენტურ სიახლეს. პირველ რიგში, კონსტიტუციას უნდა შეეცვალა ევროკავშირის ინსტიტუტების სტრუქტურა და ფუნქციები. კონსტიტუციის პროექტმა ასევე გააფართოვა ევროპარლამენტის უფლებამოსილებები, რომელიც გასცდა მხოლოდ ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს და შეეხო სამოქალაქო თავისუფლებას, საზღვრის კონტროლსა და იმიგრაციას, თანამშრომლობას ევროკავშირის ყველა ქვეყნის სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. კონსტიტუციის პროექტით ასევე შეთავაზებული იყო უარი კონსენსუსის პრინციპზე და მისი ჩანაცვლება სხვა პრინციპით, რომლის თანახმად: გადაწყვეტილება უმეტეს საკითხებზე (გარდა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, სოციალური უზრუნველყოფის, გადასახადებისა და კულტურის საკითხებისა, სადაც კონსენსუსის პრინციპი რჩებოდა) მიღებულად შეიძლება ჩათვალილიყო, თუ მას დაადასტურებდა მინიმუმ 15 წევრი ქვეყანა, ანუ ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის 65%-ის ხმა. კანონით გათვალისწინებული ერთსულოვანი დამტკიცება და ვეტო რჩებოდა მხოლოდ გადასახადების, სოციალური უზრუნველყოფის, საგარეო პოლიტიკის უმეტეს სფეროებში და თავდაცვის ძალების შექმნის საკითხებში. გარდა ზემოაღნიშნულისა, კონსტიტუცია ითვალისწინებდა ევროპის უსაფრთხოების სისტემის ღრმა სტრუქტურულ ტრანსფორმაციას. იგი პირდაპირ საუბრობდა ეროვნული უსაფრთხოების ფედერალური სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც აღემატება მსგავს სტრუქტურებს ნებისმიერ წევრ ქვეყანაში, ხოლო ევროკავშირის კომპეტენცია „მოიცავს საგარეო პოლიტიკის ყველა სფეროს და ევროკავშირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს“. გათვალისწინებული იყო, რომ ევროკავშირის ერთიანი თავდაცვის პოლიტიკა ეტაპობრივად შემუშავდებოდა, რაც გამოიწვევდა ერთობლივ თავდაცვით მოქმედებებს, საკითხის ერთხმად დამტკიცების შემთხვევაში. კონსტიტუცია შეიცავდა პირდაპირ მოთხოვნას, დაცული ყოფილიყო საერთო უსაფრთხოების პოლიტიკა და მას მინიჭებოდა სრული პრიორიტეტი. მისი დებულებების თანახმად, წევრ სახელმწიფოებს აქტიურად და უპირობოდ უნდა დაეჭირათ მხარი ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის, თავი შეეკავებინათ ქმედებებისგან, რომლებიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის ინტერესებს ან შეიძლება შეასუსტოს მისი ეფექტურობა; დაეცვათ „ევროკავშირის პოზიცია“ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოში. ევროპულ სასამართლოს, რომელიც „უზრუნველყოფს კანონის პატივისცემას კონსტიტუციის ინტერპრეტაციისა და გამოყენებისას“, ენიჭებოდა ჯარიმის დაკისრების ან სხვა ზომების მიღების უფლება იმ ერთიანი წევრ სახელმწიფოზე, რომელიც მხარს არ დაუჭერდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას. კონსტიტუციის ერთ - ერთი ყველაზე საკამათო წინადადება იყო მასში ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის ნორმათა ფართო სპექტრის ჩართვა: დაწყებული კაცისა და ქალის თანაბარი ანაზღაურების უფლებიდან, დამთავრებული ღირსეული ჯანმრთელობის მიღების უფლებით. ამასთან დაკავშირებით, შემოთავაზებულ იქნა 2007 წლისთვის ვენაში ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს შექმნა, რომლის მიზანი იქნებოდა „ქარტიაში მითითებული ღირებულებების პატივისცემის გარანტია“.

კონსტიტუციაში ნათქვამი იყო, რომ წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, ტერიტორიული და სოციალური კავშირების არსებობა ევროკავშირის საქმიანობის მთავარი მიზანია. ამის მისაღწევად ახალი დოკუმენტი ითვალისწინებდა დასაქმების

დროის გაზრდას, მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის ხელშეწყობას, ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას, სამართლიანობისა და სოციალური დაცვის გავრცელებას, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ა.შ. წევრი ქვეყნების კომუნებსა და რეგიონებს მიეცათ მეტი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღონ ევროპულ პროგრამებში, გათვალისწინებული იყო სამოქალაქო დიალოგი არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მთლიანობაში, ამ ფუნდამენტური დოკუმენტის წყალობით, მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო მოქალაქეების პირდაპირი და ირიბი მონაწილეობა ევროკავშირის პოლიტიკაში.

მთავარი დოკუმენტი ასევე აღგენდა ევროპის მოქალაქეობის ინსტიტუტს. კიდევ ერთი სიახლე იყო მუხლი, რომელიც არეგულირებდა ევროკავშირიდან ნებაყოფლობით გასვლას, რაც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ევროკავშირის არცერთ დოკუმენტში.

ყველა ზემოთჩამოთვლილი რეფორმატორული იდეის მიუხედავად, 2005 წელს საფრანგეთისა და პოლანდიის რეფერენდუმებზე ევროპის კონსტიტუციის კენჭისყრის შედეგები უარყოფითი აღმოჩნდა, რის გამოც კონსტიტუციის პროექტი ჩაიშალა. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის წარუმატებლობისა და ევროპული ინტეგრაციის მომავლის შესახებ? სწორედ აღნიშნულ საკითხებში გარკვევის მცდელობა წარმოადგენს ამ სტატიის მიზანს. ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის ნებისმიერი მცდელობისას პირველ რიგში მკაფიოდ უნდა იყოს აღიარებული, რომ საკონსტიტუციო რეფორმას არ ჰქონდა არც სამართლებრივი და არც არსებითი დასაბუთება. თუმცა, ეს არ ამცირებდა კონსტიტუციის პროექტში ასახული რეფორმების მნიშვნელობას, რომელთაც დღესაც შეუძლიათ სასარგებლო და სასურველი კორექტირება განახორციელონ ევროკავშირის ამჟამინდელ სტრუქტურაში. კონსტიტუციის ძალაში შესვლისთვის, მისი რატიფიცირება უნდა მომხდარიყო ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში საპარლამენტო კენჭისყრით ან ეროვნული რეფერენდუმის ჩატარებით. ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი რატიფიცირდა 18 ქვეყანაში.

2005 წელს საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ჩატარებულ რეფერენდუმებზე ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი უარყოფილი იქნა. ევროკავშირის 2005 წლის სამიტზე გაერთიანებულმა სამეფომ, პორტუგალიამ, დანიამ და ირლანდიამ განაცხადეს, რომ ისინი განუსაზღვრელი ვადით გადადებდნენ ეროვნულ რეფერენდუმებს. შვედეთმა განაცხადა, რომ არ მოახდინა ევროკავშირის ძირითადი კანონის რატიფიცირებას, ვიდრე საფრანგეთი და ნიდერლანდები არ ჩაატარებენ განმეორებით რეფერენდუმს. ამრიგად, ევროკავშირი სერიოზული პოლიტიკური კრიზისის წინაშე დადგა. ფაქტის მკვლევართა გარკვეული ჯგუფის მოსაზრებით, ევროკავშირის ძირითადი კანონის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება შესაძლოა გამომწვეული ყოფილიყო ტექსტის არასაკმარისი/ზედაპირული ცოდნით, რომლის უახლესი ვერსია დაახლოებით სამას გვერდს მოიცავს. ევრობარომეტრის (ევროკავშირის ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ) მიხედვით, ევროკავშირის მოქალაქეების ნახევარზე მეტს ძალიან ცოტა ინფორმაცია ჰქონდა კონსტიტუციის შინაარსთან დაკავშირებით, ხოლო მოსახლეობის მესამედმა განაცხადა, რომ არასოდეს სმენია ამის შესახებ. დოკუმენტის წინასწარი საჯარო განხილვა არ ყოფილა, შესაბამისად არ იყო სიცხადე საკანონმდებლო პროცესების, ინსტიტუციური კომპეტენციების, ტექსტისა და მოსახლეობაში პროფკავშირული პოლიტიკის უშუალო ფორმირების საკითხებში. ჩავარდნილი რეფერენდუმიდან გარკვეული დროის გავლის შემდეგ ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ნიდერლანდებში საკონსტიტუციო პროექტის უარყოფის ძირითადი მიზეზები იყო მკაფიო ინფორმაციის ნაკლებობა და ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვის შიში. ამ ქვეყანაში ყველა პოლიტიკურმა ძალამ ევროკავშირის კონსტიტუციის რატიფიცირებას მისცა ხმა. თუმცა, მოსახლეობა არ დაეთანხმა ელიტის აზრს და კენჭისყრით გამოხატა უკმაყოფილება გადაჭარბებული ფინანსური ტვირთის (ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანა ევროკავშირის ბიუჯეტში ყველაზე დიდი კონტრიბუტორია) და ბრიუსელში ძალაუფლების ცენტრალიზაციის პროცესის გამო. ნიდერლანდებში მიიჩნეოდნენ, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყებოდა მზადება პოლიტიკური ფედერალიზაციისთვის. ევროკავშირის კონსტიტუცია

უმრუნველყოფდა საკანონმდებლო საფუძველს ფედერალური ევროპის ასაშენებლად, სადაც დიდი სახელმწიფოები გახდებიან დომინანტურნი, რაც ჰოლანდიას არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებდა.

საფრანგეთსა და ნიდერლანდებში კონსტიტუციის პროექტის უარყოფის ერთ-ერთი მიზეზი იყო ფრანგული და ჰოლანდიური საზოგადოებების სუსტი ადაპტაცია ევროკავშირის ახალ რეალობასთან, მისი გაფართოების შემდეგ. ვინაიდან მთლიანობაში ევროკავშირის „ახალი“ ქვეყნები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან „ძველებს“ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ფრანგმა და ჰოლანდიელმა ამომრჩევლებმა აჩვენეს, რომ მათ სულ უფრო უჭირთ „ახალ ევროპასთან“ ასოცირება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა თურქეთის, უკრაინისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივების განხილვის ფონზე, რომლებიც ევროკავშირის „ძველ ქვეყნებში“ ძნელად აღიქმებიან ევროპის ნაწილად არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური, არამედ კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ევროპის ბევრ მოქალაქეს აწუხებდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლო პერსპექტივა, როგორც ისლამური ფუნდამენტალიზმის შემდგომი გავრცელების შესაძლებლობა. ნიდერლანდებში არსებობდა შიში აღმოსავლეთ ევროპიდან, ბალკანეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ემიგრანტების მკვეთრი ზრდის შესახებ. გლობალიზაციის შიშმა და ისლამურმა საფრთხემ, რომელიც ბევრმა ქვეყანაში ძალიან სერიოზულად მიიღო, ყველამ უარყოფითი გავლენა მოახდინა კენჭისყრის შედეგებზე.

მიუხედავად საერთო ბაზრის შექმნისა და ევროს მიღებისა, ევროკავშირმა ვერ შეასრულა მასთან დაკავშირებული ეკონომიკური დაპირებები, თუმცა ეკონომიკა, უეჭველად, მისი საქმიანობის ძირითად სფეროდ რჩება. უფრო მეტიც, ეკონომიკური განსხვავებების სიმკვეთრის ზრდამ ევროკავშირის ახალ წევრთა შემოერთების კვალდაკვალ უარყოფითად იმოქმედა პოლიტიკური გაერთიანების შექმნის იდეაზე. სწორედ აღნიშნულმა კრიზისმა, რასაც იდენტობის კრიზისიც დაემატა, და არა უბრალოდ ინტეგრაციის შიშმა, გამოიწვია ამომრჩეველთა კრიტიკული დამოკიდებულება საფრანგეთში, ნიდერლანდებში და სხვაგან. ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ევროკავშირის წევრი ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტისათვის. დოკუმენტი საშუალებას აძლევდა წევრ ქვეყნებს გამოეყენებინათ თავიანთი უფლებამოსილება მხოლოდ ისეთ სფეროებში, რომლებიც არ შედის თავად ევროკავშირის კომპეტენციაში. ევროკავშირის ინსტიტუტებს კი კონსტიტუცია ანიჭებდა იურისდიქციას საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის, იმიგრაციის, ვაჭრობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მრავალ სხვა სფეროში. ამკარაა, რომ არც ერთი სუვერენული სახელმწიფო არ იყო მზად გადაეცა თავისი უფლებამოსილება ასეთ მნიშვნელოვან სფეროებში კორპორაციებისა თუ კომპანიებისთვის, რომლებიც, ბუნებრივია, საკუთარ ინტერესებს გააატარებდნენ. შესაბამისად, ევროკავშირის კონსტიტუციის დამტკიცებით, სწრაფად გაიზრდებოდა სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულწილად შელახვის საფრთხეები. გერმანიის წამყვანმა საინფორმაციო სააგენტომ Deutsche Welle წარმოადგინა სამი ყველაზე საკამათო პუნქტი ევროკავშირის ძირითადი კანონის ტექსტში, რომელთაგან ყველაზე უფრო რეზონანსული აღმოჩნდა შეფასება - „ევროპის კონსტიტუცია არადემოკრატიულია“. ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის უარყოფიდან 2007 წლის ბოლომდე, დოკუმენტის აღორძინების მრავალი ვარიანტი შეიმუშავეს. 2007 წლის განმავლობაში ევროკავშირმა, ჯერ გერმანიის, შემდეგ კი პორტუგალიის თავმჯდომარეობით, მოამზადა დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის შეცვლას. დასაბუთება ეფუძნებოდა იმას, რომ ძირითადი კანონი

უნდა ითვალისწინებდეს ევროკავშირის რეალობას, რომლის წევრობა 2007 წლისთვის 15-დან 27 ქვეყანამდე გაიზარდა. ამ პირობებში მთავარ პრობლემად იქცა ევროკავშირის პოლიტიკური და ინსტიტუციური რეფორმის საჭიროება, რომელიც არ არის ადაპტირებული 27 წევრი ქვეყნის მმართველობაზე. გარდამავალ ეტაპზე, ევროკავშირის ინსტიტუციური ტრანსფორმაციისა და პოლიტიკური რეფორმის გზების ხანგრძლივი ძიების შედეგად, მომზადდა ხელშეკრულება რეფორმის შესახებ (ლისაბონის ხელშეკრულება),

რომელსაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა 2007 წლის 13 დეკემბერს მოაწერეს ხელი ლისაბონში და რომელიც საბოლოოდ ძალაში შევიდა 2009 წელს.

ამრიგად, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც უნდა უზრუნველყო ევროკავშირის სანდოობა, მხარდაჭერა და რეფორმის შემდგომი განვითარება ფედერალისტური მიმართულებით, კონსტიტუცია, რა თქმა უნდა, სრული მარცხი იყო. და მაინც ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს კოლაფსი შემთხვევითი და შექცევადია. ამ კოლაფსის მიზეზები იყო დოკუმენტის მრავალი ხარვეზი და ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ნიდერლანდების ხელმძღვანელობის ხანმოკლე, არაეფექტური მუშაობა. კონსტიტუციამ ენთუზიაზმი ვერ გამოიწვია, რეფერენდუმები კი ცუდად იყო ორგანიზებული, რაც გახდა საფუძველი იმგვარი შეხედულებების დამკვიდრებისა, რომ ევროკავშირი განიცდის "დემოკრატიულ დეფიციტს", "ლეგიტიმაციის კრიზისს" და "საბოლოო პოლიტიკის" საერთო ხედვის ნაკლებობას. კონსტიტუციის მომხრეთა აზრით, ახლა ევროპელებმა უნდა გაიარონ "გააზრების პერიოდი", დაელოდონ პოლიტიკურ აღორძინებას გერმანიაში, საფრანგეთსა და ბრიტანეთში, შემდეგ კი ხელახლა დაიწყონ დიდი პროექტი. სხვა შემთხვევაში, როგორც მკვლევარები წერენ, არსებობს მხოლოდ სტაგნაციის ან დაშლის პერსპექტივა. ევროკავშირის მთავარი პრობლემა და მისი პოპულარობის შემცირების მიზეზი, მათი აზრით, არის ის, რომ მის მოქალაქეებს არასოდეს ჰკითხეს ამ კავშირის საბოლოო მიზნის შესახებ. ევროკავშირის შეუქცევადი "პოლიტიკა" მოხდა და ახლა სხვა არჩევანი არ არსებობს, გარდა საზოგადოების ნდობის ხელახლა მოპოვებისა, რაც ევროკავშირის მოქალაქეებს პოლიტიკური მონაწილეობის ახალ შესაძლებლობებს მისცემს. მოკლედ, პოლიტიკის ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი პასუხი უფრო მეტი პოლიტიზაციაა, ხოლო წარუმატებელ კონსტიტუციურ პროექტზე ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი პასუხი კიდევ ერთი კონსტიტუციაა... ასეთია ევროპელ მკვლევართა დასკვნა იმ გაკვეთილიდან, რომელიც მათ მიიღეს კონსტიტუციური კოლაფსის მიზეზთა ძიებისას. ხოლო რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩვენ, ევროპული ოჯახისკენ მარადის შეუპოვრად მსწრაფმა და ევროპად თვითიდენტიფიცირებულმა სახელმწიფომ, „ნათესავთა ამათ ჩვენთა“ - ევროპელთა - მიერ უკვე მიღებული გაკვეთილიდან? ერთადერთი! და ეს ერთადერთი დასკვნა არის ჩვენი შეთავაზება ევროპული ოჯახისადმი, რასაც ქვემოთ თემისების სახით წარმოვადგენთ:

ევროკავშირის მთავარი პრობლემა და მისი პოპულარობის შემცირების მიზეზი ნამდვილად არის ის, რომ მის მოქალაქეებს არასოდეს განუმარტეს ევროკავშირის საბოლოო მიზანი. საკითხავი მხოლოდ ის არის, ვინმემ თუ იცის ამ მიზნის ნამდვილი არსი;

- ევროკავშირის საბოლოო მიზანი უნდა იყოს განზოგადება პირადი ღირსების კონცეპტისა - რაც არის ნებაყოფლობითი თვითშეზღუდვა, კუთვნილ სიკეთესა და სარგებელზე უარის თქმა სამართლიანობისა და სხვათა კუთვნილი სიკეთისა და სარგებლის, სხვათა ღირსების დაცვის მიზნით - და ამ განზოგადებაზე აგებული ზნეობრივი პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება;

- ევროკავშირის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ზნეობრივ პოლიტიკასა და ღირსებაზე, როგორც სამართლიანობის აღსრულების შინაგან მოთხოვნილებაზე, დაფუძნებული წესრიგის დამკვიდრება;

- ევროკავშირის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ახალი მსოფლიო გაერთიანების (ღირსების მსოფლიო გაერთიანების), როგორც ზნეობრივი მსოფლიო წესრიგის საფუძვლის, დაარსების ინიციატივა და მოწოდება მსოფლიოსადმი: ღირსების სტატუტი - რომის სტატუტის ნაცვლად;

- ევროკავშირის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ღირსების მსოფლიო სასამართლოს კონცეპტის შეთავაზება დანარჩენი მსოფლიოსთვის, რაც გულისხმობს აგრესიის მოსალოდნელი თუ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებისა და მათი ისტორიული წინაპირობების შესწავლას, ნებისმიერი მომჩივანი ქვეყნის დასაბუთებული განაცხადის საფუძველზე, და გამაფრთხილებელი ვერდიქტის გამოტანას, რომელიც ნიადაგს მოამზადებს მშვიდობიანი დიალოგისა და სამართლიანი შეთანხმებისთვის.

სწორედ ეს გახლავთ ევროპული გაკვეთილის ქართული გაკვეთილი, რომელზე დაფიქრებასაც გთავაზობთ - ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით.



საქართველოს უშიშროების კომიტეტის
ბანსაკუთრებულ საქმეთა
მნიშვნელობის
უფროსი გამომძიებელი,
სახელმწიფო საზღვრის დაცვის
შიდა ინსპექციის უფროსი,
„ქვეყნის კლუბის“ ერთ-ერთი
დამფუძნებელი,
ძალთვანი სტრუქტურების
ვეთერანი, გადამდგარი
კოლკოზნიკი
ბ ბ ბ მ ა ი ს უ რ ა ძ ე

მასალები რუბრიკისათვის:
„ერის წყლული მაინდეს
წყლულად...“
(წმინდა ილია მართალი)

აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტის ჟანა უბილაგას მოგონება

ვისაც სექტემბრის თვეში ქ. სოხუმში არსებული საკურორტო ვითარება ახსოვს, ის მიხვდება თუ რა განცხრომაა მეგობრებთან ერთად ზღვის სანაპიროზე სეირნობა. პალმები, თოლიები, ტალღების სანაპიროსთან შეხლა-შემოხლის ჰარმონიული ხმაური. განსაკუთრებით მაშინ როდესაც ლექციებიდან პირდაპირ იქ აღმოჩნდები და ერთბაშად შეიგრძნობ სიცოცხლისა და თავისუფლების ხიბლს. ზღვაზე საგანგებოდ გაკეთებულ მოაჯირებს რომ ჩამოეყრდნობი, სახით მცხუნვარე მზეს თვალდახუჭული რომ მიეფიცხები და ნეტარებით ტკბები...

და ამ დროს, მოულოდნელად შენს მყუდროებას შორიდან არღვევს რაღაც გაუთვითცნობიერებელი, შემანუხებელი, გაუთავებელი, გაბმული ზმუილი რომელსაც არ ვნებდები და პროტესტის ნიშნად თვალებს არ ვახელებ იმის მოლოდინში, რომ ბოლოს და ბოლოს ის შეწყდება. მაგრამ არა, ეს ხმა კიდევ უფრო მძაფრდება და თანდათან მიახლოვდება...

ამ ყველაფერს სოხუმის ქუჩებში მოულოდნელობისაგან დაბნეული, სასოწარკვეთილი, შეშინებული, მშვიდობიანი თანამოქალაქეების უმისამართო სირბილი, შიშის ხმა და ავტომატების დაჩქარებული მოძრაობის ხმები ემატება. ნეტავ რახდება? თვალებს ვახელებ და ვერ გავრკვეულვარ, რატომაა ეს ქაოსი, რისთვის? ჩემდაუნებურად მეც მათ ვუერთდები და ინსტიქტიურად მათთან ერთად გავრბივარ... განგაშის ხმა არ ჩერდება და კიდევ უფრო საზარლად გაისმის... მალე თავშესაფარში აღმოვჩნდი...

მაშინ მხოლოდ 17 წლისა ვიყავი, სტუდენტი გახვდი, დამოუკიდებელი ცხოვრების სათავესთან ვიდექი და უცებ ... ეს ხმა, შიშის მომგვრელი ხმა ...

შაბათი დღე იყო, დედამ გალიდან სოხუმში ჩამომაკითხა, წიგნები ჩამომიტანა. მას თურმე იმ დღესვე უკან დაბრუნება სურდა, მაგრამ მე არ გავუშვი, მინდოდა ერთი ორი დღე ჩემთან ყოფილიყო. თავშესაფარში შიშმა ამიტანა ... ვიფიქრე, დედას მართლ შეეშინდება-თქო. დავტოვე თავშესაფარი და რომ იტყვიან, „თავქუდმოგლეჯილი“ შინისკენ გავიქეცი. ქუჩაში განგაშის გაბმული ხმა ისევ ისმოდა, შიგადაშიგ იყო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმებიც ...

დედა მე მელოდია. ის შიშისაგან ცახცახებდა. მან მკითხა: რა ვქნათ? სად წავიდეთ? ამ დროს ჩვენს ახლოს მყოფმა ერთმა ხეობარმა კაცმა ხელის მოძრაობით გვანიშნა საითაც უნდა წავსულიყავით. ჩვენც მივყევით აფორიაქებული ხალხის დინებას და ისევ მიწისქვეშეთში აღმოვჩნდით. არა შუქი, არა წყალი. გარშემო მყოფთა თვალებში მხოლოდ შიშს ვხედავდი, ომის შიშს ... მავანნი თითქოს ელოდნენ ამ ყველაფერს, თითქოს იცოდნენ, რომ ეს ყოველივე გარდაუვალი იყო... მაგრამ მაინც იმედიანად იყვნენ. რამდენიმე დღე სრულიად შოკირებული ვიყავი, მერე ძალა მოვიკრიფე და დედაზე და ჩემს დეიდაშვილზე გადავვრთე. მიზნად მათი გადარჩენა დავისახე. გამოვიპარებოდი თავშესაფრიდან გარეთ იქნებ რაიმე სანუგეშო გამეგო, მაგრამ იქაც სრული საინფორმაციო ვაკუუმი სუფევდა. არა ტელევიზია, არა რადიო, არც ტელეფონი. მხოლოდ მოარული ჭორები იყო, ამან ის თქვა, იმან ის თქვა და ა. შ. ასე ვიყავით 4 დღე-ღამის განმავლობაში. ვიღაცის და რაღაცის მოლოდინში. ჯარისკაცებს ჩვენთვის პური მოჰქონდათ. რითაც შეეძლოთ გვებმარებოდნენ. გვპირდებოდნენ მალე გაგიყვანთ აქედანო. ქ. სოხუმის კულტურის სახლის სარდაფ-თავშესაფარში 30 დღე დავყავით. ამის შემდეგ იქედან ჩვენმა სამხედროებმა ნაწილ-ნაწილ გაგვიყვანეს, მაგრამ დღემდე ვერ ვივინყებ იმ ხმებს: ტირილი, გოდება, წყევლა-კრულვა, სროლა, აფეთქება, ცეცხლის ნაკვერჩხლების ტკაცა-ტკუცი, ნგრევისა და პერიოდულად განრისხებული შავი ზღვის ტალღების გაუთავებელი ღმუილი ...

ომია ... ძმათაშორისი სისხლიანი ომი! ... სხვისი არა, რუსეთის მიერ პროვოცირებული, წინასწარ დაგეგმილი! როგორც გვპირდებოდნენ, თავშესაფრიდან ჯარისკაცებს პირდაპირ აეროპორტში უნდა გავეყვანეთ. მათ ჩაგვსხეს წითელ „იკარუსებში“, სადაც არც ერთი სკამი, ყველაფერი მოხსნილი. გაგვაფრთხილეს, რომ თავდახრილად და ჩაკუბულ მდგომარეობაში უნდა ვყოფილიყავით. კარგად მახსოვს ავტობუსში ირგვლივ ყველაფერი სისხლიანი იყო. როგორც აგვისსნეს, თურმე მანამდე მას დაღუპული და დაჭრილი მეზრძოლების გადასყვანად იყენებდნენ.

სოხუმის ცენტრალური ნაწილი უნდა გაგვევლო. უცებ კვლავ განგაშის ხმა. საშინელ ორმხრივ სროლებში მოვყევით. ჩვენ ყველანი ბუტბუტით ვლოცულობდით, სიკვდილი გვეძებდა და ჩვენც მას ჩუმად ვემალებოდით ... მეტი ვეღარ მოვითმინე და ჩავიმუხლე რათა ჩამსხვრეული ფანჯრიდან გამეხედა. გარეთ დავაფიქსირე თითქმის ყველა შენობა-ნაგებობიდან გამომავალი შავი კვამლი, ცეცხლი. საშინელი სანახავი იყო ჩემი ოცნების ქალაქი - სოხუმი! ...

აეროპორტში გაგვიყვანეს. გვითხრეს, რომ თბილისიდან იარაღით დატვირთული თვითმფრინავი ჩამოფრინდება და ქალებს და ბავშვებს უკან ის წაიყვანსო. გადარჩენის იმედის ნაპერწკალი ჩაგვესახა, თუმცა დრო გაუთავებლად იწელებოდა ... აი, გამოჩნდა ის ჰორიზონტზე, მაგრამ აეროპორტის თავზე მოულოდნელად აფეთქდა ისე, რომ დასაფრენ ზოლზე დაშვებაც კი არ აცალეს. აფეთქების ტალღამ ჩვენ ყველანი სახადასხვა მხარეს ისე მიმოგვფანტა, რომ გონს ძლივს მოვდიოდით და ახლობლები ერთმანეთს ვერ ვპოულობდით. ასობით დაჭრილი და გარდაცვლილი ადამიანი ... მე როგორც კი გონს მოვედი, ბოლო ხმაზე ვკიოდი და ვყვიროდი ... ღვთის წყალობით დედაჩემიც გადარჩა ... ისევ 2 დღე თავშესაფარში, თუმცა უკვე უფრო საიმედო. მალე ქართული საჯარისო შენაერთები შემოვიდა ქალაქში. მოსახლეობას და მათ შორის ჩვენ იმედი მოგვცა, რომ სოხუმი არ დაეცემოდა, ქალაქის მოსახლეობა ჯართან ერთად ბოლომდე იბრძოლებდა. ღამეს ისევ თავშესაფარში ვათენებდით. დღისით კი ეზოს კუთხეში საგანგებოდ მოწყობილ საინფორმაციო კუთხისკენ მივეშურებოდით, რომ ბოლო ინფორმაცია შეგვეტყო. ყველას შიოდა, მაგრამ არავინ ჩიოდა. ოღონდ რადიოს ყუთს რომლის ხმა წყვეტილ-წყვეტილ ისმოდა, რაიმე იმდისმომცემი ეთქვა. ვიღაცამ სახლის სახურავიდან გადმოგძახა: „... ჩვენი ჯარი სოხუმისაკენ მოემართებაო“. ჩვენ ყველანი 150 კაცამდე სირბილით გმისკენ წავედით სადაც ხელებ აღმართული და მუხლმოყრილი შევეგებეთ ჩვენს ჯარს. გაქრა შიში. გაგვიჩნდა მტერზე გამარჯვების იმედი. ბინდდებოდა, თავშესაფარში აღარ შევდიოდით. ასე გვეუბნებოდნენ, რომ აწი ყველაფერი 2 საათში დამთავრდებაო! ...

მაგრამ დრო იწელებოდა. „არსაით ხმა, არსაით ძახილი“... და უცებ ჯარი უკან გამობრუნდა. არც შემართება, არც ყიჟინა ... ეს კი ჩვენთვის ცუდის მომასწავებელი ნიშანი იყო. ამის შემდეგ, ჩვენს ეზოში უზარმაზარი სამხედრო ავტომანქანა „ურალი“ შემოგრიგინდა“ საიდანაც სამხედრო ფორმიანი ბიჭები გადმოვიდნენ. თავდახრილებმა ჩვენ უკან დაგვახევინეს, მანქანის ძარაზე არ შეგვიშვეს. მხოლოდ ეს გვითხრეს: „ომში დავმარცხდით, სოხუმი ჩავაბარეთ, ღალატია... ღალატია“... მერე ჩვენ მოგვიბრუნდა ერთი ჯარისკაცი (უჭველი სვანი იყო), ერთ საათში ქალები და ბავშვები ავტომანქანის ძარაძე იყავით, ქალაქი უნდა დავტოვოთო ...

ამ დროს ჩვენების მძიმე სამხედრო ტექნიკაც უკან დაბრუნდა და ბოლო იმედიც გადაგვეწურა, საბოლოოდ ვგაქრა ... ის გიგანტი ავტომანქანა თავიდან ბოლომდე საძინებელი ლეიბებით შეფუთეს ისე, რომ თავისუფალი მცირეოდენი ადგილიღა რჩებოდა, მაგრამ მაინც გვტენიდნენ ... ბოლო მითითებებს გვაძლევდნენ ჯარისკაცები... არანაირი განათება, არანაირი ზედმეტი მოძრაობა, საბნებიდან თავი არ უნდა გამოგვეყო, მხოლოდ ეს იყო ჩვენი გადარჩენის

ბოლო მანსი. ძარაზე ოთხიოდე შეიარაღებული მეზობელი კუთხეებში განლაგდა. ავტომანქანის შუქები გამორთეს და ასე უნდა გაგვეგრძელებია გზა სვანეთისაკენ. ჩვენ ვხვდებოდით, რომ ეს ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ სხვა რა გამოსავალი გვქონდა. ლეიბებს შორის ჭუჭრუტანებიდან ვხედავდით გაბმულ სროლებს და გვესმოდა აფეთქებების ხმა. ირგვლივ ზანზარებდა ყველაფერი. ინგრეოდა, იფშვებოდა ჩვენი ზღაპრული სამყარო ...

უკუნეთ სიბნელებში, ციცაბო კლდეებში, პირდაფრენილ ხრამებში ვიარეთ. მანქანა გზადაგზა ჩერდებოდა. ზოგჯერ ისეთი სიჩქარით მიქროდა თითქოს აფრენას ლამობსო. კარგა ხანს ვიარეთ, დაგვათენდა და ლეიბებიდან თავი რომ ამოვყავით, უზარმაზარი მთების შუაგულში აღმოვჩნდით. შემოდგომის დასაწყისი იყო თუმცა თოვდა და წვიმდა. ჩვენ შესაფერისად არც ტანზე გვეცვა და არც ფეხსაცმელი გვებადა. ჯარისკაცებიდან ბოლო მითითება იყო, რომ ერთ ტემპში გვევლო და არ გავეჩერებულებოდა, ჯგუფისგან არ ჩამოვრჩენილიყავით და ცივი წყალი არ დაგველია. ღამით კოცონი უნდა დაგვენოთ და ყველანი ერთად ვყოფილიყავით. დილით კი გზა ერთად გაგვეგრძო. ტყის მცენარეები არ უნდა გვეჭამა თუ არ ვიქნებოდით დარწმუნებული იმაში, რომ ისინი შხამიანი არ იქნებოდნენ და ა. შ. გზა უსასრულო ჩანდა. ბევრი აღმართ-დაღმართი. მეჩხერი და უღრანი ტყეების სივრცე. ბინდში, ნისლიან და ხშირად თოვლჭყაპიან ამინდში, მშვიერ-მწყურვალეებს, ტკივილანებს და დანალვლიანებულებს ძალიან გვიჭირდა სიარული მთის გზაზე. ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვეხმარებოდით, ე. წ. ჯაჭვი გვქონდა გაკეთებული და მოძრაობის დროს ერთმანეთს ხელს არ ვუშვებდით. როცა ვინმე ადგილობრივი ცხენოსანი ან მეცხვარე შემოგხვდებოდა ყველას ერთი და იგივეს ვეკითხებოდით: „კიდევ რამდენი მანძილი დაგვრჩა სასიარულო?“. მათგან მხოლოდ ერთადერთი პასუხი გვესმოდა: „კიდევ ცოტა და მალე ჭუბერში ჩახვალთ“. ეს ცოტა კი სრული 6 დღე გაგრძელდა.

მე და დედას მხოლოდ ცოტაოდენი შაქარის მარაგი გამოგვყვა, რომელიც მას ყოველ შემთხვევისათვის ხელჩანთაში ჩაუდევს. დრო და დრო ვჭამდით შაქრის ნამცეცებს. კარგად მახსოვს გზად არაერთი ნაჭერგადაფარებული გვამი მოვიტოვეთ. მათი ხილვა მორალურად და ფსიქოლოგიურად ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო. როგორც ჩანდა იმ რთული და დამქანცველი გზისთვის ბევრ მათგანს ვერ გაეძლო, გაიყინა, ან შიმშილით მოკვდა! ... ჩვენთან ერთად ახალშობილი ბავშვით ერთი ახალგაზრდა ქალი მოდიოდა. ჩვილი გამუდმებით ტირიდა. დედამისი თითქოს შოკირებული იყო და ჩვენდა გასაკვირად, მის ტირილს ის ყურადღებას არ აქცევდა. თითქოს არ ესმოდა მისი ტირილი. დედაჩემი მიხვდა რაშიც იყო საქმე და პატარა გამოართვა. სხვა მგზავრებიც დაეხმარნენ. ზოგმა თავშალი მისცა, ზოგმა პირსახოცის ნაჭრები, გაახვიეს ბავშვი, გაათბეს, შაქრიანი წყალი ჩააწვეთეს, რაც მას ესაიამოვნა. როგორც კი მზრუნველობა იგრძნო პატარამ ტირილი მიატოვა. ამის შემდეგ ყველას რიგრიგობით მოგვყავდა ის. დედამისი თითქოს გაიყინა, გაქვავდა. არც ტირიდა, არც ლაპარაკობდა, არაფერზე არ რეაგირებდა. ინსტიქტიურად მიყვებოდა გზაზე მოძრავ კოლონას, ათასობით ადამიანს, რომლებიც ერთ ბედ ქვეშ იმყოფებოდნენ...

ერთ დღეს ჩვენს თავზე წითელჯვრიანი შვეულმფრენი დავინახეთ. ის ჩვეულებრივზე დაბლა მოფრინავდა. მივხვდით, რომ ის ჩვენ დახმარებას გაგვინევდა. მაგრამ მოხდა ჩვენთვის მოულოდნელი რამ: მისი ბორტიდან შეუფუთავი პურები ჩამოყარეს რომელთა უმეტესობა პირდაპირ ტლაპოში ჩაცვივდა. მაგრამ ამას ვინ დაეძებდა, შიმშილისაგან ძალაგამოღებული და განანამები ხალხი ერთბაშად მიცვივდა იმ ადგილს, რომ ერთი პური მაინც აეღო როგორც სიცოცხლის გადამრჩენ ერთადერთ წყაროს. სხვებთან ერთად მეც დაუფიქრებლად გავვარდი იქეთ, სადაც პურები ჩამოცვივდა. ერთი პური ავიღე და დედას გადავეცი. დედაჩემმა იმ პურის გული დაალობ და პატარს აჭამა, ჩვენ კი ტალახიან ნაჭრებს დავვკერდით. ბევრ მათგანს ის ტალახიანი პურის ნაგლეჯიც კი არ შეხვდა... მიუხედავად ამისა, ყველანი ლუკმას ერთმანეთს ვუყოფდით ...

ასე, რის ვაი-ვაგლახით, ჩავალწიეთ სანუკვრად ქცეულ ჭუბერამდე, სადაც ღირსეულად დაგხვდნენ და აღმოგვიჩინეს პირველადი დახმარება. ამის შემდეგ ქ. ზუგდიდისაკენ წამოგვიყვანეს. გზად ბევრი ე. წ. საგუშაგოები იყო. ყველგან „მხედრიონელები“ იდგნენ რომლებიც გვაჩერებდნენ და სათითაოდ საგულდაგულოდ გვჩხრეკდნენ იმ მოტივით, რომ თითქოს ვინმე იარაღს ხომ არ მალავსო. ასეთი ტანჯვის შემდეგ, არ ვიცი საიდან იპოვა დედაჩემმა მათთვის წინააღმდეგობის განევის ძალა, მაგრამ ის მათ ეჩხუბა და ე. წ. ჯარისკაცებს ეუბნებოდა: „... როგორ ბედავთ ქალებს და ბავშვებს როგორ გვჩხრეკთო, როცა ტალახში ამოგანგლეულებს, ჯოჯოხეთგამოვლილებს გვხედავთო“... დედაჩემს სხვებიც აყვინენ და არ აპატიეს „ჩვენებს“ ეს დამამცირებელი შეურაცხყოფა.

სახლიც დავკარგეთ, ახლობლები ერთმანეთს ვერ ვპოულობდით ვინაიდან არ ვიცოდით ვინ სად იყო გახიზნული. როგორი უსუსრები და მიუსაფრები ვიყავით ... დედას ნერვიული დაძაბულობისგან თმები სრულიად გაუთეთრდა. მხედველობაც დაკარგა. მაგრამ არა მართლ

დედაჩემმა, თითქმის ყველა ერთ დღეში იყო... ყველას აფხაზეთი ძალიან, ძალიან ტკიოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენ სუყველას ერთი სტატუსი მოგვანიჭეს. ჯერ ლტოლვილი, მერე დევნილი საკუთარ ქვეყანაში, სამშობლოში. ასე ვიქცით მართლა დევნილებად და დღემდე ვრჩებით ამ სტატუსის მატარებლები ...

მხოლოდ იმედი, მხოლოდ მოგონება, მონატრება, უსაშველო მონატრება და ძალიან, ძალიან ხმამაღალი ნათქვამი სიტყვები: ჩვენ უეჭველად დავბრუნდებით აფხაზეთში!!! ...

მასალა მოიპოვა და ჩაიწერა:
საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანმა,
გადამდგარმა პოლკოვნიკმა - გოგი მაისურაძემ

2023 წლის 15 სექტემბერი.
ქ. თბილისი

ჩამო ბამულო, მრავალტანჯულო!

„ ... სიკვდილის წინ ეტირა ხეს და ცრემლები ზედ მიჰყინვოდა“
(დინა მირცხულავა).
(ვუძღვნი მთელს დუნიაზე თავის გადასარჩენად
მიმოფანტულ ჩემს დებსა და ძმებს...)

ბებოსგან ბევრჯერ მსმენია,
ხე ვაჟკაცივით კვდებაო,
ორთავე ნაშრომ-ნაჯაფი
ქვესკნელის მკვიდრი ხდებაო
ხე თუ დაბერდა, დასუსტდა,
ნეკერი მიეძალება,
დაძაბუნებულს ხევისკენ
მეწყერი მიექანება.
მის წვერზე შემოსხდებიან:
ღამით ბუ, დღისით - ყვავები,
ცულ მომარჯვებულ მუშა კაცს,
მისკენ უჭირავს თვალები.
ოდესღაც ქორფას, თვალ-
ტანადს,
ჭიები შეუჩნდებიან,
კოდალები კი დრო და დრო
მის ჩორკნას შეუდგებიან...
ფესვგამხმარი და მდუმარე,
ჭრელ სამოს შემოხეული,
ველარ დგას მყარად მიწაზე
გარიყული და ეული...
ხე, ჩვენი ტყის მშვენება,
დრო-ჟამისაგან ძლეული,
დავრდომილ-დამცირებული,
ტყისთვისაც ტვირთად
ქცეული.
მზის, მთვარის, წვიმის და
ქარის,
ნუგეში მისთვის ფარსია,
იმისი ნაღვლის შემგრძნობი,
მართო ქორჩორა ხავსია ...

ჩვენთან კვლავ რატომ
არისო,
თანამოდმეთ კიდევ უკვირთ,
რაც იღვანა და რაც შექმნა
მათ არაფრად აღარ
უღირთ!...
დროს იხელთებს ცივი ქარი
საფარ ფოთლებს გაიტაცებს
მის კუთვნილ ადგილ-
სამყოფელს
ნარ-ეკალი გაინაღდებს!...
რით ვანუგეშოთ და-ძმანი
ვინც კერიიდან აჰყარეს?
სახლ-კარი რომ დაუნგრის,
დედიშობილა დაყარეს?
დევნილი კაცი ვით ის ხე,
შეძლებაშეზღუდულია,
უსახსრობისგან
ხელშეკრულს-
ჯავრით უსკდება გულია,
რომ ავაცილოთ ეს საფრთხე,
მას თანადგომა სჭირდება,
ვზრუნავთ კი მათზე დღეს
ვინმე
რომ ავაცილოთ ჭირია...?!
ფუძეს მონყვეტილ
დევნილებს
შრომა და გარჯა სწყურია,
თავი რომ გადაირჩინონ
შვილს მიუტანონ პურია...
როცა სამშობლო ისე ექცევა,
ვითარც გერს-დედინაცვალი,

დუშმანთა ძარცვა-გლეჯითა
წალიც არ დარჩა ნაცვალი,
გადიხვენება შორს, სადმე,
გროშების საფასურადა,
ფუძეზე დაბრუნებამდე,
შინ რომ არ დარჩეს
„მდგმურადა“ !...
ცხოვრება ნუთისოფელში,
მართლა რომ ფასობს
ძვირადა,
მტერს თუ არ ვებრძვით-
ტიალსა,
ჩვენს მოყვასს რატომ
ვწირავთა ?!...
ბედით ჩაგრული თავს არ
შეგვანყენს,
მას „მათხოვრობის“ მართლა
რცხვენია,
ძმანო! და-ძმისთვის კვლავაც
გავიღოთ
სულის და გულის წილი
ჩვენია!!!
თანამედროვე არაკი,
არ ძნელად გასაგებია,
მისით ფიქრ-განსჯა მასწავლა
ჩემმა მაკრინე ბებიამ
(კალმახელიძე).

გოგი მაისურაძე
2004 წ. 26 ივნისი. ქ.
თბილისი



თამარ (თამუნა) რაზმაძე

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
ეროვნული აღორძინების“ იურიდიული და
ადამიანის უფლებების დაცვის
დეპარტამენტების წევრი, მპგ
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
ეროვნული აღორძინების“

ახალგაზრდული ორგანიზაციის გამგეობის
წევრი, ჟურნალ „მატიანეს რედაქციის
წევრი და კავშირის პრესცენტრის
წარმომადგენელი,

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ორგანიზაცია

„ღირსება = თავისუფლება“ თავმჯდომარის
მოადგილე

ჯანდაცვა და სახელმწიფო მმართველობა უძველეს ცივილიზაციებში: ეგვიპტე, მესოპოტამია და ჩინეთი

შესავალი

ჯანდაცვა ყოველთვის აღემატებოდა მხოლოდ სამედიცინო ჩარევის ფარგლებს. ის იყო სოციალური კონტროლის, პოლიტიკური სტაბილურობის და იდეოლოგიური ზეგავლენის მნიშვნელოვანი იარაღი.

უძველეს ცივილიზაციებში — ეგვიპტეში, მესოპოტამიასა და ჩინეთში — ჯანდაცვა წარმოადგენდა ერთგვარ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ინარჩუნებდა წესრიგს და ლეგიტიმაციას.

ამ სტატიაში გავაანალიზებთ, როგორ აკონტროლებდა სამეფო ხელისუფლება მედიცინას, როგორ ბადებდა რელიგიური და პოლიტიკურ იდეოლოგიები სამედიცინო პრაქტიკას და რა იყო ჯანდაცვის სისტემის ადგილი სახელმწიფოს მოწყობაში.

1. ძველი ეგვიპტე: მკურნალობა როგორც სახელმწიფო სარიტუალო სამსახურში

ეგვიპტეში სახელმწიფო tightly აკონტროლებდა ჯანდაცვას. ფარაონი განიხილებოდა როგორც ღვთაებრივი ძალის მატარებელი, ხოლო ჯანმრთელობა — როგორც ამ ღვთაებრივი წესრიგის ნაწილი.

- სახელმწიფო კონტროლი: სამედიცინო დაწესებულებები ხშირად იყო ტაძრებთან დაკავშირებული. სამღვდელოების ნაწილი ასრულებდა როგორც რელიგიურ, ასევე სამედიცინო ფუნქციას.

- სამედიცინო ელიტა: ექიმები იყვნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული. ცნობილია, რომ ზოგიერთი ექიმი ემსახურებოდა მხოლოდ მაღალი რანგის პირებს — ფარაონს, დიდებულებს.

- მედიცინა და სოციალური სტრუქტურა: ეგვიპტურ საზოგადოებაში ავადმყოფობა ხშირად განიხილებოდა როგორც ზეციური დასჯა. სახელმწიფოს ვალია იყო ავადმყოფთა „განდიდება“ და სოციალური ჰარმონიის შენარჩუნება.

- მაგია და სამედიცინო სისტემა: ეგვიპტურ ჯანდაცვაში მკურნალობა ხშირად მოიცავდა მაგიურ ელემენტებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა რელიგიურ ინსტიტუტებს.

შეჯამება:

ეგვიპტეში ჯანდაცვა იყო პოლიტიკური სისტემის გაგრძელება: ჯანმრთელი ხალხი იყო სტაბილური ხალხი, ხოლო ავადმყოფობა — არეულობის რისკი.

2. მესოპოტამია: ჯანდაცვა როგორც ადმინისტრაციული ფუნქცია

მესოპოტამია იყო პირველი რეგიონი, სადაც მკაცრი სამართლებრივი და ადმინისტრაციული მიდგომები შეიმუშავეს ჯანდაცვასთან მიმართებით.

- სამართლებრივი რეგულაციები: ხამურაბის კანონები (ძვ.წ. XVIII ს.) შეიცავს სპეციფიკურ პუნქტებს ექიმის საქმიანობაზე. მაგალითად, წარმატებულ ოპერაციაზე ექიმი იღებდა სოლიდურ ანაზღაურებას, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში — შეიძლება დასჯილიყო სიკვდილითაც კი.

- სამედიცინო პროფესიის ინსტიტუციონალიზაცია: ექიმები (ასუ და ასიპუ) იყვნენ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სპეციალისტები. მკურნალობა იყო საჯარო სამსახურის ნაწილი და რეგულირდებოდა მეფის ხელისუფლებით.

- მედიცინა და სოციალურ კონტროლი: სახელმწიფო იყენებდა ჯანდაცვას როგორც გზას საზოგადოებრივი კონტროლის განსაკითხვად: ავადმყოფთა რეგისტრაცია, ეპიდემიების მართვა და მაგიური რიტუალები პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთი კომპონენტი იყო.

- რელიგიური გავლენა: სამედიცინო პრაქტიკა მიბმული იყო რელიგიურ ინსტიტუტებთან; ქურუმები აქტიურად მონაწილეობდნენ დიაგნოზსა და მკურნალობაში.

შეჯამება:

მესოპოტამიაში ჯანდაცვა გადაიქცა მეფის ძალაუფლების ადმინისტრაციულ ინსტრუმენტად, რომელიც ემსახურებოდა როგორც ჯანმრთელობის დაცვას, ასევე სამართლებრივ მმართველობას.

3. ძველი ჩინეთი: ჯანმრთელობა როგორც მმართველობის ფილოსოფია

ჩინურ ცივილიზაციაში ჯანმრთელობა განიხილებოდა როგორც სოციალური და კოსმიური წესრიგის ნაწილი.

- ჯანმრთელობა და სახელმწიფო წესრიგი: ძველი ჩინური თეორიების მიხედვით, სახელმწიფოს მმართველობა უნდა ეფუძნებოდეს ბუნებრივ და კოსმიურ კანონებს. ჯანმრთელი სახელმწიფო — ესაა ისეთი სისტემა, სადაც ინი და იანი ჰარმონიულად იკვეთება.

- იმპერატორები და მედიცინა: იმპერატორის ძირითადი მოვალეობათაგანი იყო ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ცუდი სამედიცინო მდგომარეობა აღიქმებოდა, როგორც სამეფო მმართველობის კრიზისის ნიშანი.

- პრევენცია და ადმინისტრირება: ჩინურმა ჯანდაცვამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროფილაქტიკას — მკურნალობა იწყებოდა დაავადების წარმოშობამდე. სახელმწიფო ავრცელებდა წესებს ჰიგიენაზე, კვებაზე, ცხოვრების წესზე.

- აკადემიური მედიცინა: შეიქმნა სამედიცინო სკოლები და დაწესდა ექიმთა გამოცდები, რაც უმაღლესი კლასების მმართველობის ნაწილად იქცა.

შეჯამება:

ჩინური ჯანდაცვა იყო არა მხოლოდ სამედიცინო სისტემა, არამედ სახელმწიფო ფილოსოფიის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მოითხოვდა მუდმივ ჰარმონიას მმართველობასა და მოქალაქეთა ჯანმრთელობას შორის.

დ ა ს კ ვ ნ ა

უძველეს ცივილიზაციებში ჯანდაცვა არ იყო დამოუკიდებელი დისციპლინა; ის განუყოფლად იყო დაკავშირებული სახელმწიფო მართვასთან, სოციალურ კონტროლთან და იდეოლოგიურ დოქტრინებთან.

ეგვიპტეში — რელიგიის მეშვეობით, მესოპოტამიაში — სამართლებრივი მექანიზმებით, ხოლო ჩინეთში — ფილოსოფიური სისტემით, ჯანმრთელობის დაცვა გადაიქცა ხელისუფლების განმტკიცების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

დღესაც, თანამედროვე სახელმწიფოებში ჯანდაცვა არის პოლიტიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი — იგი განსაზღვრავს სახელმწიფოს სიძლიერეს, მდგრადობას და მოქალაქეთა ლეგიტიმურ ნდობას მმართველობის მიმართ.

სამწუხაროდ საქართველოში ...



საქართველო ექთნებისგან და ზოგადად სამედიცინო პერსონალისგან იცლება და ევროპაში გარბის ყველა, იმიტომ რომ ევროპული ანაზღაურება და სამუშაო პირობები უნდათ, ვილაც „რანდომ ტიპი“ არ უნდა წყვეტდეს რამდენი იქნება ამ ქვეყანაში მათი ხელფასი, რადგან არ იცი მისი მუშაობა და არ უნდა გადანწყვიტო, რამდენს უნდა განოიმუშავებდეს მედდა! ...

თუ სამსახურში ყოფნის დროს არასოდეს დაგიხურავთ გვამის ჩანთა, თქვენ არ უნდა გადანწყვიტოთ რამდენს გამოიმუშავებს მედდა! ... თუ თქვენ არასოდეს უყურებთ ვინმეს, როგორ იხრჩობა საკუთარ სისხლში ან სეკრეტში, თქვენ არ უნდა გადანწყვიტოთ, რამდენს გამოიმუშავებს მედდა! ...

თუ თქვენ არასოდეს უცემიხართ პაციენტს, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მხოლოდ მასზე ზრუნვა გსურთ, თქვენ არ უნდა გადანწყვიტოთ, რამდენს გამოიმუშავებს მედდა! ...

თუ თქვენ არასოდეს გყოლიათ ვინმე, ვინც გადარჩენას გეხვეწება, ან პირიქით სიკვდილს დანებებას გთხოვთ, თქვენ არ უნდა გადანწყვიტოთ, რამდენს გამოიმუშავებს მედდა! ...

თუ თქვენ არასოდეს ჩაგიხედავთ თქვენი პაციენტის ახლობლების თვალებში და არ გიცდიათ მათი თანაგრძნობა, როცა ისინი შვილის, დედის, მამის, დის, დეიდის, ბაბუის სიკვდილის წინაშე დგანან და ემოციურად და ფიზიკურად ინგრევიან, არ უნდა გადანწყვიტოთ რა ხელფასი უნდა ჰქონდეს მედდას! ...

თუ თქვენ არასოდეს გითქვამთ თქვენი ოჯახისთვის, რომ დღემ კარგად ჩაიარა, უბრალოდ იმისთვის, რომ დაზოგოთ ისინი იმისგან, რაც იმ დღეს ნახეთ, თქვენ არ უნდა გადანწყვიტოთ, რამდენს გამოიმუშავებს მედდა! ...

მე ყოველთვის ვამბობდი, ვამბობ და გავიმეორებ მანამ, სანამ რამეს მიაღწევ და მწვერვალზე აღმოჩნდები უნდა გაიარო ყველა ეტაპი, სწორედ ამ მიზეზით პირველი კურსიდან კლინიკასთან რაღაც დონის შეხება მქონდა, ყველაზე დაბალი საფეხურიდან დავიწყე და ეტაპობრივად ვიზრდები, მე რომ თავად არ ვყოფილიყავი ექთანი/მედდა, ვნახავდი მაგრამ ვერასოდეს მივხვდებოდი რამხელა შრომა ჭირდება იმას რომ იყო მედდა, იყო სანიტარი, იყო უმცროსი ექიმი და თუნდაც რიგითი ექიმი, როგორიც დღეს ... ერთადერთი შვება და ხსნა, სამწუხაროდ დღეს ევროპაშია ...

სამწუხაროდ, მედპერსონალს ჩვენს ქვეყანაში დაფასება არ აქვს. ხელფასი მაგათ არ აქვთ, დაზღვევა მაგათ არ აქვთ, პატივისცემა მაგათ არ აქვთ. არა და ყველაზე საპატიო სპეციალობაა.

აუცილებელია, არსებობდეს სამუშაო გრაფიკი და შედარებითი კომფორტი. მედპერსონალს არ უნდა უწევდეს თვეში 30 დღე 24 საათიანი მორიგეობებში ყოფნა საარსებო მინიმუმისთვის. ევროპას აქვს გრაფიკი და ანაზღაურება ისეთი, რომ ყველა ცდილობს წავიდეს.

საჭიროა, მეტი დაფასება მედდებს! მათი თავდადება იმსახურებს ევროპულ სამუშაო პირობებსა და ანაზღაურებას, მედპერსონალი ნამდვილად იმსახურებს მეტ დაფასებას.

საშურო და აუცილებელია ნებისმიერ დარგში, განსაკუთრებით კი მედიცინის დარგში ელემენტარული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა! ...

თორნიკე დარახველიძე



მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
ეროვნული აღორძინების" იურიდიული და
ადამიანის უფლებების დაცვის
დეპარტამენტების წევრი, მპგ „საქართველოს
ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"
ახალგაზრდული ორგანიზაციის გამგეობის
წევრი,
სამოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია
„ღირსება = თავისუფლება"
წევრი

ჩემი სულიერი მისია

მე, თორნიკე დარახველიძე, დავიბადე ქ. თბილისში 1995 წლის

დედა - ნინო ჭანტურია, მამა - თამაზ დარახველიძე (ანგარდაცვლილი).

დღესაც ვაკეთებ იმას, რაც მასწავლეს ჩემმა მშობლებმა, წინაპრებმა: სამშობლოს სიყვარული, ოჯახის სიყვარული, ვაჟკაცობა, ერთგულება. ვაგრძელებ ჩემი წინაპრების გზას, რომელიც არც ჩემით დაწყებულა და არც ჩემით დამთავრდება. დავიბადე სწორედ იმ პერიოდში როდესაც მთელი ქვეყანა იმკიდა, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის ძალისმიერი დამხობის უმძიმეს შედეგებს. ეს პერიოდი მე არ მახსოვს, მაგრამ კარგად ახსოვთ ჩემს მშობლებს, მათ თანამებრძოლებს, რომლებმაც თავდაუზოგავრი ბრძოლით ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენებითაც მოიპოვეს საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

როდესაც წამოვიზარდე მახსოვს ოჯახში ხშირად საუბრობდნენ იმაზე, თუ რა პერიოდი გავიარეთ ე. წ. „ოთხმოცდაათიან“ წლებში, დღესაც უარყოფითად მოიხსენიებენ ვინმე ედუარდ შევარდნაძეს. ხშირად მესმოდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების სახელები. ამ საუბრებიდან ფრაგმენტები მახსოვს. პერიოდულად აფხაზეთის ომის თემაც შუქდებოდა. მიჩნდებოდა კითხვები, რომლებსაც მშობლებს ვუსვამდი. მშობლები მიყვებოდნენ აფხაზეთის ომის შესახებ, ვინაიდან მათი უახლოესი გარემოცვიდან, ახლობლებმა გმირულად შეწირეს თავი სამშობლოს. მამა ხშირად მიყვებოდა საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, რომელიც რეალურად დიდი ბრძოლა იყო სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მამა გახლდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი ეროვნული აღორძინების წევრი.

მისი მონაყოლიდან ვიგებდი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. თუ როგორ მოიპოვა დამოუკიდებლობა ჩვენმა ქვეყანამ, ვინ იყვნენ ამ ყოველივეს სულის ჩამდგმელნი - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ის მესაუბრებოდა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ისტორიაში მონაწილე თითოეულმა პიროვნებამ. ყოველივე ყოველდღიურად ვურთიერთობდი ადამიანებთან რომლებიც იყვნენ და არიან ეროვნულები და მუდამ სამშობლოსადმი ერთგულები რჩებიან.

მნიშვნელოვანია, რომ მეც მამის გზას გავეყვი და მის მეგობრებთან ერთად მეც ვიბრძვი საქართველოში სამართლიანობისა და კანონის უზენაესობისათვის!

აღსანიშნავია, რომ ეს თემაც - „ჩემი სულიერი მისია“ მამაჩემის მეგობარმა, ბატონმა ნუკრი ბაღდავაძემ მომანოდა და თავადაც დამეხმარა მის ჩამოყალიბებაში, მომცა რა დიდებული სამოგადო მოღვაწისა და მწერლის გრიგოლ რობაქიძის უკვდავი წიგნი „საქართველოს სათავენი“ სახელმძღვანელოდ.

გრიგოლ რობაქიძე „საქართველოს სათავენი“

გრიგოლ რობაქიძის ნარკვევი „საქართველოს სათავენი“ 1944 წელს გამოქვეყნდა ბერლინში (ჟურნალი „ქართველი ერი“, № 1, 2, 3, რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე). „საქართველოს სათავენი“ წარმოადგენს გრიგოლ რობაქიძის მთელი შემოქმედების. მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შეხედულებების ერთგვარ შეჯამებას. ამ ნაშრომში ავტორს გამოყენებული აქვს სხვადასხვა დროს სხვადასხვა წიგნსა, თუ ნარკვევში გამოთქმული დებულებები, უფრო ფართოდ მსჯელობს მრავალ საკითხზე, რომლებიც სხვა ნაშრომებში მხოლოდ გაკვრით გაიელვებდა ხოლმე. ამდენად, ეს ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს გრ. რობაქიძის მსოფლმხედველობისა და პოეტური მრწამსის ყველაზე უფრო სრულ და ნათელ გამოხატულებად (ყოველ შემთხვევაში, იმ თხზულებათა შორის მაინც, რომელნიც დღეს ჩვენს ხელთაა). ნარკვევის „ბოლოსიტყვა“-ში, ავტორი წერს, საბჭოეთის დატოვების მთავარი მიზეზი სწორედ ამ ნაშრომში გადმოცემული მსოფლმხედველობრივი კონცეფციააო. ეს ბოლოსიტყვაობა განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გამოც, რომ სწორედ აქ ხსნის ავტორი თავისი ნაშრომის მნიშვნელობას: „ამ ნარკვევს მე ვუტოვებ ქართველობას ანდერძად“. გრიგოლ რობაქიძის ამ „ანდერძს“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვიქტორ ნოზაძეც, რომელმაც თავის შესანიშნავ წიგნში „ვეფხისტყაოსნის მზის მეტყველება“ (სანტიაგო დე ჩილე, 1957) თითქმის მთლიანად გადმოიტანა ამ ნაშრომის ერთ-ერთი თავი („მზის ხანა ქართველთა“).

გრიგოლ რობაქიძის „საქართველოს სათავენი“ თითქმის ნახევარი საუკუნის დაგვიანებით იბეჭდება საქართველოში. იგი ერთგვარად ავსებს ამ ხარვეზს, რაც ჟამთა სათავემ განაპირობა: საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა ცხარე და დაძაბული კამათი ქართველი ერის ეროვნულ ნიშანთვისებათა, კულტურული და მითოლოგიური ძირების გასარკვევად. ეს კამათი ათეული წლების განმავლობაში მინავლებული იყო და მხოლოდ ჩვენს დროში 70-—80-იან წლებში, განახლდა. ამ ორ მოვლენას შორის დგას გრიგოლ რობაქიძის ბრწყინვალე გამოკვლევა, რომელიც თითქოს ამთლიანებს ეროვნული თვითშემეცნების ხელოვნურად განწყვეტილ პროცესს.

შინაგანი გეზი ამ ნარკვევისა მოქცეულია იმ მსოფლმხედველობაში, რომელსაც „ტრადიციულს“ უხმობენ. სიტყვა „ტრადიცია“ უცხოა და ფრანგულად: *tradition*, გერმანულად: *Ueberlieferung*, რუსულად: პრედანიე, ქართულად: გადმოცემა. ნაგულისხმევია არა ჩვეული გაგება ამ ცნებისა – მაგალითად არა ესა, თუ ის ჩვეულება რომელიმე ტომისა და გვარისა, არამედ ხილვით, თუ ქმედით გამოსვლა მეტაფიზიურ სათავეებიდან. მრავალ ავტორთაგან, რომელნიც იკვლევენ ტრადიციას. ამ გაგებით, მინდა აქ დავასახელოთ მხოლოდ ხუთი: ფრანგი René Guénon, გერმანელი Leopold Ziegler, იტალიელი Julius Evola, დანიელი Wilhelm Prænbeck, რუსი დიმიტრი მერეჟკოვსკი, ტრადიციაში ვლინდება მსოფლსახე, ერის შინაგანი არსის მიერ ხილული. ამ მხრით მრავალი მსოფლიო კულტურაა განხილული, ზოგი გაკვრით, ზოგი ვრცლად: ჩინელთა, ჰინდოელთა, ჰალდეელთა, ბერძენთა, ლათინელთა, კელტთა, გერმანელთა, სლავთა და სხვათა. ტრადიცია ქართველი ერისა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული: მასალა კი მისი რკვევისათვის მრავლადაა „მონივთული“.

მე მარგუნა ბედმა შინაგან ვწვდომოდი შემოქმედების დროს ქართველთა ტრადიციას და მინდა ვამცნო ქართველობას მისი ტრადიციები.

ქცეული და ქცევადი

რას ნიშნავს გამოსვლა მეტაფიზიკური სათავეებიდან? ამ კითხვის გასაშუქებლად, საჭიროა უპირველეს ყოვლისა ზღვარი იყოს გავლებული „ქცეულისა“ და „ქცევადის“ შორის. ავიღოთ მაგალითი. ვარდის მორჩი თავსა ჰყოფს მიწის საშოდან, იზრდება თანდათან, მტკიცდება როგორც კლერტი და ბოლოს ისხამს კოკორს, რომლისგანაც ყვავილოვან იფურცლება: შემდგომ მიაღწებს რა სრულყოფას, ჭკნება იგი, ხმება, ჰქრება: თითქოს უბრუნდება მის მშობლიურ წიაღს, რათა იქიდან კვლავ მოევლინოს არეს, თუმცა-ღა არა როგორც „იგივე“, გარნა მაინც „იმგვარი“. და ასე: წლიდან წლამდე, უკუნიითი უკუნისამდე. ვარდი - მცენარე, ვხედავთ „ქცეულია“ იმ თავითვე. მისი - ვითარება: მორჩიდან კლერტამდე, კლერტიდან კოკრამდე, კოკრიდან აყვავილებამდე - მიდის ერთი უცვლელი ხაზით: უცვლელი, ვინაიდან დროგანვლილი ვითარება მისი დადგენილია ზესთადროულ დამყარებულ კანონიერებით. ასეთია ვითარება „ქცეულ“ სამყაროში. ამ სამყაროში არა აქვს ადგილი: არცა სწორს და არცა მრუდეს, არცა წაღმართს და არც უკუღმართს, არცა მართალს და არც უმართლოს, არცა კარგს და არც ავს, არცა კეთილს და არც ბოროტს. ეს მეტაფიზიკური ტეხილი შეაქვს სამყაროში მხოლოდ ერთს არსს. ადამიანს, ერთი მხრით ადამიანი „ქცეულია“, მის ბუნებაში მინერალურიცაა, მცენარეულიც და ცხოველურიც.

მეორე მხრით იგი მეტია ვიდრე მინერალური თუ მცენარე, ან თუ ცხოველი, რა არის ეს ზედმეტი მასში? პასუხი ერთია მხოლოდ: ლოგოს, ქართულად „ჰარი“ ან „გონი“. ჰარით თუ გონით ადამიანი თანაზიარია თვითონ შემოქმედისა, ღმერთის, ეს არის საოცარი თუ საცნაური. ზოგნი ამტკიცებენ: თითქოს ღმერთი სამყაროს გარე დგას - ტრანსცენდენტურ, ვიეთნი კიდევ: თითქო სამყაროში ვლინებით იწურებოდეს იგი - იმმანენტურ, ცალცალკე აგებული, არც პირველი მტკიცებაა მართალი და არც მეორე; ხოლო ერთიმეორესთან „შერიგებული“, ორივე სწორია. ღმერთი „ადგენს“ თავის თავს სამყაროში, გარნა ამ „დგინებით“ არ „თავდება“ იგი. ყოველი მქმედი აცხადებს - კიდევ მეტი: ამყარებს - თავისს არსებას ნაქნარში, მაგრამ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ რომ მქნელი და ქმნილი ერთი და იგივეა? არა, ასე თუ ისე, უდავოა ერთი რამა ღმერთი მხილდება, ცნაურდება სამყაროში - ხოლო ორი გზით: „ქცეულში“ მისი ქმედითი აქტი, ასე ვთქვათ, დასრულებულია - აქედან: უცვლელი კანონიერება მინერალურში, თუ მცენარეულში ან თუ ცხოველურში; ადამიანში კი ეს აქტი ღვთისა ჩანასახია თითქოს, რომელიც ადამიანმა თვითონ უნდა განასხეულოს. აქ მარხია ადამიანის ღვთიურზიარყოფილობა. ადამიანს შეუძლია ასეც იმოქმედოს და ისეც - თავისუფლება ღვთიურობის ნიშანია. ხოლო: რადგან ადამიანი ღმერთი არ არის მაინც, იმის გამო სიცოცხლე მისი ცდაა შინაგანი, ცდა: რომელსაც „ცდენა“ - „ცდომად“ თან ახლავს მუდამუჟამ. შესაძლოა ვიდოდეს ადამიანი ღვთიური გზით, შესაძლოა გადაუხვიოს მან ამ გზს და აი, გვევლინება იგი: სწორად ან მრუდედ, წაღმართად ან უკუღმართად, მართლად ან უმართლოდ, კარგად, ან ავად, კეთილად, ან ბოროტად. იგი ყოველ წელს გზაჯვარედინზეა მომდგარი: მარჯვნივ მარჯი, ანუ მისი ღვთიური მოდგმის „განაღდება“, მარცხნივ - მარცხი, ანუ ღვთის ღალატი და განადგურება. ეს უსაშინელესი და თანვე უნაყოფიერესი ჭიმი, თუ ძაბული ღვთიურისა და არაღვთიურის ადამიანის ბუნებაში. მაისტერ Ekhlat-მა გამოჰკვეთა ერთს სწორუპოვარ თქმაში: „თუმცაღა სრულიად სხვა, იგი, ღმერთი, უფრო ახლოა ჩემთან ვიდრე მე თვითონ ჩემ თავთან“. ეს ერთი წინადადება ორმოც ტომს უდრის - ისეთი უკანასკნელი წვდომით არის აქ ჩამოსხმული სიღრმე ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთ მიმოქცევისა. დააკვირდით ამ თქმას! „სრულიად სხვა“ - ესე იგი ტრანსცენდენტი: „უფრო ახლო“ - ესე იგი იმმანენტი, და შემდეგ: „უფრო ახლო ჩემთან ვიდრე მე თვითონ ჩემ თავთან“ - ანუ: მე ვარ ნამდვილი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩემში ხორციელდება იგი: „სრულიად სხვა, ანუ ღმერთი. დავსკვნით: ადამიანი, 'ქცეულია'; რადგან იგი ნახევრად ნივთიერ სამყაროს ეკუთვნის, იგი თანვე „ქცევადია“, ვინაიდან მეორე ნახევრით თავის ბუნებისა იგი ღვთიურ თაურსაა ზიარებული: მქმნელი და მქნადი ერთად. ქცევადი სამყარო - არა სამყარო, ერთხელ და სამუდამოდ ქმნილი, არამედ ისეთი, რომელიც მუდამუჟამ იქმნის -

არის არე ადამიანის თვითმხილების და თვითმყარებისა. ვითარება არ არეში უბრალო „პროცესში“, ანუ ნატურალური დგენა მინერალის, მცენარის, ცხოველის, - არამედ ქმედითი „ისტორია“, სავსე დრამატიული ხვეულით და განფენით. „ისტორია“ ესე მოითხოვს არა მარტო წინხედვას: „საითკენ“, არამედ უკან გახედვასაც: „საიდან“. ტრადიციის სათავეც აქაა. ტრადიცია აქვს მხოლოდ მას, ვისაც ძალუძს სიღრმიდან თავის არსებისა აღიაროს ეკპარტივით: - თუმცა-ღა სრულიად სხვა, იგი, ღმერთი, უფრო ახლოა ჩემთან ვიდრე მე თვითონ ჩემ თავთან“.

სათავე მითიურ სახული

ტრადიციული სათავეს გნდესთან იშვის პირველხილვა (Umschau) და პირველქმედება (Urtat), ხილვა და ქმედება ტომისა თუ ხალხის, სიტყვით „სათავე“ ნაგულისხმევია აქ არა ისტორიული „დასაწყისი“: „ჯერ ეს იყო და შემდეგ ეს“, არამედ ზესტადროული ხტილი მარადი მყოფადისა: „ეს არ ყოფილა ერთხელ; ეს არის ყოვეთვის“, ძველი რომაელი ავტორის სალლუსტის ბრძნული თქმა რომ ვიხმართ. ავიღოთ მაგალითი. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, ვთქვათ, სადღაც ერთი რამ ნაშენი განსაკუთრებული აღნაგობისა, რომელსაც ისინი როგორც მცოდნენი აკუთვნებენ მეშვიდე საუკუნის დამდეგს ჩვენი წელთაღრიცხვისა. ეს იქნება ისტორიული „დათარიღება“ აღმოჩენილი ნაშენისა. ეხლა ვიკითხოთ: შეგვიძლია თუ არა ასეთნაირად დავათარიღოთ რომელიმე ტომის თუ ხალხის მოვლინება? არა? ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მაგალითად, რომ ესა თუ ის ტომი, თუ ხალხი გვხვდება ისტორიაში არა უადრეს მეათე საუკუნისა ქრისტეს დაბადებამდე - გარნა ეს დათარიღება სრულიად არ უდრის აღმოჩენილი შენობის დათარიღებას: შენობა იგი „შენდება“, ვგულისხმობთ, მეშვიდე საუკუნის დამდეგს ჩვენი წელთაღრიცხვის, მანამდე იგი არ არსებობს. მონახული ტომი, თუ ხალხი კი არ „დგინდება“ პირველად მეათე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე, იგი უკვე დგინებული გვხვდება წინ: ჯიშით, ენით, კულტურით; თარიღი მისი იქნება მხოლოდ აღნიშვნა მისი გამოსვლისა ისტორიულ არეზე - სხვა არაფერი; რაც შეეხება აქვს მისი შექმნისა, იგი ეონებში იკარგება. როგორ? იგი არსია და მაშასადამე: ღვთის მიერ ქმნილი სახე და როგორც ასეთი: „დასაწყისის“ გარე სდგას. კიდევ მეტი. მას არც ბოლო აქვს. შესაძლ;თა რომელიმე ტპში თუ ხალხი კიდევ გადაშენდეს, ხოლო ღვთიური ქმნილი სახე მისი ამით არ აღიგვება სამყაროდან: იგი ადმე ამოყოფს თავს უთუოდ, მართალია არა როგორც ტომი თუ ხალხი, ხოლო მაიაც როგორ დანაშთი ყოფილისა. ეტრუსკები მაგალითად როგორც ხალხი დიდი ხანია აღარ არსებობენ, გარნა მათ ნაშიერს დღესაც შევხვდებით ფლორენციაში. დაახლოებით ასეთს მაგალითს იძლევიან ჩვენი უდებიც.

„ურფენომენი“

ტომი თუ ხალხი არის ღვთიური ქმნილი სახე: იგი ცოცხალი არსია. მისი წარმოსახვა მხოლოდ მითური ხილვით შეიძლება, რომლის სწორუპოვარი მზმელი დიდი გოეთეა: მგოსანი და ბრძენი. მისი სწავლა Urphahomen-ის შესახებ უგენიალესი ცნაურებაა მთელს კულტურაში დასავლეთისა. მოკლედ ეს სწავლა, გოეთე იკვლევს მცენარის ბუნებას. მცენრე დანადვილებით ვლინდება მხოლოდ რომელ;იმე ხტილში თავის ვითარებისა: ან მორჩობისას ან ცენებისა ან ყვავილობისას, - ასე ვთქვათ, ნაწილობით და არა მთლად. გოეთე ჭვრეტს მის ვლენას წინისაკენ: მორჩიდან ყლორტამდე, ხოლო თანვე უკანისკენაც: ყლორტიდან მორჩამდე. ამავე დროს მას ცოდნაც აქვს მოპოვებული“ რომ ყოველ ნაწილისაგან მცენარისა შესაძლოა მთელი მცენარე აღმოცენდეს - და აი: იგი ხედავს მთელ მცენარეს ყოველ მის ბიჯრში და სალტავს მას როგორც „შინაგან სახეს“ მცენარისა. ეს სახე ერთთავადაა მოცემული მცენარის ვითარების ყოველ მუხლში. იგი არაა ხელშესახები, ხოლო ნამდვილზე უნამდვილესია - რადგან იგი შინაგანი მქმედია მცენარისა. „Urpflanze“ - ეს სახელი დაარქვა მხილველმა მცენარის შინაგან სახეს. ამ ხილვაში პლასტიური, თითქმის ნივთიერი „სისრქე“ (Dichte) იპოვა დიდი

ტრადიციონალისტის ცნაურებამ: პლატონის „იდეამ“. არავის ეგონოს: გოეთეს ხილვა იყოს თითქო მხოლოდ პოეტური. ეს ხილვა ჩვენი დროის ბუნების მეტყველების გამოსასცვლელ მუხლად ითვლება. ამრიგად: „პირველ მცენარე“ შინაგანი სახეა მცენარის და როგორც ასეთი, ასე ვთქვათ მისი მითიური რეალობა.

ხატი

შინაგანი (ხატი) სახე: ესევეა ტომი, თუ ხალხი, როგორც კრებული არსი. არსად არ მიუღია კრებული არსის მითიურ ხილვას ისეთი „სახე“, როგორც ქართველი ხალხის გონების ერთ ხტილში: ვგულისხმობ „ხატს“. ბარის ხატი ნიშნავს სათაყვანო სურათს რომელიმე წმინდანისა, ხოლო მთაში მას ჯერაც არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა: მითიური: ხატი მთაში სახელია სალოცავისა; ხშირად მის მაგიერ „ჯვარის“ იხმარება: „სკამს იჯდა ბაბურაული გუდანს გუდანის ჯვარშია“ - ნათქვამია ვაჟა-ფშაველას ერთ შაირში, „წილისმყრელები შევარდენ ბაბურაულთან ხატშია“ - ნათქვამია მისავე მეორე შაირში. ხოლო საკვირველი: მთიელთა - „ხატში“ - სალოცავში, არავითარი „ხატი“ ამ სახელს ბარის გაგებით არ მოიპოვება. შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ „ხატი“ შენობაა სალოცავი. არც ეს იქნება სწორი. იგივე ვაჟა-ფშაველა თავის შესანიშნავ შაირში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედის მიმართ“ ასე ამეტყველებს მეომარს:

ერთი რა უნდა გაუწყო,
გაკვირვებულ ვარ ამითა:
როცა ომი გვაქვს ქართველებს,
ჯარს, ნათელი გვიძღვის ღამითა
კაცი - რამ ლურჯ-ცხენიანი,
ამოღებული ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა სახით და ტანიტა;
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდი კაეშანითა,
ეს ჩვენი ჩუმი ფრინველი
ლაშარის ჯვარად ვცანითა.

„ჯვარი“, ანუ „ხატი“ შენობის ამსახველი რომ იყოს, რანაირად მოევლინებოდა იგი მეომართ, როგორც „კაცი - რამ ლურჯ-ცხენიანი?“ არა: ჯვარი, თუ ხატი რქმევია შინაგანი სახისა. ვისი სახის? ლაშარის - აი პასუხი, მოცემული ვაჟას უკვდავი შაირიდან. ლაშარი ბრწყინვალე, სხივოსანი - გვევლინება, როგორც პიროვნული განსახიერება ტომის ფიზიურ - „ჰარიტი“ ღვთიური შუაგულისა. ლაშარი - იგივეა ტომის კრებული არსისა. ამ ჰიპოთეზს ამაგრებს შემდეგი. ლუდის რიტუალურ გამოხდისათვის წყალი მთელმა სოფელმა უნდა მიიტანოს ერთად სალოცავში: ხაზგასმულია ტომის დგინება, როგორც ერთი „მთელისა“ კიდევ უფრო გარკვეული შესანიშნავი მიაქვს სალოცავში ყოველ კომლს თანაბრად, მიუხედავად მეკომურთა რიცხვისა, ტომის განუცალკევებელი მთლიანობა აქ უკვე ხელსახეებადაა გულზეებული. ტომი: ერთი მთლიანი არსი, რომელიც პიროვნდება შინაგან სახედ ცალკეულთა ხილვაში - აი, რა არის „ხატი“ ქართველთა „ხატი“ მითიური ხილვა უხილავი არსის - მთაში ჯერ კიდევ ცოცხალია. ბარში ეს ხილვა უკვე დაკარგულია. ამ ხილვის ნათელსაყოფად არ იქნება ზედმეტი, მოვიყვანო აქ როგორც ერთგვარი ანალოგია ჩვენი დროის ბიოლოგიიდან. სახელგანთქმულმა მეცნიერმა Hans Driesch ერთი საკვირველი სცადა. მან აიღო სინსილა ზღვის ბუძგისა და განკვეთა იგი ორად. განკვეთილ სიმნსილასაგან წარმოიშა ერთი წყვილი, მაგრამ არა ნახევარ-ნახევარ, როგორც საფიქრალი იყო, არამედ მთელ-მთელ, მხოლოდ ოდნობით მილაგებულნი ერთიმეორესთან, უდრიდნენ წარმოშობილნი არაწარმოშობილს. გასაოცარი საიდუმლო მთელისა, რომელიც ყოველთვის მთელი რჩება, მაშინაც კი, როცა იგი ნაწილდება. ზღვის ბუძგი, რომელიც უნდა შობილიყო, არ წარმოშობილა. გარნა არ არსებობს იგი? იგი ცოცხალია - თუმცა ვრცეულ არ მოვლენილი - მისი სინსილასაგან წარმოშობილი წყვილი.

მიეცით ამ პატარა ბუძგებს თვითცნობა ადამიანისა - თვითეული მათგანი თავის თავში

ახალშობილს: როგორც მის შინაგან მდგენს. უკანასკნელი - უხილავი და ხელუხლებელი - იქნება თვითთვლელ მათგანში წარმოსახული როგორც სახე შინაგანი, ანუ: „ხატი“. ეს მაგალითი სწორუპოვრად გვისახავს ტომის „ხატებას“ ცალკეულთა თვითშეცნებაში. ხოლო ანალოგია ამის იქით ადამიანის სამყაროში არ უნდა გავრცელდეს, რადგან, როგორც უკვე ითქვა: ადამიანი მეტაბიოლოგიური მოვლენაა. ცხოველთა სამეფოში ცალკეული წარმავალია, გვარი კი წარუვალს; ადამიანთა სამყაროში კი იგივე ვერ ითქმის. მაგრამ ეს ცალკე საგანია.

სიტყვა და შესატყვისი

ტომი როგორც ცოცხალი არსი პირველ ყოვლისა ენაში ცხადდება. საოცაროა ეს ცხადება ენის ძირა ფენებში. ავიღოთ ქართული სიტყვა: „სიტყვა“. ამ სიტყვას არავითარი კავშირი არ აქვს ზედა ფენში სიტყვასთან: „ტყვე“; ძირა ფენში კი - ყრმა. სიტყვაცა თითქო იჭერს საგანს თუ მოვლენას, როცა იგი ერქმევა მას: „ატყვევებს“, აქედან: „მჭერ-მეტყველი“, ხოლო დატყვევება აქ ძალადობას კი არ მოასწავებს, არამედ განაყოფიერებას - და სიტყვა „ტყვე“ ნახულობს გამოხმაურებას თავის მხრით კიდევ სხვა საიდუმლო სიტყვაში. თვითონ „რქმევაც“ ამგვარი აგებულებისაა. იგი ნიშნავს „ხურვას“. აქედან: „სარქველი“ (ჭურის); „სარეველი“ (ქუდი, თავსახურავი); შემდგომ: „დარქმევა“ - სახელი ერქმის საგანს თუ მოვლენას: ხურავს, სალტავს მას; აგრეთვე: „მირქმევა“ (მირქმევა უფლისა); ბოლოს: „აღქმევა“, ათვისება, Perception. ენის ქვედენაში ცნაურდება პირველად „ლოგოს“ - და ნიშნავს იგი ხომ „სიტყვასთან“ ერთად „გონსაც“. ყოველი მოვლენა არის ის, რაც არის, თანახმად არისტოტელეს დებულებისა: $A=A$. ხოლო ეს კანონი იგივეობისა ვერ ხსნის მაინც საბოლოოდ მოვლენას. „კაცი“ მაგალითად არის კაცი - ეს ცხადია, მაგრამ მის ბუნებაში თანვე მზიურიცაა, მუხურიც, ქვაურიც - და აი, რომელიმე სახსარში თავის ყოფისა იგი „ედარება“: მზეს, მუხას, ქვას. ჩვენი დროის ამროვნებაში ფესვს იდგამს იგივეობის კანონის გვერდით მეორე დებულება: A არის A , მაგრამ იგი სადღაც ბ-ც არის: ეს იგი აქ, საცა A ეხმაურება B -ს. საგანთა, თუ მოვლენათა ამგვარად ხილულ ურთიერთობას ფრანგები უწოდებენ „Correspondance“, გერმანელები *Entsprechung*. ქართულში ამ ცნების გამოსათქმელად მრავალი სიტყვა მოიპოვება: შესიტყვება, შეხამება, შეფერება, შეფარდება, შეთანხმება. საგანთა, თუ მოვლენათა გამოხმაურში ერთი მეორესთან ქართულში უფრო მეტად ყურადიღებს თვითონ საგანს თუ მოვლენას: რომელი ეხმაურება რომელს, ვიდრე თვითონ აქტს გამოხმაურისა, და ამისათვის ამბობს: „შესატყვისი“ მაგიერ „შესიტყვებისა“. კეთილხმოვანებისათვის მე ავიიჩრევდი: „შესადარს“ ან უფრო მოკვეთილ „სადარს“. ამ რიგად: საგანი და მოვლენანი ერთი მეორეს ეხმაურებიან და ეთანხმებიან: ყოველი საგანი თუ მოვლენა ამსახველი სარკეა მეორე საგნის თუ მოვლენისათვის. ემა ამზეურებს ამ საიდუმლოს, იგი უღრმესი მოაზრება, რადგან მის მიერ ცხადებული აზრი სახეა თვითონ: იგი უდიდესი მგოსანია, რადგან მის მიერ ხილული სახე აზრია თვითონ. „სადარის“ ცნაურებაში ქართულის, ვფიქრობ, სხვა ენა ვერ გაეტოლება. მარტოდმარტო ზემოხსენებული „რქმევა“ რად ღირს? და ეს ერთი მაგალითია ათასიდან. ტომის, თუ ხალხის არსი ხშირად ორი სიტყვის გადაბმით უნივერსალურ ასპექტს იძლევა მსოფლიოისა. ვარსკვლავთა არეში ერთ ალაგს ქართველი ხედავს „ირმის ნახტომს“ იქ, საცა სხვა ხალხნი „დიდ დათვს“ ხედავენ. განიხილეთ მითიურ სვანეთის წმინდა ცხოველი თეთრი ჭიხვი (ჭვეგი თვაალ) და მისი შესატყვისი ხევსურეთში თეთრი ხარიჩემი („ჭონქაი“). არაკვიეთ მითიურადვე, თუ რას ნიშნავს „ნახტომი“ - და თქვენ დაინახავთ, რომ ეს სახელდება „ირმის ნახტომი“ სწორუპოვარ პოემას უდრის. და ასეთი მაგალითი რამდენია ქართულში! დავუბრუნდეთ ისევ თვითონ საგანს და ვიკითხოთ: ვინ არის ავტორი მაგალითად ქართულ ენაში მოქცეული სახისა თუ აზრის? ცალკეულ არეებული, არც ერთი ქართველი: რადგან ყოველ ქართველს ქართული ენა მზად ხვდება წინ. ენის მიერ ცხადებული აზრი თუ ხილული სხე იმთავითვეა მოცემული - „იმთავითვე“, ამ სიტყვის ზემორკვეულ მითიური გაგებით ენაში ამროვნებს „რაღაც“ ხოლო აქ სიტყვა „რაღაც“, ატყობთ უაზროა: შეუძლია განა „რაღაცას“ რაიმე გაიაზრის ან რაიმე გამოსახოს? იძულებული ვართ ვიხმართ „რაღაცას“ მაგიერ „ვიღაც“. ეს აუცილებელია მართებული. ვინ არის ეს „ვიღაც“

კარდჰუ

ეს „ვილაჲ“ ტომია, ხალხი - როგორც ცოცხალი არსი, ან უკეთ: „ხატი“ - როგორც შინაგანი სახე ტომისა, თუ ხალხისა. უკვე მივაღიქეთ საქართველოს სათავეებს. ქართველთა სათავეებს. ქართველთა შეგნებაში ეს „ხატი“ ისე მძლავრად და მძაფრად იყო გზნებული, რომ იგი პიროვნებადაც იქცა. სახელი მისი: კარდჰუ. ვხმარობ ამ სახელს მისი პირვანდელი რქმევით. „ქართლოს“ - მერმინდელი ფორმაა, მისი, ბერძნული დაბოლოვებით. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა „ქართუ“, ხოლო გავურბი სირბილეს ამ სახელისა. „კარდჰუ“ - უფრო ხერხემაღმაგარია, როგორც ეს „ვილაჲ“, ვინც ამ სახელით არის რქმეული. კარდჰუ აქაა მოცემული საქართველო ათასი წლების მანძილზე. იგი, კარდჰუ, შორეთშია გადასული; იგი, კარდჰუ, თითქოს გამქრალია კიდეც. ხოლო საკმაოა, რომ ჟამსა უბედურების თავდატეხისა გინდა მძლავრი გახარებით აღტყინებისა შეირხეს ერთიანად საქართველოს ცალკეული შუაგული, რომ უეცრად გამოაშუქოს მან, კარდჰუმ თავის მზეოსან წიაღიდან.

კარდჰუს გრძნობს ყოველი ქართველი, ერთი უფრო სუსტად ვიდრე მეორე, მაგრამ გრძნობს მაინც, გრძნობს ქართულ სიტყვაში, ქართულ ხმალის ამართვაში, ქართულ მეგობრობაში, ქართულ გულგადახსნილობაში, ქართულ ხალისში - გრძნობს განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი, შორს გადახვეწილი და სამშობლოს გულსა და მაჯისცემას დანატრებული, თანამემამულეს ხვდება, და კიდეც უფრო მძაფრად, როცა ეს შეხვედრა უეცარია. დიახ, კარდჰუ ცოცხალია, ეხლაც; ხოლო მიმალული საფლავ შორს, შორს. ოდესაღაც კი ქართველნი ისეთი დანამდვილებით გრძნობდნენ მის პიროვნებას, რომ მცხეთის ახლო მის საფლავსაც კი იგულვებდნენ: მიდიოდნენ ყოველ წელს და მუხლს იდრეკდნენ მის წინაშე და გლოვობდნენ ლოცვით. ეს საფლავის ამბავი გვაფიქრებს ოდნავ როგორი მითიური არსი - ვიხმართ კიდეც თქმა სალლუსტისა: „ეს არ ყოფილა ერთხელ, ეს იყო ყოველთვის“ - მითიური არსი და საფლავი? აქ ორი რამაა შესაძლო. თუ ეს ამბავი საფლავისა წარმოიშვა იმ ხანაში, როცა ქართველთ ჯერ კიდეც არ მოჰკლებოდათ ხილვა მითიური, მაშინ კარდჰუს საფლავი სიმბოლურად უნდა გავიგოთ: ალბათ თავის დაკნინების, ასე ვთქვათ, „მილევის“ ხანაში ისე მტკივნეულად იგრძნო დაშრება ძალთა პირველ - მდგენისა, რომ მან უკანასკნელი გარდაცვალებულად მოიჩინა; ანდა ეს მოხდა იმ ხანაში, რომელსაც ისტორიული ეწოდება და მაშინ საფლავი კარდჰუსი საკვირველი არაა: რადგან ამ ხანაში მითიური არსი ბიოლოგიურ წინაპრად გამოდის ხოლმე, რომელსაც: ერთხელაცაა დასასრული მოელის.

ასე, თუ ისე, კარდჰუს საფლავის ამბავი ნათელყოფს, თუ როგორი სიძლიერით დგინდებოდა ქართველი ხალხის ფიზიურ - ჰარითს შუაგულში მდგენი მისი შინაგანი მყარებისა.

ლაშარი

გავიხსენოთ ეხლა თუ რა ითქვა ზემოდ „ლაშარზე“ და „ხატზე“. რაც ბარში „ისტორიად“ იქცა, მთაში დარჩა მითოსად. მთის მითოსში ლაშარი „ხატია“, ანუ შინაგანი სახე ტომისა. ხატით წარმოსახული არსი წმინდანია და გმირი, რადგან მდგენი ღვთიურ ქმნილი სახისაა. კარდჰუ ღვთიურ ქმნილი სახეა ქართველთა. მაშასადამე იგი წმინდანია და თანვე გმირი: იგი ლაშარია. სიტყვა „ლაშარი“ ეპითეტია. „ლაშა“ - „ქვეყნის მანათობელი“, ასე მართავს ამ სიტყვას ქართული ენის უდიდესი მწდომი და მხვედრი: საბა სულხან ორბელიანი.

„ქვეყნის მანათობელი“ ამ სახით გვევლინება ჩვენ დიდი კარდჰუ. ამ სახეშია მოცემული მისი პირველ ხილვა და პირველ-ქმედება. მივმართოთ ამ ხილვას და ქმედებას, რას მოასწავებს „ქვეყნის მანათობელი“?

სოლარული ხანა

პერიოდი კაცობრიობის ვითარებას ოთხი ხანით საზღვრავს. აი ეს ხანანი: ხანა ოქროსი, ხანა ვერცხლის, ხანა სპილენძის და ხანა რკინის. სპილენძისა და რკინის ხანის შუა იფგი თავსებს კიდევ ერთს მოკლე ხანს: როგორც ცდას ოქროს ხანისაკენ დაბრუნებისა. ჰინდოელთა გადმოცემაც აღნიშნავს ოთხ ხანას: „satya-yuga“ (ანუ „krthayuga“), „dvapara-yuga“, „kali-yuga“, ირანის გადმოცემაშიდაც ოთხი ხანაა დაცული: ოქროსი, ვერცხლის, რკინის და ერთი კიდევ რომელიღაც შეზავებული ლითონისა. ამგვარივეა დაახლოებით ქალდეველთა გადმოცემა. ასეთივეა საბერძნეთისაც. ქმედითი ძალა თვითურისა ამ ხანების განვლაში თანდათან კლებულობს: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა. პირველ ხანაში იგი სრულია და ნაყოფიერი, ბოლო ხანაში კი დაშრეტილი და უნაყოფო. ჰინდოელთა გადმოცემა ამ „მილევას“ თუ დაკნინებას ხარის სახით წარმოადგენს: ამ ხარს პირველ ხანაში ოთხივე ფეხი აქვს, მეორეში ერთი ფეხი ეკარგება, მესამეში მეორე, მეოთხეში მესამე: ასე რომ იგი აქ ერთ ფეხზე დგას მხოლოდ. „კვალი-იუგა“ ნიშნავს ბნელ ხანას, რომელსაც გერმანელთა გადმოცემაში უდრის „მგლის ხანა“. „რაგნაროკკრ“, ანუ ღმერთთა დაბნელება. ტრადიციათა მკვლევარნი პირველ ხანას იგულებენ ჩრდილო პოლიუისის არეში. - ცნობილია ასტროფიზიური ღერძის გადახრა ინვესს ჰავის გადანაცვლებას. ყინვამ და მარადმა ღამემ - განაგრძნობენ მკვლევარნი - მოიცვეს ჩრდილოეთი. მცხოვრებნი გაეშურნენ დასავლეთისაკენ: წარმოიშვა ატლანტის კულტურა. დეკლინაციას, ასტროფიზიური ღერძის გადახრას თან მოჰყვა დევიაცია: ქმედით ძალთა კლება, ხოლო ამ განხრით გამოწვეულ ცვლილებას და ძალთა კლებას ფიქრობენ ვიეთნი სრულიად სამართლიანად, პარალელურ ჰქონდა ადგილი და არა მიზეზ-შედეგის მიმართებით.

მეორე გეზი მსოფლიო კულტურის ვითარების იმართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, თვითონ ცვლა „ხანებისა“ ბევრს „ისტორიულად“ აქვს წარმოდგენილი: ჯერ ხანა ოქროსი, შემდეგ ვერცხლის, მერე სპილენძის და ბოლოს რკინის. მართებული კი იქნებოდა იგიც მითიურად წარმოგვესახა: იქ, სადაც მუდმივი დაძაბულობა სუფევს - ღვთიურსა და არა ღვთიურს შორის, აქ ყოველთვისაა „ოქროც“, „ვერცხლიც“, „სპილენძიც“ და „რკინაც“ - იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ დაახლოებულია თუ დაშორებული არაღვთიური ღვთიურს: პირველ ხანას ისახავენ როგორც „სოლარულს“: მზიურს. იქ მთავრობს „ქვეყნის მანათობელი“. ჰინდოელთა „Vishnu“ იწოდების ვითარ „hari“, თეთრყირმიში, ოქროვანი; „hari“ არის აგრეთვე „Indra“ - ირანის მზემეფის სახე მოფენილი იყო „hvareno“-თი, შარავანდით: ნიშნით მარჯისა. ეგვიპტელთა მეფე იხსენებოდა ვითარ ქმნილი ოქროსაგან - ვინაიდგან ეგვიპტელნი მზეში ჰგონებდნენ ფლუიდუმს, ანუ სხივონვას, საცა ვითომ უნდა იქმოდეს უხრწნელი სხეული ღვთიურ - უკვდავისა. დელფის აპოლონ ცნობილია, როგორც „სხივმფენი“. ოქროვან ბზინავს გერმანეთის „Asgard“-ში ციხისემაგრე ოდინისა. ჰინდოელთა უპანაშიდეებში ნახსენებია „sueta dvipra“; „ადგილი სხივოსან ციალისა“. აცტეკების ჩრდილო მხარე რქმეულია როგორც „Aztlan“ - სიტყვის ფესვი ჰგულისხმობს „ელვარეს“. ბრძენთა „Tule“-ს მზიურ ფერი გადაჰკრავს. მექსიკის ღმერთკაცი „quetzalcoatl“ წარმოსახულია როგორც „თეთრი“. ატლანტების ტრადიციამი ღრმა მნიშვნელობა აქვს მინიჭებული „Avallon“-ს: „თეთრ კუნძულს“. შევჩერდეთ! ოქროს ხანის გადმოშლა შორს წაგვიყვანს. როცა ქართველი ამ ხანის ნიშნების ჩამოთვლას ისმენს, იგი ალბათ მოუთმენლად ელის: როდის იქნება აქ ნეტავსხენებული ერთი სახელიც „ლაშარი“. გასაგებია ასეთი მოლოდინი, რადგან ამ სახელში მზიურ არის სხმული მთელი ოქროს ხანა. „ლაშა“ - ეს სახელი არაა უბრალო რქმევა, თუგინდ უარრესად პოეტური; მასში მოცემულია კარდჰუ, მისი პირველ-ხილვა და პირველქმედება. საბუთი რამდენიც გნებავთ. შევუდგეთ ამ ხილვის და ქმედების მადნეულობის გადმოშლას, ანუ „გამოშიგნვას“ - ვხმარობ ილია ჭავჭავაძის ჯიქნიან სიტყვას.

მზის ხანა ქართველთა

1. დიდი ბრძენის პლატონის მსოფლხილვაში გვხვდება: „თვალი მზიური“. გოეთემ მზიურობა თვალისა ერთ თავის შაირში შესანიშნავ ხტილად გამოჰკვეთა“. თუ არ იყოს თვალი მზიურ, ვით შეეძლოს მას ხილვა მზისა? მტევნის მნიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში“. თვალთ აქ ნაგულისხმევია მზე. პლოტინი, გოეთე, ქართველი მევენახე - სამივე დიდ საიდუმლოს აცნაურებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეთესათვის თვალი „მზიურ“, ქართველი მევენახისათვის კი იგი მზეა თვითონ. ხატული „სახეობის“ მხრით ქართველი მევენახის თქმას თვითონ გოეთეც არგუნებდა პირველობას. თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ „მზე“ და „მზერა“ სადღაც ეთანხმებიან ერთიმეორეს. გავიხსენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა; „ღმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქოს გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“: ანათებს. „თვალი ჩასულა მტევანში“ - ეს ნამდვილი პოემაა ხსენებულ პოემასთან ერთად: „ირმის ნახტომი“;

2. უძველესი დროიდან სათაყვანო სიმბოლოდ მზისა „სვასტიკა“ ითვლებოდა: კაკვიანი ჯვარი, ბორბალში მოქცეული. ბორბალი ანიშნებდა მნათობის კოსმიურ ბრუნვას და ეს იმ დროს: როცა ნივთიერ კულტურაში ურემი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. ავიღოთ ეხლა ქართული დასახელება, „ურმის თვალი“. აქ თვალთ ბორბალი იგულისხმება. აქვს ბორბალს მსგავსება თვალთან - ისე მაგალითად: როგორც ძირიდან მოჩუხჩუხე ნაკადს, რომელსაც ჩვენ „წყაროს თვალს“ ვუხმობთ? გარდა სიმრგვალისა არავითარი. საგულვებელია. მაშასადამე, რომ ქართულ ხილვას - შერჩა სახულობა სვასტიკისა და რადგან ამ ხილვაში მზე თვალად იყო ცნეული, ურმის გამოგონებისას ბორბალი ჯვარისა ურმის თვალში გადმოვიდა საგნურად. ეს როგორც ჰიპოთეზი მხოლოდ;

3. მზე არის სიცოცხლის თესლი. ქართველი ენის მკვლევარი მიხეილ წერეთელი გვამცნევს, თუ რა დიდ მნიშვნელობა აქვს ქართულში ფესვს: „ცხ.“ - მისი აზრით „მუცელის“ პირვანდელი ფორმა იყო „მუცხელი“. მთავარი აქ „ცხ“ არის, როგორც სიტყვაში „სიცოცხლე“ - შესატყვისი რუსულში: „ჟივოტ-ჟიზნი“, გერმანულში „Leib-Leben“. თუ ეს ასეა, მაშინ „სიცოცხლე“ და „ცეცხლი“ სიტყვიერი ტყუბები ყოფილან. როგორ გაიხარებდა ჰერაკლეს ეფესელი, სცოდნოდა მას: რომ რომელიღაც ენაში „სიცოცხლე“ ნააზრევია ვითარ „ცეცხლი“. სწამდა ხომ მას, რომ სამყაროს ძირითადი თაური ცეცხლია;

4. ცხოველთა შორის ყველაზე უფრო ცეცხლოვანი ცხენია. იმავე მკვლევარის მიგნებით, სიტყვაში „ცხენი“ იგივე ფესვი „ცხ“ - ცოცხლობს;

5. მზისგან იშვოს სხივი და ნივთიერი იღებს „სახეს“ - იმდენად, რამდენად იგი სხივმფენია. მხოლოდ სხივის გამოკრთობით ეზიარების ნივთიერი ღვთიურსა: იქცევა „სახიერ“. არც ერთ ენაში არ იხმარება ზედშესული „სახიერი“ ღვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით, როგორც სწორედ ქართულში, რაც სახიერია, ის ღვთიურია - ასე ვგონებთ ქართველნი;

6. საუბარში ჩვენ შეფიცვის, თუ შეჯერებისას ვხმარობთ ასეთ თქმას: „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“: თითქო ყოველ ადამიანს საკუთარი მზე ჰქონდეს. „ვეფხისტყაოსანი“, ეს მზეთანაზიარობა პირდაპირ კოსმიურ ყალიბს იღებს. გავიხსენოთ დაუვინყარი წერილი ნესტანისა, რომლითაც იგი, ქაჯეთის ციხეში დატყვევებული, ტარიელს, მის მეტრფეს ანუგეშებს.

„მზე უშენოს ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი.

განაღამცა მას ეახლე მისი ეტლი არ თუ წბილი,

მუნა გნახო მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“.

აკადემიკოსი ნიკო მარი ამ სიტყვებში ნეოპლატონიზმის გამოძახილს ხედავს, ხოლო არ იცის მან, რომ თვითონ ნეოპლატონიზმში ეს გნება მზიურობისა ოქროს ხანიდანაა გადასული. მარადიულ განსხეულებას მზიურში აქ კიდევ უფრო აძლიერებს გენიალურ ხტილი ქართული ზმნისა. მარადი მყოფადი. მითიურმა დრომ მხოლოდ აბსოლუტური ანწყო იცის, რომელიც „წარსულად“ არ იქცევა და „მომავალი“ შინაგან აქვს უკვე.

ნესტანი არ ამბობს: „გნახავ“, „დაგსახავ“, „განმინათლებ“, არამედ „გნახო“, „გსახო“, „განმინათლო“;

7. მზე სათავეა სინათლის, რომელიც სიბნელეს ებრძვის. ა, „შებმაში“ წარმოიშვილის „ფერი“. ფერი უბრალო „ჩენა“ კი არაა, ეთერტალღების რხევათაგან გამოწვეული. ბრმად შობილს შეუძლია გამოცდისას სწორი ფორმულა გადასცეს მაგალითად წითელი ფერისა, მაგრამ წითელი მისთვის მაინც უხილავია. ფერი „თვისება“ და არა „ოდნობა“ ასე ესმოდა ფერი გოეთეს, ასე ესმოდათ იგი ჰინდოელებს. ფერის ასეთი გაგება მოქცეულია ქართულ ყოველდღიურ საუბარში. ჩვენ ვხმარობთ ხშირად „ყველას“ მაგიერ სიტყვას „ყველაფერი“ და „არა რას“ მაგიერ სიტყვას „არაფერი“. აქ ფერი რაობად გამოდის რაიც შემდეგ თქმაში კიდევ უფრო ნათელი ხდება: „რაფერ გააკეთე?“ დღემდე აუხსნელი სახელი „სწორფერი“, რომელსაც ხევსურეთში მეტრფეს უწოდებენ, ეხლა ნათელი ხდება. სწორფერი, ესე იგი შესაფერი, სიყვარულში მეორის სადარმხვედრი.

კიდევ ერთი რამ მეტად მნიშვნელოვანი. ბაგრატიონთა საომარი ალაში მენამული იყო, რომელსაც შუაგულში თეთრი ალი ჰქონდა გაწვდილი. ეს არ იყო შემთხვევით არჩევა ფერისა. ინდოელთა „Vedanta“ სამფენად ისახავს ყოფას. ძირა ფენი ბნელია და ქაოტური. „tamas“ - მას უდრის შავი ფერი; შუანა ფენი ჭიდილია, ბრძოლა, შებმა სინათლისა სიბნელესთან, წყობისა და რიგის ქაოტურთან. „rajas“ - მას უდრის წითელი. ზედა ფენი სისრულეა და ყურადღება ღვთიური: „sattva“ მას უდრის თეთრი. ბაგრატიონთა ალაში გვამცნევს: მენამული ფერით ალამის ამმართველი ჯერ კიდევ შუანა, ანუ ადამიანურ ფენაშია მოქცეული, ხოლო თანვე თეთრი ზოლით მას თითქმის წინასწარ აქვს მოზმული ზედა, ანუ ღვთიური ფენი: Rene Guenon-ის მოწმობით ფრანგ მეფეთა საომარი ალაში მენამული იყო: თეთრი ზოლი მას არ ჰქონია.

უდავოა: ბაგრატიონთა ალაში თავის სიმბოლიკით უფრო მაღლა სდგას ვიდრე ალაში ფრანგ მეფეთა. აქედან ნათლად ჩანს ისიც, თუ რად უწოდა ქართველმა ხალხმა თავის მცველს წმინდა გიორგი: „თეთრი“. უკანასკნელი - როგორც გმირი და წმინდანი - მოქცეულია ყოფის ზედა ფენაში, ჰინდოელთა თქმით sattva-ში. ქართველთა ხილვა აქ ჯეროვნად ეთანხმება, Vedanta-ს სიბრძნეს.

ლაშარი და თეთრი გიორგი

ასეთია პირველ-ხილვა ქართველთა მდგენის: კარდჰუსი. ვერ ერთი ტრადიცია, რომელიც გვამცნევს ოქროს ხანას, ვერ იძლევა სიბრძნითა და „სხეობით“ ასეთს მძლავრს ხილვას მზიურობისას. სხვა ტრადიციებში, „სწავლებაა“ უფრო, ვიდრე სინამდვილე. ქართულ გადმოცემაში კი იგი მოცემულია ვითარ ხელსახები მადნეული ყოფისა. ამ, ყოფაში, საცა ყოველი სახსარი და ხვეუვლი ცხრათვალა მზით არის აცოცხლებული, ელვარება ერთი თვალისმომყრელი არსი: ლაშარი - სხივმფენი, ბრწყინვალე, მზეოსანი. ლაშარი ეპითეტია, როგორც ზემოთ აღინიშნა: ვისი ეპითეტი? ეს არაა თქმული, ეს ნაგულისხმევია; ამის გამო სახელად გამოდის. ძნელი არაა ამ სახელ-ქცეულ ეპითეტში ნამდვილი სახელი ამოვიკითხოთ. კარდჰუ, ლაშარი, ანუ მზეოსანი კარდჰუ. ლაშარი განფენილი თვისებაა კარდჰუსი, ნეოპლატონური გამოთქმა რომ ვიხმართ: მისი „მეორე“, მისი „სხვა“. კარდჰუ მზეობს ლაშარში - აი უკანასკნელი განსაზღვრა: თეთრი გიორგი იგივე ლაშარია. ქრისტიანობის გავლენით სახეცვლილი. ერთი საგულისხმო დეტალი: ჩვენს ფრესკა-სურათებში წმინდა გიორგი გვხვდება აქა იქ არა როგორც ცხენოსანი, არამედ როგორც ქვეითი გმირი, რომელიც შუბით ჰგმირავს ვეშაპს - იგი აქ, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ არაა ბოლომდე „გაქრისტიანებული“. არსებითად ორივე ერთი და იგივე ფენომენია. ლაშარი და წმინდა გიორგი. ლაშარი წარმართული ჰიპოსტასია გიორგის: იგი წინ ხვდება უკანასკნელს, პირველ შეხვედრისას ისინი ეუიცხოვებიან ერთიმეორეს, შემდეგ კი ეცნაურებიან: ერთი ცნობს თავის თავს მეორეში. ხდება ძმების მისტიური ერთსახედ ქცევა. პირველი აძლევს მეორეს ეპითეტს „ლაშარი“, ანუ ბრწყინვალე: „თეთრი“, მეორე აძლევს პირველს სახელს „გიორგი“. იშვის „თეთრი

გიორგი“. გავიხსენოთ თეთრი გიორგის მისტერიები ალავერდის ტაძრის ირგვლივ და ჩვენს წინ აღდგენა ცოცხლად ერთსახედქმნა ძმებისა. ქართულ მეცნიერებას ამ მისტერიების ხასიათი - სტრაბონის მოკლე ცნობის მიხედვით - მთვარის კულტისაგან გამოჰყავს.

1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი ვრცელი ნარკვევი: „დიონისოს კულტი საქართველოში“. დიონისოსა და თეთრი გიორგის შორის მე მოვნახე 12 ნათესაური მუხლი. განსხვავება ჩემი შეხედულებისა ქართულ მეცნიერების შეხედულებისაგან არც ისე არსებითია, რადგან დიონისოს კულტში „მთვარული“ თაურიც მძლავრის, მაგრამ აქ ამას არ გამოვუდგები. აქ საჭიროა მხოლოდ ერთი რამის ახსნა: როგორ? თეთრი გიორგი, ძმა - ნაშიერი მზეოსანი ლაშარის და მთვარის, თუ მთვარული დიონისოს კულტი? ამ უცნაურობის ახსნა არც ისე ძნელია. ავიღოთ მთვარის მომენტი თეთრი გიორგისა. მოვიგონოთ ერთხელ კიდეც, რომ ლაშარი მითიური რეალობაა ანუ შინაგანი სინამდვილე ქართველთა ტომისა. შესაძლოა ამ ტომის „წვამ“ ლაშარით იკლო ერთხელ, მაშინ უკანასკნელის მზეობაც დაიკლებდა; იგი როგორც „ხატი“ სისხლნაკლულად გამოჩნდებოდა, სხივმკრთალად, ანუ „მთვარედ“. რაც შეეხება თეთრი გიორგის დიონისურ მუხლს, ამის შესახებ ითქმის შემდეგი: დიონისოს ბუნება ცვალებადია. დიდი მითოს-მკვლევარის ბახოფენის მოწმობით დიონისო ვლინდება: ხან როგორც ხტონური არსი, ხან როგორც მთვარის თანაზიარი, ხან კი როგორც ნათელმდგენი, აპოლონს შეძმობილებული. საფიქრელია, რომ თეთრი გიორგი დიონისოს მესამე ვარიანტია. ამ ვარიანტს ბახოფენი ნათლავს ასე: „ვნებული მზე“ არსად ისე არ „ვნებულა“ მზე, როგორც საქართველოში - და სახელდება „ვნებული მზე“ პირდაპირ თეთრ გიორგიზეა გამოჭრილი. „ვნებული“ - ხოლო მაინც „მზე“.

აი თეთრი გიორგი, ანუ ლაშარი.

სახე აქვს შავად მოცული
მას დიდი კაეშანითა -
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვცანითა...

საკრალური ნყობა

ოქროს ხანაში იყო წმინდა იერარქია დადგენილი, ქართული ყოფაც ამ იერარქიი იყო იმთავითვე დამყარებული, უთვალავი მაგალითებიდან აქ მხოლოდ რამოდენიმე. ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლია მანდილოსანს ხელზე „ვაკოცოთ“, ღვთისმშობელ მარიამის ხატს კი უნდა „ვეამბოროთ“. იქ „კოცნა“, აქ „ამბორი“, ვინაიდან მანდილოსანი ერთია და ღვთისმშობელი კიდეც სხვა, თუმცა ორივე ქალია. ჩვენ შეგვიძლია სადმე დარბაზში „ვიმღეროთ“, სალოცავში კი უნდა „ვიგალობოთ“ - იქ „სიმღერაა“, აქ კი - „გალობა“, რადგან დარბაზი ერთია და სალოცავი კიდეც სხვა, თუმცა ორივე შენობაა. ჩვენ ვხმარობთ საერო წიგნისათვის „მხედრულს“, საღვთო წერილისათვის კი „ხუცურს“, რათა ზღვარი იყოს გავლებული საეროსა და საღვთოს შორის.

მე შემიძლია მივმართო ვინმეს „ბატონო გიორგი!“ შემიძლია მე ასე მივმართო ღმერთს: „ბატონო ღმერთო?“ ეს ხომ საშინელება იქნებოდა ქართველისათვის.

და, აი, ღვთის მიმართ ჩვენ ვხმარობთ: „უფალო?“ და საოცარი: „უფლება“ ქართულში „ბატონისაგან“ კი არ მოდის, არამედ „უფლისაგან“. ქართული გაგებით მაშასადამე უფლება საკრალური ბუნების ყოფილა, სწორედ ისე, როგორც ეს ესმოდათ ოქროს ხანაში. ამას ქართული მითიური თქმულებანიც ადასტურებენ. უძველეს დროში, მოგვითხრობს ერთი თქმულება, დვალთა მთაზე მეფენი ისხდნენ, დროდადრო ისინი ცდილობდნენ: ერთი ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი დაეჭირათ. რა მიზნით? თავიანთ ხალხთა ბედი მართებულად რომ წარემართოთ.

აზრი ამ თქმულებისა ნათელია: მეფემ თავისი მიწიერი ძალა ციური მადლით უნდა ანოციეროს და ამტკიცოს. ეს მადლი აქ ვარსკვლავის სახით ვლინდება, თვითონ ვარსკვლავი „ხატია“ გრაალისა, პირინიის გრაალის ვარიანტით გრაალი ქვაა, გვირგვინიდან ამოვარდნილი, ციდან მოსხლეტილი ლიუციფერისა და ამ ვარსკვლავთქვას იჭერენ თქმულების მეფენი. თამარ დედოფალს მეორე თქმულებით ჰქონდა იმავე დვალის მთაზე კოშკი, საცა ერთს სკივრში ასეთი ვარსკვლავი ესვენა, ციდან მიღებული. ერთხელ როცა დედოფალი შინ არ იყო, მსახური გოგო მიეპარა სკივრს, ახადა მას სახურავი. ვარსკვლავი ამოვარდა და გაფრინდა ცისკენო. ამ თქმულებაში სხვა აზრაცაა. ვიგინდარას არ შეუძლია მიეკაროს საკრალურს; თანვე ისიცაა ნაგულისხმევი, რომ „მეუფლე“ საკრალურისა „მუდამ ფხიზელი“ უნდა იყოს („Egregoroi“), რათა ხელიდან ასე ვთქვათ არ „გაუშვას“ იგი.

არც ერთ ტრადიციაში ეს ცნება საკრალურისა არ ჩამოსხმულა ისე ღრმად და მძლავრად, როგორც ეს არის გამოკვეთილი უგენიალეს ქართულ სახელდებაში „ხელმწიფე“. აი, კიდევ ერთი პოემა ქართული ხილვისა, ერთი სიტყვით თუ ერთ სიტყვაში გამოთქმული რატომ მაინც და მაინც „ხელი“ და რატომ მაინც და მაინც „მწიფე“?

ხელი, რადგან ხელი სდებს ზღვარს კულტურის მხრით ადამიანსა და ცხოველს შორის; ვინ უნდა გზნებდეს ამ ზღვარს უკიდურეს, თუ არ მმართველი, მეთაური ტომისა და ხალხის? რა უნდა იყოს მისი ხელი „მწიფე“?

ოქროს ხანაში მმართველი ეგულებოდა მდიდრად და უხვად - რას ნიშნავს „მწიფე ხელი“, თუ არა სიმდიდრეს და სიუხვს? ოქროს ხანაში მმართველი იყო ძლიერი და მარჯვე - რას ნიშნავს „მწიფე ხელი“, თუ არ სიძლიერესა და მარჯს? მიხეილ წერეთლის აზრით „მწიფე“ ნიშნავს „მიწვდომასაც“. მაშასადამე „მწიფე ხელით“ ნაგულისხმევია „მწოდომელიც“. ესე იგი ის, ვინც წვდება მას, რაიც სხვისათვის მიუწვდომელია. ხოლო ამით არ თავდება ხელმწიფის სახელდებით ნააზრი: იგი კიდევ მეტს უფრო გულისხმირს მოასწრაფებს. ოქროს ხანაში მმართველი მეფეც იყო და მღვდელიც. ქართული გაგებით ეს ესეც უნდა ყოფილიყო, რადგან როგორც ითქვა „ფლობა“ გამოვლინებულია „უფლისაგან“. მფლობელი, მაშასადამე „მღვდელიცაა“. იმავე მკვლევარის მიგნებაში სიტყვა „მღვდელი“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ლუდვა“, რაიც „წვას“ ნიშნავს. მღვდელი, ანუ მწველი. იგულისხმევა წვა არა მარტო გარეგანი: წვა შესაწირავ ცხოველისა, არამედ შინაგანიც: წვა წადილით ღვთიურის მისაღებად. მფლობელი - როგორც მეფე და მღვდელი ერთს პიროვნებაში - კურთხეულად ითვლებოდა. იგი ჰფენდა ირგვლივ გარდაქმნილ ძალას, სხივოსანს - მარჯს, რენე გენონის მოწმობით ამ ძალ-გადავლენას არაბულ-ჰებრაულად „ბარაქაჰ“ ეწოდებოდა. ეს სიტყვავე ქართულ სიტყვაშიაც გვხვდება და სწორედ ხელთან დაკავშირებით უმთავრესად: „ბარაქიანი ხელი“; ნაგულისხმევია კურთხეული ხელი, მადლის გამომვლინებელი. რა არის ეს ხელი კურთხეული, თუ არა იგივე „მწიფე ხელი“? დიახ, ქართულ სახელდებით: „ხელმწიფე“, მოცემულია პლასტიურად მთელი კონცეპცია „Priester-könig“-სა მღვდელ-მეფის. ასე გვირგვინდება საკრალური წყობა კარდჰუს პირველ-ხილვაში, რომელიც აქ ყველაზე უფრო გარკვეულად მის პირველ ქმედებაში გადადის.

დავით აღმაშენებელი

ეს მეფური მართვა - კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა: „მართვა“, ანუ დგინება „მართლისა;“ - ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო „მითოსში“, არამედ ქართულ „ისტორიაშიც“. „რამეთი თქვენ ხელმწიფობთ უფალგყვნა ღმერთმან ქვეყანასა განგებასა“ - ვკითხულობთ გიორგი მერჩულეს უკვდავ ნაწარმოებში: „ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა“. „სამეფი ტახტი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთა ჩემთაგან“ - ამბობს დიდი დედოფალი თამარ. კიდევ უფრო საოცარი; საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით „მეფე-მღვდელიც“.

სახელი მისი: აღმაშენებელი დავით, დიდი მხედარი და ნათელმოსილი პიროვნება. ომში მას „სამღვთო წერილიც“ მიჰქონდა ხოლმე თან. ერთხელ სამოციქულოს კითხვამ ისე გაიტაცა იგი, რომ კინაღამ წააგო ბრძოლა მან.

თავის სახელს იგი სჭრიდა ფულზე ხან როგორც „ხმალი ქრისტესი“, ხან კი როგორც „ყრმა ქრისტესი“. „ხმალი“ აქ მეფეა, „ყმა“ კი მღვდელი. ჯვაროსანთა მიერ დავითი უდიდეს პიროვნებად იყო მიჩნეული. მოვიყვანოთ ის ცნობანი, რომელიც შესანიშნავად „მონივთა“ ზ. ავალიშვილმა თავის ცნობილ ნარკვევებში.

1109 წელს პარიზში მიიღეს ჯვარი, რომელზედა ქრისტე აცვეს გადმოცემით. გამოგზავნი იყო Ansellus, წმინდა საფლავის კანტორი იერუსალიმში. ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთ პატარა ბაზილიკაში, რომლის ალაგს შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი „Notre Dame“. 1793 წელს, რევოლუციის დროს, ეს ტაძარიც დაარბიეს და ააოხრეს. ჯვარი დაიკარგა უკვალოდ. კანტორი სწერს თავის ეპისტოლეში: მეს ეს ჯვარი საქართველოს მეფის დავითის ქვრივისაგან მივიღეო. ნუ გამოვუდგებით აქ ისტორიულ შეცდომას: დავითი ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩვენთვის საგულისხმო ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა „გოგსა და მაგოგს“ კასპიის ბჭენი გადაურაბა და გზები მოუჭრაო, ვინ არიან ეს გოგი და მაგოგი? ჰინდოარიულ ტრადიციაში ხშირად იხსენიება „sakravatri“. მეუფე ქვეყნისა, რომლის სამყოფელ ადგილად იგულებენ ჩრდილო პოლის არეს, საიდანაც იგი ებრძვის ბნელსა და ქაოტურს. „მზე მეფენი“ – გადმოცემათა მიხედვით ამ „სავრავატრ“-ის მსახიერებელნი არიან, რომელნიც ავბსა და უკუღმართიან ბრძოლაში წარღვნას გადაურჩებიან ხოლმე. და მაღალ მთებს აფარებენ თავს – (გავიხსენოთ ნოე და მისი კიდობანი). ისინი მეფეებად ითვლებიან თორმეტისა, როგორც ზიგფრიდი, კარლოს დიდი და მეფე არტურ. ხალხთა თქმულებებში ამნაირადვე ისახება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ „ღმერთთა დაბნელება“, ეს მზე მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით. აღვივებენ თავიანთ ქმედით ძალას ღვთიურისა მოწოლილი ბნელისა და ქაოტურის წინააღმდეგ. გოგი და მაგოგი, ტრადიციათა ცნობით ხალხია: ბოროტისა და უკუღმართის მატარებელნი. საკვირველი არაა, თუ ეს რწმენა გაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმინდა საფლავის განთავისუფლებისათვის, და აი ერთი ჯვაროსანი არნიშნავს სიხარულით – დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჭენი გადაურაბაო და ვის შეეძლო ეს თუ არა „მზე მეფეს“, ანუ „მღვდელ მეფეს“? ხედავთ სად ასულა სახელი აღმაშენებლისა? გაყვით: ქვევით: სირიაში და პალესტინაში საქრისტიანო სამთავროების დაარსებით საგრძნობლად შელახეს მუსლიმის სამფლობელო. ხოლო უკანასკნელი არ თვლის თავის თავს დამარცხებულად: იგი იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ჟამს, რომ შეუტოს ჯვაროსნებს და უკუაგდოს იგინი.

1119 წელს ნადიმ ელღაზმა, ალექპოს სულთანმა, დაამარცხა ანტიოქოს მმართველი როჟერ, ანტიოქიელად წოდებული. მუსლიმთა სამფლობელოს იმედი მიეცა. ხოლო ამ იმედს ჩრდილიც მოადგა. სწორედ ამ დროს ძლავრობდა ჩრდილოეთში ერთი საქრისტიანო მხარე „საქართველო“. მუსლიმთა წინაშე გეგმა წამოიჭრა. ჯერ საქართველოს მოსპობა და შემდეგ ჯვაროსანთა გარეკვა, გეგმა სწორი და კარგად ნაანგარიშევი. 1121 წელს აგვისტოში საქართველოს მოადგა ნადიმ ელღინ ელღაზის მეთაურობით დიდი ლაშქარი. ექვსასი ათასი მხედარი – არაბები, სელჯუკები, თურქმენები. აგვისტოს 14-ს „დიდგორის“ ველზე დავით აღმაშენებელმა დიდი საომარი ოსტატობით დაამარცხა ეს ურდოები. ნადიმ ელღინ ელღაზი თავში დაიჭრა და განადგურებული ჯარი უკუიქცა. დავითმა გაათავისუფლა თბილისი საემიროსაგან და ძველი ქალაქო სომხეთისა: ანი საქართველოს შემოუერთა. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ჯვაროსანთა რიგებში „დიდგორის გამარჯვება“. დავითმა ამ გამარჯვებით არა თუ იხსნა მხოლოდ საქართველო განსაცდელისაგან, არამედ ამით მან ფასდაუდებელი დახმარებაც გაუწია ჯვაროსნებსაც.

და, აი, იზრდება მისი სახელი ლეგენდასდ კიდით კიდემდე. ერთი ინგლისური ქრონიკა, როგორც ეს აქვს მოყვანილი ტიტე მარგველაშვილს ერთ ისტორიულ ნარკვევში – მოგვითხრობს: დავითმა, საქართველოს მეფემ, დაარქვა სახელი „Presbyter Johannes“,

გადავიდა აღმოსავლეთში და იქიდან მოდის ეხლა საქრისტიანოს მოსაშველებლად. შევჩერდეთ ამ ცნობაზე. საშუალო საუკუნეებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში იდეა „მღვდელმეფისა“. „Das Heilige Romische Reich“ გერმანელ მეფეთა მიერ ქმნილი მსოფლმნიშვნელო ცდა ამ იდეის განხორციელებისა. ცდა ცდად დარჩა, რადგან „მღვდელისა“ და „მეფისი“ შეერთება ერთ პიროვნებაში არ მოხდა. კიდევ მეტი: იგი მღვდელისა და მეფის ერთიმეორესთან შეხლად იქცა. ამ შეხლაში მღვდელი დარჩა თავისთვის და მეფე თავისთვის. მარცხი ამ ცდისა საბედისწეროდ იქცა მთელი დასავლეთისათვის. ნატვრა მღვდლისა და მეფესი ერთ-სახედ ქცევისა ისე ღრმად იყო საშუალო საუკუნეთა ევროპაში ფესვგამდგარი, რომ მნატვრელთ მონატრებული სინამდვილედ წარმოესახად: შორს, აღმოსავლეთში, არსებობს მფლობელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს „მღვდელიც“ არის და „მეფეც“, სახელით: პრესბიტერ იოჰანეს, ფიქრობდნენ დასავლეთში. პრესბიტერ - მღვდელმთავარი დავით აღმაშენებელი ჰგონია. არც ერთს ისტორიულ მფლობელს, თუ გინდ „მზემეფედ“, სახელს არ რგებია სახელის ასეთი ამაღლება: მითიური რეალობის ისტორიულ პიროვნებად ქცევა, ეს ქცევა არ არის შემთხვევითი ამბავი. წიაღში ამ ხალხისა, რომლის მდგენის პირველხილვით მფლობელი „მწიფეხელინია“, ესე იგი ხელკურთხეული და ხელმადლიანი. ერთხელაც არის, „ხელ-მწიფე“ უნდა მოვლენუილიყო. დავით აღმაშენებელი არის ხელმწიფე კარდპუს გაგებით და როგორც ასეთი: მღვდელი და მეფე ერთსა და იმავე დროს - „Priester-könig“. მისი ხელის „სიმწიფეს“, მის სიმარჯვეს, საქართველოს ისტორიაში შემდგომ განმტკიცებულს, განუწყვეტლივ გრძნობდნენ ჯვაროსანნი შემდეგშიაც. ერთი რაინდი ჯვაროსანი სწერს მთავარეპისკოპოსს ბეზანსონისა, დაახლოებით 1195-1220 წლებში საქართველოს ჯარმა, თამარ დედოფლის ახალგაზრდა ვაჟის მეთაურობით, გადმოლახა მძლეობით მცირე აზია, აიღო ცხრა დიდი ქალაქი და სამასი შეანგრია; გამარჯვებულ სარდალს თან მოაქვს ნეშტი განსვენებული დედისა, რომლის სურვილი იყო იერუსალიმის განთავისუფლება. აღფრთოვანებით მოველით აქ ჩვენ მასო - აბოლოებს რაინდი. ეს ლეგენდაა მხოლოდ ჯვაროსანთა ნატვრით შექმნილი, მაგრამ ხშირად ლეგენდა უფრო ნამდვილია ვიდრე ისტორიული ამბავი.

ჯვარი ვაზისა

უძველეს ქართველობას, უნდა ვიფიქროთ, მზის თაურით უცოცხლია, თორემ იგი ვერ შექმნიდა ასეთ მზეოსან მსოფლსახეს. იგი აგრეთვე მიწის ერთგულიც უნდა ყოფილიყო - იმის ნიშნებიც მრავალია საქართველოში. ჩვენში მიწა ხორცია და სისხლი თვითონ. იგი ჩვენში არის ნამდვილი „მაგნა მატერ“ - არა მხოლოდ როგორც მთელი: ყოველს ნაწილს მისას აქცევს ზევრცეული რაობა, რომელიც მეტაფიზიურ არეში რომელიმე ზემიწიურ სინამდვილეს „ესიტყვება“. ფშავეთში და ხევსურეთში ადიდებენ „მაგნა მატერს“, როგორც „ადგილის დედას“, ესე იგი როგორც „ნაშიერს“ დიდი დედისა. ყოველი სალოცავი იქ განსაკუთრებულ ადგილსაა აგებული. ერთი შველის ცხოველთა გამრავლებას, მეორე რჩენს უნაყოფო ქალებს და ასე ყველგან.

ამრიგად, საქართველოში „მზე“ და „მიწა“ შეუღლებულ არიან ერთი მეორესთან, როგორც ქმარი და ცოლი. ეს შეუღლება არსად ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც „ვაზის ჯვარში“, რომელიც დღეს სიონის ტაძარში ასვენია. მეოთხე საუკუნის დამდეგს მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული წმინდა ნინოსაგან. ამ მომხიბლავმა ქალწულმა გამოსჭრა ვაზის ნასხლევისაგან ჯვარი, რომელსაც „ჭრილობა თავის თმებით შეუხვია“. ეს ჯვარი ქრისტემდეც სიმბოლო იყო ვნებული ღმერთისა. მას სჭრიდნენ ხისაგან. ან ჰკვეთდნენ ქვისაგან, ან სჭედნენ რკინისაგან. წმინდა ნინომ იგი ვაზის ნასხლევისაგან გამოსჭრა. ვაზი სახეა მიწის ხალისისა ნაყოფში, სახე სწორუპოვარი. იგი მიწის ლხინია თვითონ, ვაზის ჯვარში ქრისტეს ვნება „წამებად“ კი არ ვლინდება, არამედ „შვებად“ ვაზი მიწის ნოყიერების სახეა, სახე შეუდარებელი, ვაზის ჯვარი დედურ ანაყოფიერებს ქრისტეს ვნებას, ქალწულის თმები კიდევ უფრო აძლიერებენ ამ დედობას.

ვაზის ჯვარში ღვთიური ვნება „ნაყოფად“ „იშვის“ - აი მისი უღრმესი აზრი და მნიშვნელობა. თუ ზემინიური არ იშვა მიწიურში, იგი უბრალო „ratio“ - რჩება, რომელსაც აქვს გარდაქმნელი ძალა. აი, რას გვასწავებს ვაზის ჯვარი. ეს უდიდესი საიდუმლო დარჩა უგულვებელი ქრისტიანობაში - აქედან სხვათა შორის, მკაცრი ბრძოლაა უკანასკნელისა წარმართობის ამოსაფხრებად, რაიც ქრისტეს სჯულის განმტკიცებისათვის საბედისწეროდ იქცა საქართველოში. ეს საიდუმლო იმთავითვე იყო გულისმიერყურადებული - ამით აიხსნება ისიც, რომ ქართულმა ქრისტიანობამ წარმართობა კი არ მოსპო, არამედ შინაგან შეიზარდა იგი: ამით მან ნამდვილი გზა მოუწაა ქრისტეს სჯულის განაყოფიერებას. დიახ, ჯვარი ვაზისა უნივერსალური სიმბოლოა მთელს საქრისტიანოში.

პრომეთე ამირანი

დავით აღმაშენებლის დროს ერთ მემკვიდრეს მოჰყავს ცნობა, ცნობილი უკვე ძველ ქართველ მემკვიდრეთა მიერ: რომ ქართველთა მოდგმა, „ორგულია თვისთა უფალთა მიმართ“. როგორ? მზის შვილნი და ორგულნი თავიანთ ხელისუფალთა? ეს საიდუმლო ჩვენი ხასიათისა არც ისე ძნელი ასახსნელია. ყოფა არის არა მხოლოდ ღვთიური „ნიჭი“. იგი აგრეთვე ადამიანის „საქმეცაა“. თუ ამ „საქმეს“ მართებულად არ ასრულებ, გიფუჭდება თვითონ „ნიჭი“. ორგულობა ქართველთა: არამედ მათი „საფრთხე“ - ხსენებული ქრონისტის ცნობა ასე უნდა იქნას გაგებული. გენია მაგალითად ცეცხლია, ხოლო ამ ცეცხლს მასალა თუ არ მიეცე, როგორც იცოდნენ ეს არაბებმა იგი თავის თავს „შესჭამს“ ესე იგი დაიფერფლება. ფერფლი, მაშასადამე „საფრთხეა“ გენიისა და არა მისი „თვისება“. ამ თავითვე იგი ცეცხლია და არა ფერფლი. ქართველთაც აქვთ ამგვარი „საფრთხე“. მზის შვილი, თავისთავადია პირველ ყოვლის. შელახავს ვინმე ამ თავისთავადობას მისას, იგი განზე დგება, ხდება „თავნებად“, „თავნებობა“ კი ძირია განდგომის, განკერძოების, განაპირების, გათიშვის.

საქართველოს სამეფოს შინაგანი რღვევის სათავე სწორედ აქ უნდა ვიგულოთ. ესაა ჩემი ღრმა რწმენა. ქართველ მეთაურ-უმრავლესობას არ ჰქონდათ შეგნებული თვისება ქართული ხასიათისა და ამის გამო ვერ შეძლეს მათ: ქართველი ხალხის ბედი მართებულად წარემართათ. ხალხის ქვეშეცნეულ ფენებში კი ეს არ იყო და არც ეხლა არის უცნობი.

რა არის მაგალითად ქართული სუფრა, რომელსაც ბადალს ვერსად მოუწაავ. თუ არ შეგნება საიდუმლოსი ქართული ხასიათისა? ბრძანებით საქართველოში ვერაფერს მიაღწევ. „შესახელებით“ კი ყველაფერს. მიზეზი? ქართველის თავისთავადობა. განსაკუთრებული ქართველმა თვითონ უნდა მოაგვაროს და არა სხვისი ბრძანებით. „შესახელება“ აქ იმალება: სადაა „სახელი“, თუ შესრულებული ბრძანების შედეგია? დიახ, ქართველი ბუნებით თავისთავადია, უბრალო გლეხიც კი. საკვირველი არაა, თუ მას უყვარს „პირველობა“. ქართულ სუფრაზე ყოველ დამსწრე რომელიმე მხრით „პირველია“. ერთი როგორც მომდერალი, მეორე როგორც მროკავი, მესამე როგორც მორკინალი, მეოთხე როგორც მჭერმეტყველი, მეხუთე მოშაირე, მეექვსე მოხდენილი და ლამაზი, მეშვიდე ბრძენი და ასე ბოლომდე. თუ რომელიმე მათგანს მოქიშპე ჰყავს სუფრაზე, მაგ., მოშაირეს, მაშინ მის „სხვაობას“ აკუთვნებენ „პირველობას“.

ამრიგად, ქართული სუფრა უბრალო „ქიფი“ არაა, ანუ „დროსტარება“, არამედ ნამდვილი კულტი, რომელიც პოლიფონიურ მართავს მათ შეხვედრას ერთმანეთთან. ქართული სუფრა აძლევს ქართველს საშვალეებას აიცდინოს „თავნებობა“, ანუ განდგომა, განკერძოება, განაპირება, გათიშვა. თვითონ მითოსიც პრომეთეს გეზით არის გამართული ქართულ შეგნებაში. პრომეთემ ცეცხლით გააბედნიერა კაცობრიობა, ხოლო ეს ცეცხლი შინაგან კი არ მიუღია ღვთისაგან მსხვერპლის გზით, მან იგი მოსტაცა ღმერთებს.

იგიც თავნებაა. დააკვირდით ეხლა ქართულ ვარიანტს პრომეთეოსისა. ამირანი მიჯაჭვულია კავკასიის ერთ ნაპრალზე. მას უკორტნის ღვიძლს არწივი: მზის ფრინველი. ერთი მაღალი, ერთი შავი, ერთი თეთრი: ლოკავენ ჯაჭვს იმ წუთას. ჯაჭვი ისეა დაცრეცილი, რომ ამირანს შეუძლია აიწყვიტოს. და საოცარი მითოსი აქ ქმედებაში გადადის - იმ წუთას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყოველ წლობით ვნების კვირის ხუთში ალიონზე მჭედელნი იწყებენ ჭედვას სიმბლურად ჯაჭვისა. შეკითხვაზე, თუ რისთვის - მჭედელნი იძლევიან პასუხს: თუ ვინიცობა ამირანმა აიწყვიტა ახალი ჯაჭვი მზად გვექნებაო. არა მგონია რომელიმე ერიოს სიბრძნე ამაზე შორს წავიდეს. დიახ, ამირანი ჩვენი ძალაა, ხოლო აგრეთვე „საფრთხეც“ - ტყვილად კი არ არის იგი მიჯაჭვული კავკასიის ნაპრალზე. ვისაც საქართველოს აღდგენა და მისი ხელმწიფების განმტკიცება უნდა, იგი ყოველ დღე უნდა იგონებდეს - არა მხოლოდ ვნების კვირის ხუთშაბათს - ქართველ მჭედელთა სიმბოლურ ჯაჭვს.

ბოლოსიტყვაობა

აი საქართველოს სათავენი!

მინდა ბოლო სიტყვაც დავუმატო ამ ნარკვევს:

1. ამ სათავეებშია მოქცეული ქართველთა მსოფლხილვა და მსოფლსახე. ეს მსოფლხილვა არ ჩამოუვარდება მსოფლხილვათა, შექმნილ დიდ ხალხთა მიერ. ზოგიერთ მუხლებში იგი კიდევაც უსწრებს მათ. ამას მერმისში უთუოდ დაინახავენ, მკვლევარნი, როგორც ქართველნი ისე უცხონი. დაინახავენ გაოცებით;

2. ჩემს შემოქმედებაში მე გამოვდივარ სწორედ ამ სათავეებიდან. ამით აიხსნება სხვათაშორის ისიც, თუ რად იპოვა ჩემმა მწერლობამ გერმანიაში ასეთი გამოხმაურება;

3. მოიუყენეთ ამ სათავეებს ბოლშევისტური გაგება კულტურისა, სტალინის მიერ განსაზღვრული და საბჭოეთში კანონად ქცეული: „შინაარსით ინტერნაციონალური და ფორმით ნაციონალური“. დაინახავთ უდაოდ „შინაარსი“ ჩვენი კულტურისა ამ ფორმულის მიხედვით უნდა ამოვარდეს ძირფესვიანად;

4. მთავარი მიზეზი იმისა, თუ რად დავტოვე მე საბჭოეთი იყო ეს: ამ ნარკვევში გატარებული გაგებით, ყოველ კულტურას ბოლო ედება, როგორც კულტურა ქართველების, ისე სხვა ხალხთა. კულტურა „შინაარსით ინტერნაციონალური და ფორმით ნაციონალური“, არის კულტურა ანონიმისა, უსახო ე. ი. არავითარი კულტურა. გასაგებია, თუ რად გადმოვიტანე ჩემი მუშაობა უცხოეთში;

5. საქართველოს სათავენი ამ ნარკვევში განხილულნი, წარმოადგენენ გემს ჩვენი შინაგანი ვითარებისა. ხილვა და გამოყენება ამ გემისა გამოადგება ყოველ ქართველს: მგოსანს, მოაზრეს, მეცნიერს, პოლიტიკურ მომქმედს, მეომარს, მღვდელს, ყველას. ყოველი ქართველი, რომელიც კი ამ სათავეებს ეზიარება, იტყვის უთუოდ, გამხნეებული და ხერხემალ-გამაგრებული, ხევსურულ: „ჯანი მამიმატის“;

6. „სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის ამისად“. ჩემს მეგობარს მ. წერეთელს ეს სტრიქონი „ვეფხისტყაოსნისა“ ჩამატებულად მიაჩნდა. თუ ეს მართალია, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩამატებული რუსთაველზე არა ნაკლები ბრძენი ყოფილა. მე ჯერ კიდევ „ვაპირებ“ გადასვლას ამა სოფლისგან, მაგრამ ვინ იცის: „სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“. ამ ნარკვევს მე ვუტოვებ ქართველობას

ა ნ დ ე რ ძ ა დ;

7. ვლოცავ სიყვარულით ამ გენიას, რომელმაც შექმნა ასეთი გულისხმიერი მსოფლხილვა და მსოფლსახე. კურთხეულ იყოს შენი სახე, საქართველო! ნუ მოგაკლავს მაღლი ზეციერმა! მუდამ იყავი: მზიური, მზიანი, მზეოსანი, მზეგრძელ!

შენი „წყაროს თვალი“ არ დაიშრიტება.

ს ე რ ბ ი (ბ ი თ რ ბ ი) ს ა ჯ ა ი ა



მწერალი, ომის ვეტირანი,
რიბითთაბანი ერის
ბამათავისუფლებელ ძალისხმევაში,
ნიკო ნიკოლაძის, ბიორბი
შარვაშიძისა და გვიად გამსახურდიას
პრემიების ლაურეატი.

საქართველოს რესპუბლიკის
აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო საქმეთა
კომიტეტის თავმჯდომარე ეროვნულ
ხელისუფლებაში (1993 წ.)

საბრალლო დევნილის ჩანაწერები სასწრაფო სარეცხიდან

„და ჰრქუა უფალმან: აჰა, ესერა, აღგილი შენ წინაშე და სადგე შენ კლდესა ზედა.
უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამნ ჩემი“
იოვანე - 10,37

„გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მალლისა მეფისა როსტევეანისა...“
შოთა რუსთაველი

„ვეუბნებოდიო მაგ უბედურს, ჩემთვის მოებარებინათ ჯვარი,
ახლა ჯვარი დაჰკარგაო, საყვარელმა დედამ უანდერძაო სიკვდილის წინ“.
კონსტანტინე გამსახურდია

„რა ქარია, რა სიცივე დადგა და დღეიდან ზამთარია, დაო!..“
ტერენტი გრანელი

დამეთანხმებით, აშშ-სა და ევროკავშირის ბიუროკრატიას ღიად, გახსნილად და ორლობებში ყურმოკრულის დონეზე ვერ დავადებ ხელს იმაში, რომ იგი საქართველოში საოკუპაციო კონტინგენტის დისლოცირებას უზრუნველყოფს, რაც უპირველესად გამოიხატება მისთვის მისაღები ნამესტნიკი ხელისუფლების თავდადგენაში სახელმწიფოს მართვის სადავეებთან.

კი ბატონო, საამისოდ მე არ მიჭირავს ხელში ის მყარი მტკიცებულებები, რაც, წესით, უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სამსახურებს, მაგრამ ყველა ჭკუათმყოფელი გონივრული ეჭვით უნდა ისიგრძეგანებდეს იმ სინამდვილეს, რითაც სახალხო ნების გარეშე ყოველდღიურობს ქვეყანა.

ამის გასწვრივ, გასაგები მიზეზის გამო, რასაც ვერ ვანხორციელებ მე, საჯაროდ, თანაც ამომწურავად, მეტიც, მტკიცებითი სახით აკეთებს რობერტ კენედი უმცროსი, რომელმაც 2024 წლის 5 ნოემბერს რონალდ ტრამპის სასარგებლოდ მოხსნა აშშ-ს პრეზიდენტის კანდიდატობიდან, ხოლო აშშ-ს ადმინისტრაციას თავისი ნამდვილი სახელი - ომის პარტია პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბზ-მოკიბვის გარეშე დაარქვა.

რათქმაუნდა, იმასაც გიდასტურებთ, არც ბატონი რობერტ კენედი უმცროსი და არც მისი აღმატებულება (უკვე აშშ-ს პრეზიდენტად არჩეული დონალდ ტრამპი დღედაღამ იმაზე არ ფიქრობენ თავგადაკლულად, - ავალორძინოთ საქართველო დედა ღვთისმშობლის წილხვედრილობაში, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი საზოგადოების ეროვნული სულისკვეთებითა და სახალხო ძალისხმევით, კეთილგონიერებითა, თუ წინდახედულობით შეიარაღების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება უახლოეს ხანში ევრო-ატლანტიკური რასიზმის ლეგალური აგენტურის (ექსტრემისტულ ე. წ. პარტიებში „სახალხო“ დამცველის თვითმარქვიობაში, ამკარად მოთამაშე არასამთავრობოების, აგრესორი „უმცირესობების“ და ა.შ.) ფაქტობრივ ძირგამომთხრელობაში მხილება, მათი საზოგადოებრივი გავლენებისა და საშანტაჟო ბერკეტების ჩანაღდება, ლაგამამოდება, რაც ასე საგანგაშოა, ჩვენს ქვეყანაში ფაქტობრივად „სახელმწიფო პოლიტიკით“ მხარდაჭერილი დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის პოლიტიკური დემონტაჟი, ყოველმიზეზგარეშე გაუვნებელყოფა, ქვეყნის გაძლოლა თავისი დედანი ქრისტესმხედრული შინაარსისკენ და ღვთივდადგენილი ვინაობისკენ.

1992 წლიდან ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დავმარცხდით პოლიტიკაში, გავპარტახდით სახალხო მეურნეობაში, გავაქურისფსკერეთ კულტურა, განათლება, სულიერება და ა.შ.

არამედ, სახალხო ყოველდღიურობიდან გამოვიდა მთავარი - ქართველთა გონით განფენის სივრცითი თვალსაწიერი, მოთხოვნილება ეროვნულ - სახალხო ვინაობის დედანზე, ანუ „იჟღევნეციელი“ (ხელგანვდენილის) ნაცვლად შემოქმედ, მწარმოებელ, ღირსებასა და შინერს-ვაშინერსის წესრიგით მოცისქვეშედ თავდადგენაზე, როცა ყველაზე საგანგაშო გავიერიშეთ შეგნებას „ახალსა ერსა ამას საღვთოსა“ (გიორგი მთაწმინდელი) და კიდევ უარესი, - წიხლისკვრით გავაპანღურეთ მსოფლმხედველობა „მამული, ენა, სარწმუნოება“ (წმინდა ილია მართალი).

ასეთ დროს, როდესაც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მარცხი სიცხადე ხდება, ეროვნულ - სახალხო მეხსიერება შენარჩუნებული ქვეყნის სახალხოლობა ცდილობს თავსმოხვეულ, მოძალადებულ ყოფაში თავი შეაფაროს კულტურას, მის გუმბათქვეშ შემონაღდოს, შემოიღობოს თავის გადარჩენისა და თავისთავადობის ასაღორძინებელი თვალსაწიერი, არ დაუშვას თაობათაშორის წყვეტილობა (იხ. ილ. ჭავჭავაძის, კონსტ. გამსახურდიას, გერ. ქიქოძის და ა.შ. სწავლებები; ამ მხრივ არსებულ სინამდვილეში არსებული კანონებით ეროვნულ-სახალხო დედანისთვის ღვთისათნო სახის გადარჩენა, განსაკუთრებით დაიგაკვეთილოს „ვიყავ ბეთანიას, თაყვანი ვეც თამარს. 1921 წ. 25 თებერვალი, კონსტანტინე გამსახურდია“).

აქ საჭიროა ღრმა ჩაფიქრება და მკაფიოდ გასიგრძეგანება იმისა, რომ 1992 წლიდან დღემდე ქართულ კულტურაში (მწერლობაში, კინოში, თეატრში, მეცნიერებაში, მუსიკაში და ა.შ.) ამ მხრივ სანიშანსვეტო აღარაფერი შექმნილა, პირიქით: მიზნობრივად

განადგურდა მანამდე არსებული საკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვარი, მემკვიდრეობა ამ მხრივ რათა გაღრმავებულიყო თაობებს შორისი წყვეტილობა („დროთა კავშირი“ უილიამ შექსპირი). გარედან შემოჩეხებულმა „სტრატეგიულმა მოკავშირეობამ“ შექმნა მიზნობრივი კედელი თაობებს შორის , რათა აწმყოს მესიერება მოგლეჯოდა წარსულის სანიშნავეთო გამონათებებს ერისას 1991 წლამდე, განსაკუთრებით წმინდა ილია მართლისა და „კოლხური კოშკის“ სულიერებაზე დაფუძნებული მსოფლმხედველობას.

სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ჩვენი სატახტო-დედა თბილისი დღეს კვლავაც „ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრად“ დარჩა, ანუ ევრო-ატლანტიკური რასიზმის მიერ შემოთავხედებულ ლგბტეს... ცნობიერების რეგიონალური პოლიგონი გახდა, რომელმაც საამისოდ შეძლო შესაბამისი ეთნოდივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის ქმედითუნარიანად დაქსელვა, სათანადო ეთნონედლეულის მომარაგება და ვაი, უბედურო თავო, პირველი შედეგების მიღწევაც: ეროვნულ-სახალხო ვინაობისგან დაცლილი თაობების დაგეშვა, გაწვრთნა, სამწყობრო დათვალიერება, საველე-სასანგრო მდგომარეობისთვის დარაზმვა და დაპირისპირება დედა საქართველოს ეროვნულ ნიშასთან!..

* * *

1. წუთიაფიქრება ცნობიერებიდან ძილქუშის გასაძევებლად!

„ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა,
მოვიდა ქარი, ხე შეარხია
და საქართველო ეს ის მხარეა,
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.
ციხეში ვზივართ, გარეთ მთვარეა,
შორს გაუსხლავი ლურჯია ბაღი
და საქართველო ეს ის მხარეა,
სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“

(ტერენტი გრანელი)

* * *

ასეთი ეთნოდივერსიული აღმგველობით მოძალადე ევრო-ატლანტიკური რასიზმი ოდნავადაც არ განსხვავდება ლენინურ-ტროცკისტული ბოლშევიზმისგან.

თავის საბოლოო მიზნით დემოკრატიაში ცბიერად შეფუთული ლგბტ უფრო უარესად ხელგამოღებული და ყოველმხრივ გამათახსირებელი გახლავთ, თვალგაუწვდენი ქუჩის ფსკერობაა, ვიდრე ზემოთხსენებული ლენინურ-ტროცკისტული კრემლი, - ასე საბედისწერო მართლმადიდებელი საქართველოსთვის, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველობამ იმ კრემლიდანურ პირობებშიც შესძლო მშობლიური სულის დედანი შინაარსი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, საერთოდ მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, ტაბაკობასა და ყოფაში გამოაპურა, ააზროვნა ქართულ იერსა და საყოფაცხოვრებო წესრიგში, ძვრაუქმნელობად აქცია მშობლიური მსოფლაღქმის წესი, აუმღვრევლად დაინარჩუნა ქრისტესმხედრული მსოფლმხედველობა, შეუგინებლად დაიდგინა ერის ვინაობა...

რათქმაუნდა, საბჭოთა დიქტატურის სადიდმპყრობლო პირობებში საქართველო იძულებული გახდა საბჭოთა კანონებით ებრძოლა საკუთარი ქვეყნისა და ერის მარადიულყოფისთვის, მაგრამ იმავედროულად შეიარაღდა დიდი გამოცდილებითაც.

გასაგებია, ასეთი მოცემულობის მორევში ქართული საზოგადოება იძულებული იყო ბევრი რამ შეენიღბა, არ დაეშვა ჟღარუნი, ელაპარაკა იგავის ენით.

ასეთ გარემოში თვით საღვთო განგებულებით მოაზროვნე, გენიალური და ორდენოსანი (ჰქონდა ამას მნიშვნელობა კრემლისთვის) პოეტი გალაკტიონმაც კი იწვინა ბოლშევიზმის გადამუხლუხება საკუთარ თავზე, რასაც მან თავისი ცნობიერების საველე პირობებში სასანგრებლად საგანგებო ყოფაქცევა და იერი შეურჩია, რითაც ნიღბავდა ყველა მხრიდან დაჭერილი გულის ტკივილებს, ეს „უცნაურობა“ განსაზღვრავდა მის შემოქმედებასა, თუ ყოფით ყოველდღიურობას, რომელიც „ლოთის უდარდებლობაში“ შეიფუთა. არადა, ვინ თუ არა მან, იცოდა, რომ: „რაა მასზე გულსაწყვეტი, მეტეხო და დიდმის ველო“, მიდიოდე და ფიქრობდე: ეს არ არის საქართველო! არის ხალხი, რკინიგზები, არის ავტო, მოტო, ველო, არის ოჯახებითაც, მაგრამ, ეს არ არის საქართველო!..“ ან კიდევ: „ეს ვალიას, ეს თევდორეს, ეს ტარიელს, ეს კი მოსეს. ჰერ ვითვლებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეს...“

საბჭოთა დამპყრობლობის უსასტიკეს კბილანებსა და მამისმკვლელურ მოთხოვნილებებში (საზოგადოება არზაყან ზვამბაია) წაუბილწავად გამოაპარა საკუთარი დედანი სული ლუკაია ლაბახუამაც („მთვარის მოტაცება“ - კონსტანტინე გამსახურდია). მან თავის ტანჯულ უბეში ათბო და აპურა ერის სახალხო მეხსიერება, რისთვისაც სალოსურ „ჭკუადაუმჯდარობას“ შეაფარა თავი (შეადარეთ მასხარას უილიამ შექსპირის „მეფე ლირიდან“).

უნდა დამეთანხმოთ, რომ ლუკაია ლაბახუა, როგორც ერთი შეხედვით მოეჩვენება რომანის ზერელედ გადამკითხავს, არავითარ შემთხვევაში არაა არც ჭკუა არ შესაკითხი კაცი და არც შლეგი. იგი გახლავთ ქვეყანაზე ვერდატეული პირადი თუ საქვეყნო იარების ჩუმად, გარედან შეუმჩნევლად მატარებელი, უფალს მიმონაფებული დიადი პიროვნება, რომელიც თანმიმდევრულად, ერის ტკივილებისა და სახალხო ნების შესაბამისად აზროვნებს. კი ბატონო, მისმა ტანჯულმა და ჩახანძრებულმა სიყვარულმა, გეთანხმებით, რამდენადმე „სულიერი ხარვეზისა“, თუ ერთგვარი ნაცარქექიულობის კვალი დაამჩნია მის გარეგნობასა, თუ ცხოვრების წესს („ვაჟკაცს ცრემლსა რად უზრახვენ, რკინაც სტყდება, რომ სცემს გრდემლი. კაცს და პირუტყვს გასარჩევად ღმერთმა შექმნა მხოლოდ ცრემლი...“ - ილია ჭავჭავაძე), თუმცა ლუკაია ლაბახუას სიშლეგე სწორედ ისაა, რაც გალაკტიონთან „ლოთობად“ ჩანს, ხოლო წმინდა მამა გაბრიელის შემთხვევაში საბჭოთა ფსიქიატრების კონსილიუმმა სიგიჟე უწოდა, გამოთავყანებულმა საზოგადოებამ დასცინა, დღევანდებლობამ კი წმინდანად აღიარა, სრულიად საქართველოს მორწმუნე მრევლმა სულში ჩაისხეულა.

დიახ, ლუკაია ლაბახუა ევრიპიდეს ტიმესიას („ოიდიპოს მეფედან“) დონის ცასწვდომილი საზოგადოებაა, უდიდესი ადამიანთმოყვარეობის, ქვეყნის დედანი შინაარსის, პიროვნული ვინაობის გამოვლენაა, სიბრძნით მოაზროვნე და ჭეშმარიტად ღვთის გლახა (ბიბლიური გაგებით) სალოსი, ბერის უმნიკვლოებით... თავისი ტრაგიზმით ის უილიამ შექსპირის ტანჯული სახეებისაა, ვიქტორ ჰიუგოს კვაზიმოდოს, თეოდორ დოსტოევსკის გვემულ გმირთა გამონარიდი და განტოტებაა.

მისი უხანო და საბრალლო სიყვარული, გაშოლტილი დროსა და სივრცეში გადარჩა ჭუჭყმიუკარებელ ჯახანას ხსოვნაში, რომლის ცრემლში განბანილობა, როგორც მარადი შეუგინებლობა, ქრისტესმხედრულ მეხსიერებაში, ბოლშევიზმის წიაღში ლენინურ-ტროცკისტული თახსირობის ქმედუნარიან საპირწონედ განიშანსვეტდა.

რა მაგის პასუხია და სიბრძნით მოხელმძღვანელე საზოგადოებაში არსებობს საუკუნეობით დადასტურებული გამოთქმა, - „როგორიცაა ქალი, ისეთი არის ლასკარი (ოჯახი), როგორიცაა ლასკარი, ისეთიანო ერი“... სწორედ ესაა იმის ერთ ერთი მიზეზი, დივერსიული ეთნოფაბრიკაციის ნაცვლად ქმედუნარიან იარაღად ქალის გაძუკნება, ანუ მისი პოლიტიკური ფეხანეულობა რომ იქცა ჩვენში.

ასეთმა გამოთახსიერებლობამ თანმიმდევრულად გააძევა ჭერქვეშეთული უერთიერთობიდან ძუძუნმინდობის, შეუგინებლობის, შინერ-ვაშინერსის, თოლიგეს, ნანაგეს, სკან სანთელოს, ნანასკუას ცნობიერება და აულაგმავი ყოვლისმკადრებლობა ჩაენაცვლა მას.

არაერთ თავაშვებათა გასწვრივ ნანახი მაქვს როსტოვის საკოლმეურნეო ბაზარში თევზეულობისა და ლორის (სალას) გამყიდველ კრასნოდარელ ადგილობრივ „იმნაირ“ კაბოსანთა ჯგუფური ხელჩართულობა, გინება, ტ... მოშიშვლება, მაგრამ ის, რაც ამ დღეებში ქალების, პირველ რიგში კი არასრულწლოვანი გოგონების მხრიდან ხდება რუსთაველის დედოფამზირზე, ამასთან შედარებით დონისპირული თმით დათრევა საბავშვო ბაღელთა ჯგუფებს შორის ნათამაშევი ომობანაა.

ვიმეორებ, გათახსირების, ჩაშვების, ნაძირლობის, არამზადობის მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთი საბოზეთური – არა!..

როგორც სარწმუნო წყაროდან ვიცი, ეს გოგუშვები ამ ე. წ. აქციების დროს თავხედურად მიდიან თავის მოვალეობის შემსრულებელ პოლიციელთა მწყობრთან, ლანძღავენ, ებილწსიტყვებიან: „ყ.. არ გაქვს, არ გიდგება? წამო მ...ყ...ო“, „პირშიც ავიღებო“, „შენი დედა მ...ნ, „მ..ტ..ზე მკიდიხარო“ და მისთანები (მკითხველს ბოდიშს ვუხდი ამ უხამსობათა გასაჯაროებისთვის, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა ზნედაცემულობა დათარეშობს აქ). არაფერს ვამბობ „მოლოტოვის კოქტეილების“, ქვების, ფოიერვერკების, მძიმე საგნების სახიფათო სროლაზე. მეტიც, სოციალური ქსელები წალეკილია ბილწსიტყვაობით, უშვერობით, რომელთა ავტორებად ძალიან ხშირად სწორედ ეს გოგონები გვევლინებიან).

ამგვარ ვერაგობათა გარემოცვაში „სტრატეგიული მოკავშირეებისა“, თუ გამბრიყვებელი „მეგობრობის“ დაპირებების დამზაფანგებლობისგან თავდაღწევა უნდა გავხადოთ სრულიად საქართველოს გამაერთსხეულებელ მოთხოვნილებად.

მე, პირადად, რადგანაც ჩემი ქვეყანა გულისტკივილამდე მიყვარს, ყველა უმადურობაზე და წყენაზე მაღლა ვიდექი (ვდგავარ და დავდგები აწივ), ამიტომ არ ვიხეპრებ თავს დროსა და სივრცეში არარსებული „კეთილმოსურნეობით“ და ძალიან ზუსტად ვკითხულობ იმ ქვეშქვეშობათა შეულამაზებელ შინაარსს, რომელთაც „სიკეთეში“ შეფუთულად გვიყვოდდიურებს „მოყვრად“ შემოთავხედებული ავმოსურნე. იგი, ისევე, როგორც მისი ადგილობრივი აგენტურა, დაუფარავად ებრძვის ქართველი ერის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მარადიულ ყოფას.

2. წუთჩაფიქრება ცნობიერებიდან ძილქუშის გასაძეველად:

- „...როგორც ოხვრა შორეული გედის, ანდა როგორც მარმარილო ცივი
- მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.
- ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროდ ვეტრფი, შენ გაიგებ ჩემს ამნაირ ტკივილს.
- მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.
- რალაც მინდა სიცოცხლეზე მეტი, უფსკრულია და შენ მართო ჰკივი.
- მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.“

ამ ოცდაცამეტი წლის მანძილზე ე. წ. სტრატეგიული მოკავშირეების და დაუძინებელი „მეგობრების“ მიერ ჩვენ საზოგადოების ყოველდღიურობას შემოხლართული ჯაშუშური ქსელი, რომელიც შეიფუთა სხვადასხვანაირ „უფლებათდაცვაში“, ანუ საოკუპაციო დირექტივათა აღსრულებაში, ყველა საშუალებით ცდილობს ღვთისმშობლის წილხვედრილობაში სახალხო მოსვენების არდაშვებასა და უფალთან მიმონაფების აკრძალვას.

აქედან გამომდინარე, მან მიზნად დაისახა სამოქალაქო არეულობით უკიდურესად დააკნინოს ქართული სახელმწიფოებრიობის არსი და სამამულო აღქმა, ძირი გამოუთხაროს მის ქმედითუნარიანობას. ამის გასწვრივ წინამდებარე ავმოსურნეობა ინდომებს ქართველი ერის დარწმუნებას საქართველოს დამოუკიდებლობის უსარგებლობასა და ამის წილ ე. წ. ევროკავშირში, იგივე ნელსაბჭოეთში ჩაბორკილების

„მონეტარე უპირატესობაში“, რაც საქართველოს კონსტიტუციაშიც კი აისახა. ამასთან ერთად მანვე „გაუნათლებლობად“ და თვითმიზნურ აკვიატებად დაადგინა ღირსებაში ყოფნა, უტიფრად და თანმიმდევრულად დაანაგვიანა ეროვნულ-სახალხო თავისთავადობა, წასაბილწად მიადგა ყველა სამამულო სინმინდესა, თუ შეუგინებლობას, ქვეყნიდან მათრახით ერეკება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წამგაელვებასაც კი...

„კოლხური კოშკის“ მსოფლმხედველობაზე აგებული სახელმწიფო პოლიტიკის ქვეყნიდან გაძევების შემდგომ მოსულმა ნამესტნიკურმა ხელისუფლებამ (უფრო სწორად, დიდმპყრობლობათა ადგილობრივმა ბიუროკრატია) დებულებით „დავეუფლოთ ამერიკულ სულს“, დაქსელა საქართველოსთვის არაბუნებრივი, სახალხო ნებისთვის მიუღებელი ცნობიერება, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების ავთვისებიან გამომზეურებად, ანუ მიზნობრივად დაგეშილ რაზმეულობათა სამოქალაქო იდეოლოგიის ღერძულ მსოფლმხედველობად გვექცა.

ამის შესაბამისად, „სტრატეგიული მოკავშირეები“ და „მეგობრები“ საქართველოში დისლოცირებულ ადგილობრივ კონტინგენტს, ჰკიდებენ რა მკერდზე ფირნიშს „ქართველი ხალხი“, უპიროვნებენ ნაგაზის მოვალეობას, რომელმაც უნდა დაგლიჯოს „დემოკრატიის მტრებად“ შერაცხული, თუ გაანათემებული ის მოსახლეობა, ქართველი ერის დედან შინაარსში ცხოვრება და საკუთარი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება რომ არჩია ყველა მიწიერ საცდურს. ამ ხალხს ისინი მხოლოდ საეთნოდივერსიულ ნედლეულად და პოლიგონურ ნადავლად მიიჩნევენ მხოლოდდამხოლოდ და არა ქართველ ერად.

ამასობაში „ქართველი ხალხის“ ფირნიშმიმაგრებული მონაგაზე ხროვა ევროატლანტიკური რასიზმის ქვეორგანიზაციებისგან ჯამაგირდება, დავალებებსაც მათგან იღებენ და საქვეყნისმგრეველო „ქსა-არიქასაც“ იქედან უძახიან: ესაა მათი სამსახური, თანამდებობა - ჯაშუში!...

იმ ავადასახსენებელი საბჭოთა კავშირის დროს ჩვენ „ვვითარდებოდით“ ლოზუნგით „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური“ - დღეს ეს ასე არაა, საბჭოთა კავშირი იმასთან, რაც წინამდებარე სტრატეგიული მოკავშირეობაა - იავნანა გახლავთ: ფორმითაც და შინაარსითაც ლგბტ-ს სანესდებო ნებადართულობა განსაზღვრავს აქ.

... როცა კაცი მარჯვენას კაცობის გასაშინაარსებლად გამოგინვდის, უნდა მიემარჯვო, მაგრამ იგივე მარჯვენა სამშობლოს თუ მოუქნია, გადაუგრძელოს!..

3. ნუთიფიქრება ცნობიერებიდან ძილქუშის გასაძევებლად:

„სადღაც მთასთან იწვიმა, სადღაც მთაზე ბურია,
ამნაირი ღიმილი უნინ მე არ ვიცოდი.
ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია
ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი მარადისობის.

ახლა რა ვქნა არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ,
როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის.
მე - ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება,
ჩემი ნაზი სამშობლო - ლაუჯარდები ცისფერი.

რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო,
მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ ადგილები.
ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო,
რომ დაღუპვა მომელის, ვიცი დანამდვილებით.“

(ტერენტი გრანელი)

არ მიკვირს ამათი დილა-სალამო, ესენიც იმ მარაქიდან არიან, სადაც ოცდაათ ვერცხლად გმოხენ ღმერთს. შესაბამისად დაკარგეს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ადამიანური სახეც დედანში, გაანიავეს ვინაობა, მსოფლმხედველობრივად გაასხვისეს მამული და იგი დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის პოლიგონად დაადგინეს, რითაც უარი თქვეს მსგავსად ღვთისა სახისა ყოფნაზე“ და მიისახიერეს ეშმას გარეწრული სიფათი. ამის შემდეგ ნებართვაც იბოძეს და უყოყმანოდ გადიმუხლუხეს ერის შეუგინებლობებზე. ცხადია, ქვეყნისმნგრეველობა და მამულის გადასხვისშინაარსება. აი, ასეთ „წვრილმანებშია“: 2021 წელს დიდგორის ომის 900 წლისთავს „მეგობარ“ თურქეთს ეწყინებაო და მიჩქმალვა მოუნდომეს. ამასობაში იგივე „კეთილმეზობელი“ ოსმალეთის იმპერიის აღდგენის აუცილებლობას მართო კი არა, „სამართლიანობას“ რომ დღედაღამ ამტკიცებს, მეტიც, უკვე მიტაცებული ქართული მიწებისთვის, სულ ცოტა, ბათუმ-ოზურგეთ, ახალციხე-ახალქალაქის მიერთების გეგმებს თითისქნევითა, თუ ფეხზე დაკიდების წესით რომ ააშკარავებს „ჩვენი“ სახელმწიფოს მესვეურებისთვის „გამოხატვის თავისუფლება“ და არა დაფარულში ჩანიღბული საფრთხე.

სწორედ „დიდი თურანის“ შორსგახედულობიდან გამომდინარე და თურქეთის „სტრატეგიული მოკავშირეობის“ („მეგობრობის“) შესაბამისად, სრულიად თურქული დიდმპყრობლობის დამმარცხებელი წმინდა დავით აღმაშენებლის ძეგლი მის მიერ გათავისუფლებული სატახტოს შუაგულიდან გარეუბნისკენ რომ გაძევდა.

არადა, ყველგან და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი თურქული ანდაზა - „რატომ ეჩხუბები?! გულში ჩაიკარი და ისე დაახრჩვე!..“

გეთანხმებით, წინამდებარე პოლიტიკური (სინამდვილეში ჯაშუშური ქსელის) სიმრავლის ყოველდღიურობა ერთიანად საგიჟეთია, სადაც კაცობრიობის ჯანსაღ, სამამულო და ზნეობრივ ხმას უღმერთო, სულგაყიდულ, თუ ძირგამომომთხრელ ჯაშუშთა ყაყანი, თანაც ლეგალური ნებართვით, ახშობს, რომელთა სულიერ დაცემას საზღვარს ან მიჯნას ვერ დაუდგენ: 2025 წლის 12 მაისს სასამართლოს მუშაკთა ერთმა ჯგუფმა თბილისის რომელიღაც რესტორანში მოინდომა საახალწლო დღეების აღნიშვნა (კი ბატონო, სხვა საკითხია, - რა გეგმილება!).

მოხდა ისე, რომ გარედან მართული მანქურთები მიუვარდნენ და დაარბიეს მოზეიმეები, რომლებსაც მანამდე წინასწარმოსყიდული მზარეულების მიერ ფურთხითა და შარდით წაბილწული კერძები აჭამეს (პურის სიბინძურით გაჭუჭყიანება ღვთის მადლისადმი უმადურობის და ძალადობის გამოვლენაა, რომელიც არ უხარია ღმერთს.

მახსოვს, ბავშვობისას, გაკვეთილებიდან მობრუნებულს, სკოლაში წაღებულ პურის, ან ჭადის ნატეხს, თუ მორჩებოდა, ღმერთს შენდობას ვთხოვდით, მიწაზე არ ვაგდებდით, ხეზე ჩიტებს დავუტოვებდით, მისი მიწაზე დადებაც კი ცოდვად ითვლებოდა, არათუ სიბინძურის მირევა.

ასეთი გარეწრობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისეთ ხროველ სიმრავლეში, სადაც ლოზუნგით „დავეუფლოთ ამერიკულ სულს“ გამოთავხედებულ ე. წ. ახალქართულ თაობას საქართველოსთან არანაირი მიმამშობლიურებელი, ცნობიერი და ღირებულებითი სისხლხორცერთობა არ გააჩნია.

რადგანაც ამათი ღირებულებითი ნიშანსვეტი სამჯერ განათხოვარი კაცის - მიხეილ როთის მსოფლაქმით შინაარსდება, უფრო მეტი ქუჩისფსკერული თავაშვება წინ გველის.

ასეთია სიცხადე, სადაც კიდევ-განი არა აქვს ჩემი ტანჯვის მოსაზღვრულობას, ჩემს სიბერეს რომ შემოეხვია მახრჩობელად.

ასეთ დროს, როგორც ოდიშ-აფხაზეთში იტყვიან, ვაგამდღანათ (მიახლოებით - ნუ მისაყვედურებთოს ნიშნავს, თუმცა მხოლოდ მიახლოებით და არასრულად. რამდენი სიტყვა და მეგრული ცნებაა სალიტერატურო ქართულ ენაში გადმოსატანი, რათა აზრი უფრო მრავალმხრივად, ამომწურავად ან მრავალმიმართილებით გამოისახოს).

დიახ, იმას გეუბნებოდით, ვაგამდღანათ. ეტყობა ჟამი მოვიდა, მე უკვე იქეთ მიხმობენ. ჯერ ადრეა, საქართველოს სჭირდებიო, მითხრა ერთხელ ქალბატონმა დენისა სუმბაძემ. შეიძლება, ვჭირდები, მაგრამ არა ასე სასწრაფო სარეცელში!..

მე მივდივარ, მაგრამ არა თავშერცხვენილი: არასდროს დავზავებდით საკუთარ გენეტიკურ კოდთან მიმდგომლებსა, თუ საზურგე მახვილით მიპარულებს. ამას ვახერხებდი იმით, რომ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ულტრა პრიმიტიულ აღქმაზე უფრო შორს და ღრმად ვითვალსაწიერებდი ჩემი ქვეყნისთვის თავსმოხვეული სიცხადის რაობას.

მე მივალ იმ დროს, როდესაც პირადი ვალდებულებები ჩემს ქვეყანასთან ვფიქრობ, რომ დალაგებული მაქვს, თუმცა, ძალა რომ მეტონდეს, არც დღეს ვიქნებოდი ზედმეტი და ხალხს არ დავამადლოდი ჩემს გამოცდილებას. ვაგლახ, ცხადია, უფალმა უკეთ იცის, თუ სად უნდა ვიყო. მე მივალ, ბრძოლის, ხმის ჩახლეჩამდე თქვენი გაფრთხილების, თქვენთვის თავდადების, ამის წილ უმადურობის, შიმშილის, გვემის, ტანჯვის, გარიყვის, დაცინვის, ღალატის, დავინწყების, ტანჯვის, ვერმოსყიდვის, გარდაცვალების შემდეგ მივდივარ ზეციურ საქართველოში.

მივალ მეტი, მაგრამ მჯერა, რომ მოვალ მუხლმაგრობად, დედან ნიშანსვეტად ბესლეთის ხეობისა - ჩემი ოდაბადის, რადგან თვალელებში დროებით გასხვისებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ცა წამგაუცდენლად ჩემეფესვა აქაც და მიღმიერ სამყაროშიც...

მე უსათუოდ მოვალ!..

4. წუთრიაფიქრება ცნობიერებიდან ძილქუშის გასაძევებლად:

ახლა არის ივნისი, ახლა გვიან ღამდება.
მაგონდება ბავშვობა. ეს ცა მაშინ სხვა იყო!
ამ მაღლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას...
მერე თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო.
ახლა დედის აჩრდილი დებს და მამას მაბარებს,
(ახლა უფრო ხშირია დარდი და უძილობა).
მზერას მტაცებს საყდარი. ველზე გათხრილ სამარეს
ვაკვირდები შორიდან, როგორც მიწის ჭრილობას.
ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად:
მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება!..
ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა,
ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება.
თუმცა თვალეებს ცეცხლიანს არ ეტყობათ დაღალვა,
ვიცი, გაფითრებული ვგავარ შემოღამებას.
ნიჭმა ველარ მიშველა, როგორც ზეცამ მაღალმა...
არ თავდება ვარამი და იობის წამება.
ახლა მინდა ამ მზეში იმედები გახშირდეს
(თუმცა რაა იმედი? - წამიერი ფარ-ხმალი).
მელანდება სიკვდილი და სოფელი მამშვიდებს,
ჩემი ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი.

(„დაბრუნება სოფელში“, ტერენტი გრანელი)

სერგი (გიორგი) საჯაია

15.01.2025წ.

ძლება მონანიება, ან სულაც ლუსტრაცია!?

ფირუზ დიაკონიძე



მკმ
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი -
- ეროვნული ადორძინების“
თავმჯდომარე
2009 - 2012 წლებში

„იბერიელთა აქტი გონიური“

წინათქმა

... და იქმნა ძლევადი საკვირველი... რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა, ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას. და წმიდა მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას.

... და იქმნა ძლევადი.., რამეთუ ყოველთა ამა კავკასიანთა ერთი იყო მამა, ერთი იყო აზრი და ყოველმან კარგად უწყოდა, რომ ვითარცა ამირანი, იბერიული რასა კავკასიაზე მიჯაჭვული.

... იქმნა ძლევადი... რამეთუ დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა ... რამეთუ ყოველი საიდუმლო არას ენასა შინა დამარხულ არს...

იბერიული გონის საიდუმლო

ვინ დაგვბადა, შეძლებაცა მანვე მოგვცა ძლევად მტერთად, რამეთუ გვიწილადა საკუთარი გონი. ცხოველური სულისაგან განსხვავებით ეს გონი ცდილობს დაუბრუნდეს პირველსაწყისს, დაუოკებლად ისწრაფვის სრულყოფილებისაკენ, ანუ ვითარდება. ეს განვითარება უსასრულო ციკლობრივი პროცესია, რომლის ყოველი ციკლი მოიცავს ხუთ საფეხურს:

1. დაბადება - გონი აცნობიერებს საკუთარ არსებობას სამყაროში, ვარდება საგონებელში და აკეთებს არჩევანს „მე“-სა და გარესამყაროს (საგონეს) შორის, მიემართება საგონესაკენ;

2. შემოქმედება - გონი ეძლევა თავდავიწყებას, გამოდის საკუთარი თავიდან და განუწყვეტლივ იღწვის საგონეს გარდასაქმნელად, შეაღწევს კიდეც მასში, საგონე ხდება გონიური ანუ კულტურული;

3. ბედნიერება - საკუთარი შემოქმედების ნაყოფში გონი ხედავს საკუთარ თავს და განიცდის სიამოვნებას ქრება თავდავიწყება და იწყება სიამაყე;

4. გაუცხოება - უსაზღვრო ამპარტავნობითა და გარეგანი საცდუნებლით გონი კარგავს საკუთარ თავს;

5. გარდაცვალება - გონი აცნობიერებს ჭეშმარიტ მდგომარეობას, ინანიებს, უბრუნდება საკუთარ თავს და იბრძვის გადასარჩენად. საკუთარ წიაღში პოულობს ძალებს და იბადება ხელახლა თითქოსდა სხვად.

ამის შემდეგ გონი, თვისობრივად განახლებული და ამაღლებული, მეორე ციკლში თავიდან გადის იგივე საფეხურებს და გადადის მესამე ციკლში. შემდეგ იმგვარადვე - მეოთხეში და ა.შ. უსასრულოდ, რადგან საბოლოო სრულყოფილების მიღწევა შეუძლებელია. კაცი ღმერთად ვერ იქცევა. იგი შეიძლება მხოლოს ემსგავსოს მას.

ეს არის ჭეშმარიტი განვითარების გზა. იგი სიყვარულის გზაა, ქრისტეს გზა, რომელიც გვაახლოებს ღმერთთან, მაგრამ არსებობს მოჩვენებით განვითარების გზაც, ბოროტების გზა, ბარაბას გზა, რომელიც გვაშორებს ღმერთს, მისი საფეხურებია:

1. დაბადება - საგონებელში ჩავარდნილი გონი ირჩევს საკუთარ „მე“-ს და რჩება ცხოველური სულის დონეზე.

2. მოხმარება - (შემოქმედების ნაცვლად) ეს სული ყველაფერს გამოყენების თვალსაზრისით აფასებს. უმაღლესი საბოლოო არის „მე“. მოიხვეჭს ბევრ რამეს, მაგრამ, კარგავს საკუთარ თავს.

3. კმაყოფილება - (ბედნიერების ნაცვლად) იგივე სული ამპარტავნობს, ტრაბახობს, თავი ყოვლისშემძლე ჰგონია.

4. მობეზრება - მის არსებობას აზრი ეკარგება, იგი გადაღლილია, ყველაფერს იწუნებს და წუწუნებს წარსულზე.

5. სიკვდილი - (გარდაცვალების ნაცვლად) იგი აცნობიერებს ჭეშმარიტ მდგომარეობას, ეუფლება ნიჰილიზმი, ვერ პოულობს ძალებს გადასარჩენად და წყვეტს არსებობას.

ჭეშმარიტი განვითარების გზის არსი სიყვარულია. იგი გონიური გრძნობაა, რომელსაც თავდავიწყებით გამოვყავართ ჩვენი თავიდან, ყველაფერს გვაკეთებინებს სატრფოს გილისათვის, მისი ბედნიერებით გვაბედნიერებს და მასში არმოგვაჩენინებს ჩვენს თავს უფრო ამაღლებული სახით. ტყუილად არ უთქვამთ, „სიყვარული აგვამაღლეს“. სწორედ სიყვარულია ყოვლისშემძლეველი ძალა, რამეთუ სიყვარული ღმერთია.

„მცნებასა ახალსა მიგცემ თქუნ, რაითა იყუარებოდით ურთიერთას“ (იოანე 13; 34)			
ამაღლების დონე		გონის მიმართულება	უკვდავების გარანტია რომელშიდაც გასაგნებულია გონი
უკვდავი შემოქმედი გონი	მომხმარებელი მოკვდავი სული		-----
	მიჯნური	სატრფო (ერთეული)	ოჯახი
	პატრიოტი	ერი (განსაკუთრებული)	სამშობლო
	ჰუმანისტი	კაცობრიობა (ზოგადი)	მსოფლიო
	მორწმუნე	ღმერთი (უნივერსალური)	სამყარო
„და ეს არის ძლევა, ქვეყნიერების მძლეველი - ჩვენი რწმენა“. (I იოანე 5; 4)			

ჭეშმარიტო განვითარების გზის უარყოფითი თავგამოდებით იბრძვიან სიყვარული ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, თუნდაც სულ მცირედის. უპირველესად გვარწმუნებენ, რომ სიყვარული სავსებით არ არსებობს. ეს საბოლოო ანგარიშით იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ღმერთი. როცა ამას ვერ ახერხებენ, ცდილობენ აგვიმღვრიონ ცნობიერება იმით, რომ სიყვარულის სახელს არქმევენ ათას რამეს (სიამოვნებას,

შოწონებას, ვნებას, ნდობას, შიშს, სქესობრივ ინსტიქტს და ა.შ.) და ამათ მის სანაცვლოდ გვთავაზობენ. სამწუხაროდ, უმეტესწილად აღწევენ კიდევ მიზანს შემდეგ თავდასხმის ობიექტი ხდება სიყვარულის გამოვლინების უპირველესი გარემო - ოჯახი და გვთავაზობენ ოჯახისაგან თავისუფალი ცხოვრების იდეალს. ამას მოჰყვება სამშობლოსა და საკუთარი ერის უარყოფა თითქოსდა ზოგადსაკაცობრიო იდეალების სასარგებლოდ, ხოლო შემდეგ ძალისხმევაც არაა საჭირო, რადგან ოჯახისა და სამშობლოს უარყოფელი ვერასდროს ვერ გახდება ვერც ჰუმანისი და, მით უმეტეს, ვერც ღვთისმოყვარული და ცდუნებაც აღსრულებულია, - შემოქმედი გონი გადაკეთებულია მომხმარებელ სულად, რომელიც საგონებელში ჩავარდნილი, რასაკვირველია, საკუთარ თავს ირჩებს და მთელი სამყარო მისთვის მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნების წყაროა მისი გზა, რა თქმა უნდა, ბოროტების გზაა (მოჩვენებით განვითარების გზა), რომელიც სიკვდილით მთავრდება.

განვითარების პროცესი ერთიდაიგივეა როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი გონისათვის, მაგრამ ინდივიდუალური გონის განვითარების მხოლოდ ერთი ციკლია ხილული ჩვენთვის ესაა პიროვნების ამქვეყნიური სიცოცხლე. ამის იქით ჩვენი გონება ვერ სწვდება მას; რაც შეეხება საზოგადოებრივ გონს და მის მატარებელ ხალხს, ჩვენ თვალწინაა მისი განვითარების ციკლობრივი ისტორია.

იბერიელთა განვლილი გზა

იბერიული გონის დაბადება მოხდა წარღვნამდელ ხანაში. მან გაიარა შემოქმედებითი აღმავლობა. შეიქმნა წარღვნამდელი მსოფლიო ცივილიზაცია, გაბრწყინდა ატლანტისი, მაგრამ იბერიული გონიც გაუცხოვდა საკუთარ თავს. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მსოფლიო წარღვნა. ჩაიძირა ატლანტისი, დაიღუპა თითქმის მთელი კაცობრიობა და, რაც მთავარია, მოკვდა ცივილიზაცია.

გავიდა ოთხი ათასი წელი (ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკვდარი) და ღმერთმა, როგორც ლაზარე, აღადგინა იბერიული გონი, ეს მოხდა ქრისტემდე 5604 წლით ადრე („და სასწაულად ესე აქუა ას ოთხი წელ უმეტს სხუათა ენათა). სწორედ ესაა დასაბამი ახალი იბერიული ცივილიზაციისა, რომელიც დღემდე გრძელდება, ხოლო თითო საფეხური განვითარებისა მოიცავს 532 წლიან ხანას, ანუ ერთ მოქცევას, მშ, ვნახოთ იბერიელთა განვლილი გზა.

როგორც ვხედავთ, იბერიულმა გონმა ორჯერ განიცადა გარდაცვალება და ამჟამად მესამე ციკლს ასრულებს. თუ ზემოთქმულ კანონზომიერებას გავითვალისწინებთ, უნდა შევნიშნოთ კიდევ ის პროგრესი, რაც გვაახლოებს ღმერთთან, ე.ი. კოლხური ეპოქა რაღაცნაირად უფრო პროგრესული უნდა იყოს, ვიდრე შუმერული, ხოლო ქართული კი კიდევ უფრო პროგრესული, ვიდრე კოლხური, რადგან ეს გზა სიყვარული გზაა, ვნახოთ როგორაა ამ მხრივ საქმე. პირველი შუმერულ ეპოქაში, ჩვენი წინაპრები ობლად აცნობიერებდნენ საკუთარ თავს სამყაროში და ძალიან შორს იდგნენ ჭეშმარიტი ღმერთის გაგებასთან. მათი აზრით, თითქოსდა ისინი იყვნენ ყოველივეს ბატონ-პატრონი და ღმერთი არ ერეოდა მათ ცხოვებაში. ე.ი. ისინი არ გრძნობდნენ სიყვარულს ღვთისაგან. მეორე - კოლხურ ეპოქაში, ჩვენს წინაპრება ღმერთი წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც დამსჯელი. მან ხომ ამირანი მიაჯაჭვა კავკასიონზე. ე. ი. ღმერთს იმდენად უყვარდა ადამიანი, რომ ზრუნავდა კიდევ მასზე, მის გაკეთილშობილებაზე, ეს უკვე გარკვეული სიყვარულია. ხოლო რაც შეეხება მესამე - ქართულ ეპოქას, აქ ვხვდებით სიყვარულის ნამდვილ გამოვლინებას ღვთისაგან. იგი ევლინება ამქვეყნიად ადამიანებს, რათა საკუთარი ჯვარცმით გამოისყიდოს ადამიანთა ცოდვები, მაშასადამე, მთელი ამ გზის განმავლობაში ჩვენ უფრო და უფრო ვუახლოვდებით ღმერთს. ყოველ შემთხვევისათვის, ჩვენს ცნობიერებაში იზრდება ღვთის სიყვარული ჩვენდამი.

ახლა ვნახოთ უფრო დანვრილებით ეს გზა. ჩვენთვის ნაკლებადია ცნობილი იბერიული გონის შუმერული ეპოქის ისტორია. ვიცით მხოლოდ, რომ წარღვნის შემდგომ მოგონიერებული ხალხებიდან უწინარეს იბერიელებმა მოახერხეს შუამდინარეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბება. გამოიგონეს (თუ მოიგონეს) ხორბალი, რამაც სწრაფი ბიძგი მისცა ცივილიზაციას, განავითარე მინატმოქმედება თავისი სარწყავი არხებით და,

რაც მთავარია, შეინარჩუნეს ვაზის კულტურა, ააშენეს ქალაქები და მათ შორის უბრწყინვალესი - ური, ხოლო შემდგომ, განვითარების გზის გაუცხოების საფუძვრზე მყოფნი, სემიტებს უთმობენ ცივილიზაციის სადავებს. თვითონ კი იძულებული ხდებიან იზრუნონ თავის გადასარჩენად, ახერხებენ კიდევ ამას და იბერიული გონი შუმერულიდან გარდაიცვლება კოლხურად.

იბერიელთა განვლილი გზა

დაბადება		
შემოქმედება		
ბედნიერება	ატლანტისი	
გაუცხოება		
გარდაცვალება		

წარღვნა

ოთხი ათასი წელი	„და ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკვდარი. 'სახარებისა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიათ“.	ური (წყალი) ენგური ტეხური მულხურა ჭიშურა
-----------------	---	---

შუმერული ეპოქა

1	5604 დაბადება	კაცი	ანი (მთვარე)
2	5072 შემოქმედება	ბორბალი	ან - ქი
3	4540 ბედნიერება	ური 342-376 4198-4164	სვანეთი
4	4008 გაუცხოება	141 3867 - ?? სემიტები	მაჭავარიანი დადიანი ორბელიანი
5	3476 გარდაცვალება		გელოვანი ასათიანი ბაბლუანი

კოლხური ეპოქა

6	2944 დაბადება 2412	ამირანი	აია (მზე)
7	შემოქმედება 1880	ანბანი	ქი-ანა
8	ბედნიერება 1348	ქუთაია ოქროს აიელი 342-376 საწმისი მედეა 1538- 1504	ლაკადა
9	გაუცხოება 316	141 1207 ტროა საბერძნეთი	ძველაია ხასაია წულაია
10	გარდაცვალება 284	ქუჯი	შენგელაია ცომაია კვირაია

ქართული ეპოქა

11	284 დაბადება 248	ფარნავაზი იესო	ძე ღვთისა
12	შემოქმედება 780	წმ. ნინო სახარება გორგასალი	ქვე.ყ.ანა
13	ბედნიერება 1312	ვეფხ.ტყაო. თბილისი დავითი 242-376 თამარი 1122-1156	ფშავ ხევსურეთი
14	გაუცხოება 1844	141 რუსეთი 1453 კონსტანტინეპოლი	ჭავჭავაძე ტაბიძე მარუშისძე
15	გარდაცვალება 2376	ილია ზვიადი	ჯავახიშვილი ფალიაშვილი

კოლხებმა აითვისეს შუმერთა სულიერი მემკვიდრეობა და ამ საფუძველზე კაცობრიობას პირველებმა შეუქმნეს ანბანი. მითოლოგიურად ამის დასტურია თქმულება ამირანზე. ამირანმა ციდან სწორედ ანბანის სიბრძნე მოტაცა, კოლხურ ეპოქაში აღმოცენდა იბერიელთა განთქმული მეტალურგია (ხალიბები), განსაკუთრებულ უმაღლეს დონეს მიაღწია ოქრომჭედლობამ... კოლხურ ეპოქაში აშენდა უამრავი ქალაქი მათი მთავარი ღვთაების აია-ს (ეა) საპატივცემულოდ და მათ შორის კოლხთა დედაქალაქი ქუთაია (აიას ქალაქი). სწორედ ამ ქალაქში მოღვაწეობდა მედეას მამა, ოქრო-მრავალი აიელი მეფე, მზისშვილად წოდებული. ანბანური დამწერლობა არის ყოველგვარი სიბრძნის აკუმულატორი, ამიტომაც მას საიდუ,ლოდ ინახავდნენ კოლხები. ეს არის ის მთავარი დედა ბაჯაღლო ოქროს საწმისისა, რომელიც შემდგომ მიიტაცეს ბერძნებმა. იმ ფაქტით დაიწყო იბერიული გონის ტრაგედია კოლხურ ეპოქაში და დასრულდა ტროას დაცემით, როცა მოხდა კიდევ ცივილიზაციის სადავების ბერძნებისათვის დათმობა. კოლხებმა კი გააცნობიერეს თუ არა საკუთარი მდგომარეობა, იბრუნეს თავის გადასარჩენად და მოახერხეს კიდევ ეს.

ამრიგად, 284 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე (დასაბამითგან 5320) იწყება ახალი ქართული ეპოქა იბერიული გონისა. მისი დაბადება იწყება ფარნავაზის მოღვაწეობით. ქართლის სახელმწიფო ხდება მთავარი მემკვიდრე კოლხური კულტურისა. იგი ხდება დამცველი და სახელმძღვანელო იბერიელთა დედა ენისა, დედა ღერძი იბერიულ-კავკასიური ერთიანობისა, ხოლო დედა ქალაქი ქართლისა მომავლისათვის ხდება ქართულების მიერ ქაარსებული ქართ-ი ანუ თბილისი, სწორედ ამ ქართ-ისაგან მომდინარეობს ამ ეპოქის მთავარ იბერიელთა სახელწოდება - ქართუელი.

ქართული ეპოქის დაბადების 284 წელს მოხდა უდიდესი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში. კაცობრიობას მოევლინა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მისი ამქვეყნიური მოღვაწეობის შედეგად ჩვენ მივიღეთ ჭეშმარიტო რელიგია - მართლმადიდებლობა, რომელიც, თავის მხრივ, არის ქართული სულის ქვაკუთხედი. ამიერიდან იბერიულ გონზე ლაპარაკი შეუძლებელია მართლმადიდებლური ქრისტიანობის გარეშე. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქ მოგანოდოთ სახარების მოკლე შინაარსი „დავითიანის“ მიხედვით.

საფუძველი არს ყოველთა დაუსაბამო პირველი,
მამა ყოვლისა მპყრობელი, ცათა და ქვეყნის მჭირველი,
მიუწდომელი, უბოძო, გამოუთქმელი, მბრწყინველი,
ღმერთი, აბელის მსხვერპლისა კეთილად შემანირველი.
წინასწარმეტყველთ ქადაგეს ბრძანება ღვთის მაგიერი,
გამოგვიცხადეს, გვასწავეს, გვაცნობეს სიტყვა ძლიერი.
ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰბმია დღე ნათლიერი,
ეგრეთ აბრამის ყვავილი, დავითზე ნაყოფიერი.
დავით თქვა ღვთისა მაგიერ სიტყვა ძლიერი ერთია:
გარდამოხდესო, ვით წვიმა, საწმისზედ მონანვეთია;
ვით მან თქვა, ნათლად მობრწყინდა მის ნათლის შენაერთია,
მისვე დავითის ძედ თქმული, იესო ქრისტე ღმერთია.
მამისა სიტყვა სახითა, ვით შრტო ძირთაგან, ეხარა;
მიიბა მთამან პოხილმან, პოხიერებით ეხარა.
ძედ სიხარული სოფლისა ქალწულს მარიამს ეხარა,
მით ცრუვ ყვნა ღმერთმან კერპითა ცუდ-მოიმედე მკვეხარა.
რა იგი ჩჩვილი ასაკით სახით აღმორჩადა, ახევდა,
მის უმჯობესსა ნასახსა მსახველი ვერას სახევდა!
მით იკურნოდა სნეული, ბრმა თვალით დაინახევდა,
მისგამო მისი მრხეველი უკვდავებ[ა]სა არხევდა.
ვერ იცნეს, იყო მოსილი ღმერთი კაცობრივ ცმულითა;
კაციც ძნელია საცნობლად, ღმერთს ვინ იცნობდა გულითა!
მაგრამ ნათლად ჩნდა ნათელი, მისის დავითის თქმულითა,
ნახეს და ვერ დაინახეს იმ ბრმითა თვალ-ახმულითა.

მას უცნაურს მეცნიერნი ათორმეტნი უდგნენ მცველად,
 ამად რომე მისი საქმე მათ სმენოდათ უფრო ვრცელად,
 არ უნდოდათ უჟამურად საიდუმლო გასაცრცველად,
 შესცდა ერთი მათგანიცა, იქმნა უცხოდ ზურგმაქცველად.
 ურიათ გმეს და უარყვეს უფალი ტკბილი იესო,
 მათ მისი სწავლა მოძღვრება არარად მიიჩნიესო;
 არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეაჩნიესო;
 ორსავ გზას წრფელს წინ უდებდა, ხორციელს და სულიერსო,
 მკვდარს აღუდგენდა, კურნევდა კეთროანს, წყალმანკიერსო;
 ბრმას თვალით უხელდა, ცისცისად არჩენდა ეშმაკიერსო;
 უტყვს ენას ძღვნიდა, ყრუს სმენას, კუტს-საპყარს სვლას შვენიერსო;
 პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდა: ჭამე, სვი ესო.
 ამის მეტს არას ეტყოდა: ესევდით ღმერთს ზეციერსო.
 მშვიდათ ცხოვრებდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო;
 გაიკითხევდეთ გლაზაკთა, ასმევ-აჭმევდეთ მშვიერსო.
 ღასაც კეთილს იქთ, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო.
 ან, ნახეთ, მისად სანუფქოდ რაც მათ მას შეამთხვიესო;
 ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო;
 ღვთის საიდუმლო გატეხეს, გულში ვერ დაიტიესო,
 თავიანთ მაცხოვრებელი წ[ა]მწყმენდლად მიიჩნიესო.
 ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს, ისიც კი დანაბნიესო;
 შეიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოახვიესო;
 მაგრა შეუკრეს ხელები, უფალსა არა სთნიესო,
 ურიგო სიტყვა შეკადრეს, გალანძღეს, გაათრიესო!
 ყვრიმალს სცეს თვალებაკრულსა, ჰკითხეს: ვინ გცემა, თქვი ესო?
 ფრჩხილთა უყარეს ლერწამი, ნუნები აატკიესო,
 ავაზაკმედა გასცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო!
 რალი ვერ პოეს, დასაჯეს, პილატე მიუსიესო.
 ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო,
 შოლტით სცეს ხელ-დაბანილთა, მსხვერპლს სისხლი შეურიესო.
 დაადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიიწვიესო;
 შესამოსელი გახადეს, ქლამინდი მოახვიესო;
 ჯვარზედ განაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაუწიესო;
 წყალი ითხოა, მიართვეს, ძმარში Nნადველი რიესო.
 უგმირეს გვერდსა ლახვარი,-ვაიმე ვითა ვსთქვი ესო!
 მოკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;
 ოდეს იხილა მშობელმან ძე თვისი, ღვთისა ცხებულის,
 ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, გაკიცხებული,
 ჯვარზედა ხელ-ფეხ მიკრული, გვერდსა ლახვარიც ხებული,
 ათრთოლდა, ზარით დაეცა, გახდა ვით დამარცხებული.
 ვაიმე თვალითა Nნათელო, სხიო მის მზეთა მზისაო!
 სახით ვით ნორჩო, ნაყოფით ძირ-კეთილ, შრტოვ ვაზისაო,
 გამარკვეველო, გამწმენდო, მნათობო ბნელის გზისაო,
 შენ იყავ ჩემი გამღები სამოთხის კართ რაზისაო.
 რა ესმა დედის ტირილი ძეს მიკრულს ჯვარსა ზედაო,
 შეამუღაბნა მშობელი და მისკენ გადმოხედაო.
 გამოეძრახა, უბრძანა: ეჰა, ნუ მტირი დედაო!
 მე წავალ, შენ ჩემ სანაცლოდ იონე გყვანდეს ძედაო.
 ...ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
 ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
 დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
 მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
 თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო!
 ჯვართ გარდმოხსნეს, წაგრაგნეს, ტილოში წაახვიესო;
 დამარხეს, მკვდარსაც არ ენდვნენ, გარს მცველნი შემოხვიესო.
 მან უცნაურმან საცნობლად თავისა ჩენა ინება;
 ვით ვეშპის მუცლით იონას ხვდა მესამეს დღეს ლხინება,
 ეგრეთ იესოს ქრისტესა საფლავით წამოდგინება.
 მისგან ცხოვრების წყარომა ჩვენთვის დაიწყო დინება.
 მესამე დღეზე ეჩვენა კართა ხშულთ მცნობთ მსხდომარესა,
 გვერდ-ჭრილი, ხელ-ფეხ ნალურსმი იცნეს და განიხარესა.
 მიბერა სული, ახარა მან მათსა საყნოსარესა,
 კვლავ ქვეყნით ზეცად ამაღლდა, ჯდა მამის მარჯვნივ მხარესა.
 მამას და ძესა და სულსა სიტყვით აქვს განყოფილება,
 მაგრამ ერთ ღმერთად ითქმიან, ამას არ უნდა ცილება.
 მამა უვნებლად მალლა ჯდა, ქვე ძეს ხვდა მოცაკვდინება
 სულს რაღა მიეხებოდა, თვალთაგან არ იხილვება.
 ... ვიდგეთ, ვიჯდეთ, ანი ვინვეთ, ხანსა ციუდად არ დავზმოინდეთ,
 ვსტიროდეთ თუ ვიცინოდეთ, ვლექსობდეთ თუ ანუ ვმიდეთ,
 ღმერთს ვაქებდეთ, ღმერთს ვამკობდეთ, ღმერთს დიდებას შევასხმიდეთ,
 ღმერთს მივსცემდეთ მადლობასა, პურს ვჭამდეთ, თუ წყალსა ვსმიდეთ!!!

ქართული ეპოქის შემოქმედების საფეხურზე (248-780 წლებში) ქართულად ითარგმნა ქრისტიანული ლიტერატურა. მას დაემატა ორიგინალური ქართულიც და მიეცა გასაქანი უდიდეს აღმშენებლობით საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოები ირანი, ბიზანტია და არაბეთი ცდილობდნენ ჩვენს განადგურებას, მათ ეს ვერ მოახერხეს, რადგანაც იბერიული გონი აღმავლობის გზაზე იდგა და ყოვლისმძლეველ ქრისტიანულ რწმენას ქართული უკვდავების იდეაც დააკისრა. შეიქმნა ჰიმნი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვგებულობთ, რომ როგორც ქრისტემ დატოვა იმქვეყნად თავისი საყვარელი მოწაფე, მის მეორედ მოსვლამდე და იგი დედამისს შვილობილად ჩააბარა, ასევე იქნება ქართველი ერიც შემონახული მესის მეორედ მოსვლამდე. იგიც ხომ ღვთისმშობლის წილხვედრია, რათა ღმერთმან ამ ერის საშუალებით განიკითხოს ყოველი ერი დედამიწაზე. ე.ი. ქართველებმა ირწმუნეს თავიანთი განსაკუთრებულება.

ჩამოყალიბდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის შემდგომ დამოუკიდებელი გახდა და იკისრა ყოველთა იბერიელთა ერთიანობის აღდგენა. მაშასადამე, ქართული მართლმადიდებლობა შეიქნა მედროშე საერთო კავკასიური სახლისა, რომელიც უფრო მოგვიანებით ქართული ბედნიერების საფეხურზე (480-1312 წ.) იქნა განხორციელებული. იგი დაკავშირებულია ბაგრატიონების სახელთან. ამოტ კურაპალატოს ნაშიერმა დავით კურაპალატმა დაიწყო შეკონწინება დიდი იმპერიისა, რომელსაც სათავეში საკუთარი შვილობილი ბაგრატ III ბაგრატიონი ჩაუყენა. ეს წამოწყება განასრულა დავით აღმაშენებელმა, რომელმაც გააერთიანა თითქმის მთელი კავკასია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ე.ი. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. მთელი საუკუნე შემდგომ დიდებით მოსილი იფურჩქნებოდა საქართველო. ეს მართლაც ბედნიერების მოქცევა იყო იბერიული გონისათვის. ამ დროს შეიქმნა უდიდესი კულტურის ძეგლები და, რაც მთავარია, ამ დროს დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, ქართველთა მეორე ბიბლია... მოკლედ, ზეიმობდა ქართული გონი, თუმცა გაქრა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავდავიწყება და დაიწყო სიამაფე, რასაც მოჰყვა ამპარტავნება და გარეგანი საცდუნებელი. ასე გადავიდა იბერიული გონი გაუცხოების საფეხურზე (1312-1844). ამ მდგომარეობაში უკვე ძნელი შეიქმნა გამკლავება გარეგან მტრებთან და როდესაც 1453 წელს დაეცა კონსტანტინეპოლი, საქართველო დარჩა ალყაშემორტყმული, მას ნელ-

ნელა ჩამოცილდა ტერიტორიები, თავად რამდენიმე ნაწილად დაიშალა, შესუსტდა ქრისტიანული რწმენა და ბოლოს დაიკარგა სახელმწიფოებრიობაც. მართვის სადავები რისეთმა მიისაკუთრა. ქართველები იძულებული არიან გააცნობიერონ მომხდარი და იზრუნონ გადარჩენისათვის. ამგვარად, 1844 წ. დადგა გარდაცვალების საფეხური ქართული გონის განვითარებაში. იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მიზანი სწორედ ისაა, რომ ქართველებმა გააცნობიერონ საკუთარი მდგომარეობა და დასახონ გზები გადასარჩენად. ანუ, მოიპოვონ ძალები ხელახალი დაბადებისათვის. პარალელურად მუშაობს დამპყრობლის იდეოლოგია, რომლის მიზანია ჩვენი სიკვდილი, რათა არ მოხდეს არავითარი ხელახალი დაბადება. მიმდინარეობს ბრძოლა უშეღავათო. უკვე წარსულს ჩაბარდა ამ ბრძოლის პირველი ეტაპი. წმინდა ილია მართლის მეთაურობით ქართველი ხალხი გაერკვა შექმნილ სიტუაციაში და ჰქონდა კიდევ მცდელობა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა 1918-1921 წლებში. ამას მოჰყვა მრავალწლიანი ბნელეთი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როცა ციციანათელებივით აქა იქ თუ გამოკრთოდა ნანატრი სინათლე.

მეორე ეტაპი ამ ბრძოლისა მიმდინარეობს ახლა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. ქართველმა ერმა კვლავ სცადა სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1991 წ. 9 აპრილს. მართალია, კვლავ ბნელეთით იმუქრებიან, მაგრამ არ ცხრება იბერიული გონი და კვლავაც იბრძოლებს უსასრულოდ.

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ სქემა განვლილი გზისა, რომელშიაც ჩანს კიდევ ის კანონზომიერება, რომ თუ ჩვენ არ გადავუხვევთ ჭეშმარიტების გზას, გარანტირებული გვაქვს გამარჯვება ამ ბრძოლაში, მაშ, ნუ დავკარგავთ ჩვენი წინაპრების მიერ არჩეულ გზას!

თქვენ თვალნათლივ ხედავთ, რომ ხუთი მოქცევის შემდეგ მოხდა იბერიული შუმერის გარდაცვალება კოლხურად. აქ იბერიულმა გონმა გაიარა თითქოსდა იგივე ხუთი საფეხური და გარდაიცვალა ქართულად. ჩვენ საგანგებოდ გამოვყავით ანალოგიური საფეხურები და ანალოგიური მოვლენები სხვადასხვა ეპოქებში (ციკლებში), რათა ნათელი ყოფილიყო ის კანონზომიერება, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ნებისმიერი ოპონენტისათვის გვაქვს უფრო დანვრილებით მასალა და საკმაო არგუმენტაცია.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“. სწორედ ეს საუნჯეებია ბურჯები ეროვნებისა, სწორედ ამათბეა დამოკიდებული ჩვენი ქართველობა. ვიდრე არის მამული ჩვენი - საქართველო, დედა ენა ჩვენი - ქართული და რწმენა ჩვენი - მართლმადიდებლური. ჩვენც ვართ და ჩვენი წინაპრების სულების ნეტარებენ, ხოლო, როცა უჭირთ, ამით მათი სულებიც შფოთავენ.

მამული ჩვენი - საქართველო - წარმოგვიდგება შვიდ საოცრებად. აქედან მხოლოდ ერთი გვიბოძა ღმერთმა მზა ფორმით, დანარჩენები კი იბერიული გონის შემოქმედებაა.

პირველი საოცრება - საქართველოს ბუნება - გამორჩეულია თავისი მრავალფეროვნებით, მდიდარო წიაღისეულითა და წყლებით, განსაკუთრებული მცენარეული საფარით, სამკურნალო ადგილებით, თვალწარმტაცი სანახაობით, შავი ზღვითა და თეთრი კავკასიონით, სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობით...

მეორე საოცრება - ქართული სამზარეულო - მიღებულია პირველისაგან ქართველი კაცის გარჯით. მისი მრავალფეროვნება და მრავალგემოვნება მთელ დანარჩენ მსოფლიოს შემურდება, მხოლოდ უბოროტეს გენიას შეუძლია ქართველი კაცის დამშევა.

მესამე საოცრება - ქართული სუფრა - არა მარტო ზნეობრივი აღზრდისა და განათლების საუკეთესო სკოლაა, არამედ ესთეტიური ამაღლების საშუალებაც.

მეოთხე საოცრება - ქართული სიმღერა. ათასწლეულებიდან ისმის ჩვენი სულის ძახილი. რა ტკბილი და რა ფესვმაგარია იგი.

მეხუთე საოცრება - ქართული ცეკვა. მთელი ჩვენი ისტორიის მატრიანე.

მექვსე საოცრება - ასომთავრული. იდეალური ანბანი. მსოფლიოს პირველი ანბანი ყოველგვარი გაგებით.

მეშვიდე საოცრება - ქართული პოეზია, რუსთველი, ვაჟა, გალაქტიონი ...

დანარჩენ საოცრებათა ჩამოთვლა თქვენზე მომინდვია. ესეც საკმარისია. ესაა ჩემი მამული, რომელსაც მე, როგორც ქართველი კაცი, ვერ შეველევი, არადა, ჩვენმა მტრებმა იციან, რომ სანამ სამშობლო გაგვაჩნია, ვერ დაგვიმონებენ. ამიტომ ისინი ცდილობენ დაგვაკარგონ იგი. საქართველოს ბუნებასა და გეოგრაფიულ გარემოს ისინი განიხილავენ თავიანთი ინტერესების სფეროდ. ჩვენი სამზარეულოს ნაცვლად კი ბუტერბროდსა და ჰამბურგერს გვთავაზობენ. ეს უკეთესიაო და მიირთვით ჰუმანიტარულ დახმარებადო, თუ მათ ავყვებით, სრულიადაც არაა საჭირო სუფრა, ხოლო სიმღერისა და ცეკვის მაგივრობას სექსუალური ხვნეშა და როკვა გაგვინევს. დამწერლობად კი იმ ხალხის ნამოღვაწარს შემოგვთავაზებენ, დღესაც, რომ ვერ მოარგეს თავის ენას სხვისაგან გადმოღებული ანბანი. პოეზია კი მათთვის სავსებით ზედმეტია, ეს, ალბათ, ჩამორჩენილობის ნიშანია, როგორც სიყვარული, პატიოსნება და სხვა მრავალი ერთობ ადამიანური ღირსებანი.

დედა ენა ჩვენი - ქართული არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის დედა ენაა, იგია ის ძირითადი, მთავარი ენა, რომელსაც სხვადასხვა დროს ჩამოსცილდა იბერიული ენები. ხოლო უფრო მოგვიანებით კი, სხვა ქართველური ენები. ჩვენი აზრით, შუმერული ეპოქის ბოლოს მოხდა სვანური ენის გამოყოფა დედა ენისაგან, ხოლო კოლხური ეპოქის დასასრულს - კი ზანური ენისა. და რადგანაც მთილეთა ენა უფრო ნაკლებად განიცდის ცვალებადობას, სავარაუდოა, რომ შუმერული ეპოქის იბერიელთა დედა ენასთან უფრო ახლოსაა სვანური, ასევე კოლხური ეპოქის იბერიელთა დედა ენასთან ახლოს, იქნება ზანური. განსაკუთრებით მთიან სამეგრელოში - ლაკადაში და ქართული ეპოქის იბერიელთა დედა ენას თუ მოიკითხავენ ათასი წლის შემდგომ, იგი უფრო დაცული იქნება ფშავ-ხევსურეთში. ამ აზრისაა ვაჟა ფშაველაც, რომელსაც არგუმენტად მისი ენისა და „ვეფხისტყაოსანის“ ენის ერთობა მოაქვს.

ჩვენ მხოლოს იმის თქმა გვსურდა, რომ იბერიელთა დედა ენა განოცდის მარადიულ ცვალებადობას, მაგრამ არსებობს არდავინწყების საშუალებაც.

როგორც ჩვენს მამულს, ასევე ენასაც ემუქრება ჩვენი მტერი. რადგან კარგად იცის, რომ იგი ჩვენი სულის გამოხატვის მთავარი საშუალებაა და აცხადებს, რომ ენა თითქოსდა მხოლოს ურთიერთგაგებინების საშუალებაა და ამდენად ინგლისური და რისული ენა უფრო გამოგადგებათ, უფრო მეტ ადამიანთან შეძლებ კონტაქტის დამყარებასო... მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ენაა და არა მხოლოდ ენა.

ჩვენი ყველაზე მთავარი საუნჯე არის მართლმადიდებლობა. ამიტომაც იყო, საუკუნეთა მანძილზე მტერი სწორედ მას ებრძოდა თავგამოდებით ცეცხლითა და მახვილით. ამ ბრძოლას შეეწირა ასი ათასობით ადამიანი და მრავალი მათგანი წმინდანადაცაა შერაცხული. ამჟამად კი რა ხდება? მტერმა იდეოლოგიური დივერსია მოგვიწყო. შემოგვიგზავნა ათადი ჯურის სექტანტები, რომლებიც ადვილად უბნევენ გონებას ჩვენს ნაკლებად მორწმუნე თანამოქმედთა და შედრკა ქართული გინი განსაცდელის წინაშე. ვერ შეიცნო მტერი, არადა აქ სავსებით არაა რელიგიური დაპირსპირება. ჩვენ ხომ არაფერს ვამბობთ მუსულმანებსა და იუდეველებზე, რომელთაც თავიანთი რელიგია გააჩნიათ. ჩვენ შეშფოთებული ვართ რელიგიურ საფარქვეშ დამალულ პოლიტიკაზე. კარგად დავფიქრდეთ შეიძლება თუ არა გუშინდელი ყაჩაღების ნაშეიერებმა ქრისტიანობა გვიქაგადონ ორი ათასი წლის ქრისტიანული ისტორიის მქონე ხალხს? ეს მხოლოდ იმიტომაა გამოგონებული, რომ ვიღაცა, მოიხვეჭოს მსოფლიო ბატონობა, და ჩვენ მხოლოდ მოსამსახურე რობოტებად ვჭირდებით. ამიტომაც უპირისპირდება მათი, ვითომ რელიგიის მიხედვით, ღმერთი ხალხს. ისინი ხომ აცხადებენ, რომ უყვართ უშუალოდ მხოლოდ ღმერთი და არაა საჭირო სამშობლოს სიყვარული, არაა საჭირო შენი სამშობლოს ბედით დაინტერესებაო.

გზა ხსნისა

საგონებელში ჩავარდნილი ხალხი ყოველთვის ეძებს გამოსავალს, ჩვენი ოპოზენტები ისტორიიდან შეგვახსენებენ, რომ საქართველოს პოლიტიკოსები ყოველთვის აირჩევდნენ ხოლმე რომელიმე ძლიერ სახელმწიფოს საყრდენად და ამით უპირისპირდებოდნენ დანარჩენებს, ამიტომ ჩვენი გონი ხან სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო მიმართული, ხან დასავლეთით და ბოლოს, როგორც ვნახეთ, ჩრდილოეთიდანაც იხილეს „მზის ამოსვლა“. ამჟამად თითქოს უმჯობესი უნდა იყოს შორეული დასავლეთით ყურება. ამ პოლიტიკის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ჩვენი პრეზიდენტი „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“ და ამიტომაც ჩვენ დავმარცხდებით. ამათ მოვაგონებ, რომ ჩვენი სამშობლოს ბედი კარგად იყო მხოლოდ მაშინ, როცა კავკასიელები ანუ თარგამოსიანები ერთობლივად იბრძოდნენ ნებროთიანების წინააღმდეგ. დავითისა და თამარის „ოქროს ხანა“ იმით იყო კარგი, რომ კავკასია ერთიანი იყო და არავითარი გვერდზე გახედვა არ იყო საჭირო. არც ახლაა ეს საჭირო, ჩვენ ვხედავთ საერთო კავკასიურ სახლს, როგორც მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ძალას, რომელსაც არსაით სჭირდება მშველელი. სწორედ ამ იდეის წინააღმდეგნი არიან მსოფლიოს „დიდი პოლიტიკოსები“, რომელთაც არ მოსწონთ მათი დინების საწინააღმდეგოს კალმახივით ცურვა.

ჩვენ მხოლოდ ერთი მიმართულებით გვჭირდება მზერის მიპყრობა. ეს ის მიმართულებაა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა აირჩიეს. ეს უფლისაკენ მიმავალი გზაა, რომელიც ჩვენს გვერდით კი არაა, არამედ ჩვენს თავზეა, მაღკლა, ჩვენი გულების გავლით. ეს ის გზაა, რომელზეც ღვთის წყალობით ჯერჯერობით მივდივართ და მთავარია მხოლოდ მისი შენარჩუნება, როგორც დასაწყისში ვთქვით, ეს სიყვარული გზაა, ქრისტეს გზაა. ჩვენი აზრით, სიყვარული იწყება მოყვასის სიყვარულით და მხოლოდ შემდეგ შეძლებ მტრის შეყვარებას და არა პირიქით. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ სიყვარულით ღვთისაკენ ამბღლების საფეხურებში, არ შეიძლება გიყვარდეს მთელი ერი თუ არ გიყვარს შენი ოჯახი და არ შეიძლება გიყვარდეს კაცობრიობა თუ არ გიყვარს შენი ერი. და ა.შ... და ა.შ...

მაშასადამე, ჩვენი გზა ხსნისა არის ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა და ტყუილად ნუ ვეძებთ ახალ მიმართულებებს, მოვუაროთ ძველს.

ახლა მე მნდა შევაჯამო ჩემი ნათქვამი და შემდეგ მზად ვარ პასუხი გავცე თქვენს შეკითხვებს. ჩემი დღევანდელი ლექციის რეზიუმე კი ასეთია:

ძლევაი საკვირველი

ჩვენ წარღვნამდელი ფესვები მოგვდგამს,
ჩვენგან ისწავლეს ვაზიც, ბორბალიც.
ვძლიეთ ეპოქა შუმერთა, კოლხთა,
ვჭედეთ ფოლადი, ვლენეთ ხორბალი.
ანბანის სიბრძნე ვაუწყეთ ხალხთა,
„ვეფხისტყაოსნად“ დავინვით ტრფობით.
ჩვენ ავაშენეთ გელათი, ხანძთა,
ჩვენ აღვადგინეთ ნგრეულიც მტრობით!
დავითის სიბრძნე, ძლევა თამარის,
ჰქუხს კავკასიის სული ზვიადი!
და საკვირველი ყოვლისმძლევარი
კვლავაც იქნება ჟამი დიადი!
იმერ-ამიერ იყოს იბერი
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!
მრავალჟამიერ აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე!!!
ამინ!

კითხვა: თქვენ ბრძანეთ, რომ ქართული ენა კავკასიელთა დედაენააო. უფრო მორიდება ხომ არაა საჭირო?

პასუხი: მოსარიდებელი აქ არაფერია. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში მხოლოდ ქართული ენაა მნიგნობრული ენა. ამასთანავე, იბერიელები ოდითგანვე ამ ენაზე ამყარებდნენ ურთიერთობას ერთმანეთთან, თუ თქვენ იმას გულისხმობთ, რომ ყოველ ამ ხალხს გააჩნია თავისი მშობლიური ენა, კი ბატონო, გეთანხმებით, ოღონდ დედა ენა სრულებითაც არ ნიშნავს მშობლების ენას. სიტყვა დედა ქართულ ენაში იხნარება „მთავარის“, „ძირითადის“, „უმნიშვნელოვანესის“ მნიშვნელობით. მაგალითად, ჩვენი დედაქალაქი არის საქართველოს მთავარი ქალაქი და ჩემთვის იგი სრულიადაც არაა მშობლიური, ასევეა დედა ბოზი, დედა აზრი და ა.შ. ასე რომ, კავკასიელთათვის სრულიად მისაღები, იქნება მთავარ ენად ქართული. ეს კი არა ეგებ იმაზეც იფიქრონ, რომ დამწერლობისათვის იბერიელთა მიერ შექმნილი ასომთავრულიც გამოიყენონ. ეს ანბანი ხომ უფრო მიესადაგება იბერიულ-კავკასიურ ფონეტიკას.

კითხვა: განვითარების ეს ხუთი საფეხური თქვენი გამოგონებაა თუ ასეა მიღებული ფილოსოფიაში?

პასუხი. განვითარების თეორია კარგადაა დამუშავებული ფილოსოფიაში. მე მზა ფორმით მივიღე ბევრი რამ რაც შეეხება განვითარების საფეხურების სახელდებას: დაბადება, შემოქმედება, ბედნიერება, გაუცხოება და გარდაცვალება. ეს პირადად ჩემი

გაკეთებულია. ჩემი აღმოჩენა ისაა რომ თითოეული საფეხური ზუსტად ერთ ასტრონომიულ მოქცევას, 532 წლიან მონაკვეთს მოიცავს და ყოველი ხუთი მოქცევის შემდეგ რაღაცნაირად მეორდება იგივე ხუთეული უფრო მაღალი დონით.

კითხვა: რამდენად სწორია განმეორებადობა ისტორიაში, თანაც კოლხი მედეას შედარება თამარ მეფესთან მკრეხელობად ხომ არ ჩაგვეთვლება?

პასუხი: სწორედ ეს კანონზომიერება მიმაჩნია მე ჩემს აღმოჩენად. მოცემული სქემიდან ნათლად ჩანს ეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1504 წელს ანუ კოლხური ეპოქის ბედნიერების საფეხურის 376 წელს დაიწყო ტრაგედია იბერიული გონისა, რაც ლეგენდაში მოცემულია ოქროს საწმისის გატაცებით და მედეას მიერ ძმის გაწირვით. ამ ტრაგედიამ დასასრული ჰპოვა იბერიული ტროას დაცემაში, რომლის შემდგომ ბერძნები ეუფლებიან ცივილიზაციის სადავებს, პრეტენზიას აცხადებენ მსოფლიოში პირველობაზე. ამაზე დაყრდნობით ვნახოთ, რა მოხდა ზუსტად ხუთი მოქცევის შემდეგ, ე.ი. 2660 წლის შემდეგ, ანუ ქართული ეპოქის ბედნიერების საფეხურის 376 წელს. ეს ჩვენი წელთაღრიცხვით უდრის 1156 წელს. სწორედ ამ წელს გასწირა თამარის მამამ გიორგი მესამემ თავისი ძმა დავით მეხუთე. ეს იყო უდიდესი ცოდვა და დაიწყო ტრაგედია იბერიული გონისა, რომელმაც დასასრული ჰპოვა 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემაში, რომლის შემდგომ რისები აცხადებენ პრეტენზიას მსოფლიოში პირველობაზე. მოსკოვი ცხადდება მესამე და მარადიულ რომად. 1453 წელი არის ქართული ეპოქის გაუცხოების საფეხურის 141-ე წელი. ამაზე დაყრდნობით უნდა დავადგინოთ, როდის მოხდა ტროას დაცემა. ამისათვის საჭიროა ამჟერად უკან, გადავთვალოთ 2660 წელი. ეს თარიღ იქნება კოლხური ეპოქის გაუცხოების საფეხურის 141-ე წელი, ანუ 1207 წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე. მე მგონი ეჭვიც არ უნდა შეგეპართ ამ თარიღის სინამდვილესთან ახლოს დგომაში.

რაც შეეხება კოლხური ეპოქის უპირველესი ასულის შედარებას ქართული ეპოქის უპირველეს დედასთან, ერთიყა და მეორეც დაქორწინდა თავისი ქვეყნიდან ბიძამისის მიერ გამოძევებულ უფლისწულზე, ქორწინება უიღბლო გამოდგა. ერთიც და მეორეც, ასე ვთქვათ, იმ ხალხის რძალი იყო, დროებით მაინც, რომელმაც მომავალში იბერიელებს გამოგლიჯა ცივილიზაციისა თუ მართვის სადავები. ერთიც და მეორეც თავიანთი ეპოქების უპირველესი სიმბოლოებია ჩვენთვის, ისიც ცოტას ხომ არ ნიშნავს რომ მათ შორის დროის შუალედი სწორედ ხუთი მოქცევაა, ჩვენს ცნობიერებას, ალბათ, მისდევს გარკვეული სტერეოტიპი მედეას მიმართ, რომელიც მას განაწყენებულმა ბერძნებმა შეუქმნეს. ნუ დაგვიწყდებათ, რომ არ განაწყენებული რუსები უყურებენ თამარს ისე წმინდად, ჩვენ რომ გვგონია. აქ მხოლოდ ლერმონტოვის ერთი ლექსი იკმარებდა, ასე რომ, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ამ შედარების საფუძვლიანობაში.

კითხვა: რა ქრონოლოგიით სარგებლობდით წარღვნის დათარიღებისათვის.

პასუხი: წარღვნის ფაქტი ჩვენ მივიჩნიეთ იგივედ, რაც პლატონმა მოუთხრო კაცობრიობას ატლანტისის დაღუპვის შესახებ. იგივეზე უნდა იყოს ლაპარაკი იბერიული ფირფიტის წარწერაში, რომელიც ქართველმა ინჟინერმა ხვედელიძემ ამოიკითხა ასომთავრულის მეშვეობით. ჰპოვა ამაზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ წარღვნა დაიწყო ქრისტეს ხორციელად მოსვლამდე ცხრაათასხუთასი წლის წინათ. პლატონი ასახელებს თარიღს სოლომონამდე ცხრაათასი წლით ადრე. ხოლო იბერიულ ფირფიტაში მითითებულია რვა ათასი წელი, მაგრამ იგი შედგენილია ათასი წლით ადრე სოლომონთან შედარებით. ასე რომ, თარიღები ერთმანეთს ემთხვევა. ამას ემატება ქრისტიანული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ქრისტეს მოსვლის დროს დასაბამითგან იყო 5604 წელი თუ ამას დავუმატებთ იმ ოთხი ათას წელს, რომელიც საჭირო იყო წარღვნაგადატანილი ხალხის მოგონიერებისათვის, მივიღებთ იგივე დროს.

კითხვა: თქვენ ციდ კონტექსტში მოიხსენიეთ „დიდი პოლიტიკოსები“, ხომ არ ეთანხმებით გამოთქმას: „პოლიტიკა ბინძური საქმეაო“?

პასუხი: პოლიტიკა, ჩემი აზრით, არის მიზნის მიღწევის საშუალება მიზანს შეიძლება მიაღწიო იმ გზითაც, რომ თავად ჯვარს ეცვა ქრისტესავით და ამ გზითაც, რომ მთელი რუსეთის იმპერია გააგრა ჯვარზე, როგორც ეს კომუნისტებმა გააკეთეს, როგორ შეიძლება ორივე გზა ერთნაირად შეფასდეს? ჩვენ დღესაც დავაკვირდეთ პოლიტიკას საქართველოში. ჩვენი პრეზიდენტი და მისი ჯეშმარიტი მიმდევრები დღესაც ჯვარზე არიან გაკრულნი, წმინდა ილია მართალივით, რათა საწაღელს მიაღწიონ. მაგრამ არის დიდი ძალის მქონე ხალხიც, რომელთაც მთელი საქართველო ჯვარზე ჰყავთ გაკრული საკუთარი სკამების შენარჩუნების მიზნით და თავს იმით იმართლებენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო, არა, ბატონებო, მხოლოდ ბინძური ადამიანები ეწვევიან ბინძურ პოლიტიკას.

კითხვა: საქართველოში ამჟამად უამრავი პარტიაა და ვერ გამოინახა საერთო ემა მათში, რაშია საქმე და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ გავერთიანდეთ?

პასუხი: ამჟამად საქართველოში მხოლოდ ორი თუ სამი პარტია შეიძლება იყოს, თუ გავითვალისწინებთ მათ მიზნებს. ეს მოჩვენებითი სიმრავლე არაფერს ნიშნავს თუ ჩვენ გაერთიანება გვინდა, ჯერ უნდა გავერთიანდეთ რელიგიურად. დავუბრუნდეთ ფესვებს, მივაშუროთ ეკლესიას და როგორც თავის დროზე სწორედ მართლმადიდებლობამ შეკრა საქართველო ერთ ძლიერ ერთეულად, ისე მოხდება ახლაც.

კითხვა: მართლმადიდებლობასთან თქვენი პოზიციის გამო, ბუნებრივია იბადება კითხვა. რა აზრისა ხართ საქართველოს პატრიარქ ილია მეორეზე?

პასუხი: მე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, ვერ ვიქნები პატრიარქის მსაჯული, მისი მსაჯული ზეცაშია.

კითხვა: თქვენს მიერ განხილული პრობლემების გადაწყვეტაში რა როლი აკისრია და როგორ ართმევს მას თავს საქართველოს ტელევიზია?

პასუხი: ტელევიზიას, რასაკვირველია, გადამწყვეტი როლი ენიჭება ჩვენი პრობლემების გადაწყვეტაში. სამწუხაროდ, იგი უფრო სცოდავს ვიდრე აკეთებს სიკეთეს. ჯერ ერთი ტელევიზიით ვერ ლაპარაკობენ ქართულად. ყველა ერთმანეთს ეჯიბრება ინგლისურად ლაპარაკში, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ქართული სიტყვებითაც კი ინგლისურ ინტონაციას ბაძავენ. მიმდინარეობს განუწყვეტელი ქადაგება ამერიკული ცხოვრების წესისა და ლამის სირცხვილით დაგეწვან, ქართველები რომ ვართ ფილმი, მუსიკა, ცეკვა და ა.შ. ყველაფერი ამერიკული და რაა ამათში მთავარი? - ისეთი საზოგადოება, სადაც არ არის ოჯახი, სიყვარული, ტრადიცია და სადაც არის სექსი, ძალადობა და მომხვეჭელობა. მოკლედ, ასე მეჩვენება, ჩვენი დაყვანა უნდათ იმ დონეზე, რომ სამი მთავარი ინსტიქტი, რომელიც ადამიანს გააჩნია (თვითშენახვის, გამრავლების, თავდაცვის) ლამის უმაღლეს კულტურულ ღირებულებებად გვიქცეონ, თან მთავარი ისაა, რომ თუ ხმა ამოიღეთ, გაუნათლებელი, ხეპრე და არადემოკრატი ხარ, არადა თავად არიან პროვინციელები. თბილისი ამერიკის პროვინცია მგნია ამათი შემხედვარე.

კითხვა: როგორაა შესაძლებელი საერთო კავკასიური სახლი, როცა უმეტესობა აქ მუსულმანებია?

პასუხი: არათუ კავკასიაში, საკუთრივ საქართველოშიც გვხვდებიან მუსულმანები და ამათ გვერდით ძალიან დიდი არმია ათეისტებისა, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხაზს ვუსვამთ ჩვენს ეთნიკურ ნათესაობას, რაც საერთოა ჩვენში და პატივისცემით სხვის რწმენას, აქ, რა თქმა უნდა, ვერ ვიგულისხმებთ დასავლეთიდან შემოგზავნილ სექტანტებს. თუ მაგ პრინციპით მივუდგებით, მაშინ ქართველებიც ვერ გავერთიანდებით.

კითხვა: ანბანის შესახებ თქვენი მოსაზრება ერთობ ხმამაღლაა ნათქვამი. ითვალისწინებთ თუ არა აკადემიურ მეცნიერთა აზრს, თუ მხოლოდ არაოფიციალური კულტურის წარმომადგენელთა ნააზრევს ეყრდნობა?

პასუხი: რასაკვირველია, მე ვიცნობ აკადემიურ მეცნიერთა აზრს ანბანთან დაკავშირებით. უდიდესი თაყვანისმცემელი ვარ მათი უმეტესობისა ივანე ჯავახიშვილით დაწყებული რამაზ პატარიძით დამთავრებული. ვიცნობ იმათ ნააზრევსაც, პოლიტიკური დაკვეთების გამო ლამის თამარის ეპოქაში რომ გამოიტანონ ანბანის შექმნის ისტორია, მაგრამ ვიცნობ ძველი ხალხების შუმერების, ბერძნების და სხვათა გადმოცემებს და, რაც მთავარია, ვიცნობ ჩემნაირი ენთუზიასტების შემთხვევით აღმოჩენებს, რომელთაც უფრო დიდი წვლილი მიუძღვით ჭეშმარიტების დადგენაში, ამასთანავე მე ვიცნობ აკადემიურ მეცნიერთა ვითომ არგუმენტებს რეალური ფაქტების უარსაყოფად.

კითხვა:რა მიმართებაშია თქვენი ნააზრევი საქართველოს სულიერ მისიასთან, რომელიც ზვიად გამსახურდიამ წარმოგვიდგინა?

პასუხი: რასაკვირველია, მე განსაკუთრებით კარგად ვიცნობ ჩვენი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თეორიულ შემოქმედებას და ყველგან ვითვალისწინებ მას. თქვენ შენიშნავდით, რომ თუ მე ისეთ პრობლემას შევცხე, რომელიც გვხვდება ბატონ ზვიადთან გადაჭრილიც მისებურადაა ხოლო ის საკითხები, რომელიც მხოლოდ ჩემგან მოისმინეთ, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის მიერაც ასევე იქნება გაშუქებული.

კითხვა: თქვენს მიერ მოწოდებული კანონზომიერების მიხედვით, ჩვენ ახლა ვიმყოფებით გარდაცვალების საფეხურზე, ხომ არ მიგაჩნიათ ეს პესიმიზმის წყაროდ?

პასუხი: პირიქით! გარდაცვალება ნიშნავს გარდასახვას, ფერისცვალებას, უკვდავების პირობას. სწორედ ამით განსხვავდება იგი სიკვდილისაგან, რომელიც დასასრულის აღმნიშვნელია და რომლითაც მთავრდება ბოროტების გზა. რაც შეეხება სიყვარულის ანუ ჭეშმარიტი განვითარების გზას, იგი, როგორც ლექციის დასაწყისში მოგახსენეთ, უსასრულოდ ციკლობრივი პროცესია. ამ გზაზე გარდაცვალება აღნიშნავს ერთი ციკლის დამთავრებას და მეორეს აღმოცენებას. იბერიული გონის პრობლემა სწორედ ისაა რომ მოახერხოს, გარდაცვალება, მისი დაპირისპირებული ძალა კი ცდილობს გარდაცვალება შეიცვალოს სიკვდილით.

გველი იცვლის პერანგს, არსი კი იგივე რჩება, ოღონდ უფრო სიცოცხლისუნარიანი, მაგრამ თუ ვინმე მას თავს გაუჭეჭყავს, მაშინ იგი ვერ მოახერხებს ამას და კვდება.

მოგახსენებთ უფრო თვალსაჩინო მაგალითს, მცენარეული სამყაროდან თესლი აღმოცენდება, გაიზრდება, გამოიღებს ნაყოფს, დამწიფდება და კვლავ თესლად იქცევა ან გარდაიცვლება, რათა დასაბამი მისცეს ახალ იმგვარსავე ციკლს, მაგრამ თუ იგი ჩვენ საკვებად გამოვიყენეთ, მაშინ მისი არსებობა სრულდება ე.ი. იგი კვდება.

მე მგონი, ყველაფერი ნათელია, ამრიგად, ჩვენი განწყობაც ოპტიმისტური უნდა იყოს, თუმცა ამისათვის საჭიროა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დავითის სიბრძნე ვიხმართ და აუცილებლად იქნება ძლევაც თამარისებური. მით უმეტეს, რომ მთელ მსოფლიოს ესმის, როგორ ჰქუხს კავკასიის სული ზვიადი. (Гремит Грозный Дух Кавказа).

მაშ, დავემშვიდობოთ ერთმანეთს იმ რწმენით, რომ საკვირველი ყოვლის მძლევარი კვლავაც იქნება ჟამი დიადი!



თამაზ ხუცბიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცეპრემიერი სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხებში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძალოვან სტრუქტურათა ბლოკის თავმჯდომარე, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის დეპარტამენტის სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი



თარიელ ყირიმლიშვილი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრი სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხებში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძალოვან სტრუქტურათა ბლოკის თავმჯდომარის მოადგილე, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის დეპარტამენტის სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭო

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭო აერთიანებს ყველა ინსტიტუტს, რომელიც მონაწილეობს უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში და დანერგვაში. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს ვალდებულებაა აქვს, უზრუნველყოს უსაფრთხოების სექტორის მართვა შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე.

ორგანული კანონი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს შესახებ

მუხლი1.

1. საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭო არის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის (მთავრობის მეთაურის) სათაბირო ორგანო.
2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობა წესი განისაზღვრება ამ კანონით.

მუხლი2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს უფლებამოსილება.

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის (მთავრობის მეთაურის) კონსტიტუირი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს:

- ა) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სტრატეგიას;
- ბ) საკითხები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სამხედრო აღმშენებლობასა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას;
- გ) საქართველოს რესპუბლიკაზე თავდასხმის შემთხვევაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების და სათანადო პირობების არსებობისას ზავის დადების საკითხს;
- დ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფის და ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხს;
- ე) საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს კანონის ძლის მქონე დეკრეტების გამოცემის საკითხს;
- ვ) სამხედრო ძლების სტრუქტურას და სამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს;
- ზ) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსისა და სხვა მხედართმთავრების თანამდებობაზე დანიშვნისა გადაყენების საკითხებს;
- თ) საერთაშორისო კონფლიქტების ზონებში არსებულ მდგომარეობისა და კოლექტიური თავდაცვის სისტემებთან საქართველოს რესპუბლიკის თანამშრომლობის საკითხებს;
- ი) საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებული ან აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესაბამისად ქვეყნის საზღვრების გარეთ უსაფრთხოების ღონისძიებებში საქართველოს რესპუბლიკის მონაწილეობის საკითხებს;
- კ) სამხედრო ძალების საბრძოლო მზადების საკითხს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის სამედროთა რაოდენობის შესახებ გადანყვეტილებას იღებს წევრთა 2/3-ის უმრავლესობით და მას დასამტკიცებლათ წარუდგჳენს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს ბიუჯეტთან ერთად.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს შმადგენლობა და სხდომა.

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას თავჯდომარეობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (მთავრობის მეთაური);

2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავდაცვისა უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშმწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი;

3. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადანყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაასასწრებად შეიძლება მონვეულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები;

4. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაასასწრებად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრი (გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა), საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისადმი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი დაქვემდებარებული უწყების ხელმძღვანელი მოიწვევა საქართველოს პრეზიდენტის გადანყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრთან შეთანხმებით. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე (ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეებისა) - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადანყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარესთან შეთანხმებით.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი უფლებამოსილება.

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი;

2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე;

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების მდივანი:

ა) როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი, მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და საქართველოს რესპუბლიკის საფრთხეების დოკუმენტის შემუშვებაში;

ბ).ორგანიზებას უწევს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას;

გ). ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს აპარატს;

დ) ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სახელით დებს ხელშეკრულებებს საექსპერტო-ანალიტიკური სამუშაოთა შესრულების შესახებ;

ვ) შეტყვისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;

ზ) დადგენილი წესით ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს საკითხის განხილვის წესი.

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას იწვევს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (მთავრობის მეთაური);

2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, როგორც წესი დახურულია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადანაცვებით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა შეიძლება ღიად გამოცხადდეს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭო განსახილველ საკითხებზე შეიმუშავებს წინადადებას და მას წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს;

4. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცემს შესაბამის აქტს;

5. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი კონსტრასტიგაციას არ საჭიროებს.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სამხედრო სტრატეგია.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (მთავრობის მეთაური).

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი.

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო ინფორმაციაზე მომუშავე, განსაკუთრებული მნიშვნელობის რეჟიმის დანერგულებას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ უზრუნველყოფას;

2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულებასა და სამტატო ნუსხას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (მთავრობის მეთაური).



მკმ „საქართველოს
 ჰელსინკის კავშირი -
 ეროვნული ადორძინების“
 თავმჯდომარის მოვალეობის
 შემსრულებელი 2024 წლიდან

**ზვიად გამსახურდია და მისი (საქართველოს
 რესპუბლიკის) პოლიტიკური სამართალმემკვიდრეობა**

**საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და
 აღმასრულებელი ხელისუფლება და პოლიტიკური
 პასუხისმგებლობის საკითხი.**

მცირე ჩანახატი საქართველოს უახლოესი წარსულის გააზრების
 მცდელობისა და ამჟამად შექმნილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კრიზისი.

ამჟამად ვეცდები მხოლოდ მოკლე თეზების სახით გადმოვცე სათქმელი.

თემა მასშტაბურია, მისი განხილვა კი ამჟამად შექმნილი პოლიტიკურ-
 საზოგადოებრივი კრიზისის ფონზე, ვფიქრობ დროული, აქტუალური და აუცილებელიც კი.

გასული წლიდან მოყოლებული, აგერ უკვე მერამდენედ, თვალს ვადევნებთ ქვეყანაში
 შექმნილ მორიგ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ კრიზისს და დაპირისპირებას. პროცესში
 მონაწილე მხარეები იშვიათად თუ ახერხებენ კონსტრუქციულ დიალოგს ერთმანეთთან.
 ყველას თავის „სიმართლე“ აქვს და ყველა „საზოგადოების საყოველთაო“ მხარდაჭერით
 აპელირებს. ხშირად ამ პროცესში მონაწილე მხარეებს

გავლენიანი გულშემატკივარი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გამოუჩნდებათ და როგორც წესი თანხმობის მიღწევის ნაცვლად, დაპირისპირება უფრო მეტად მწვავედება ხოლმე. საქართველოში უკანონო რეჟიმის მიერ ჩატარებული ე. წ. ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი პოლიტიკურად დაპირისპირებულ ძალთა შორის ახალი სიტყვათა მარაგი გაჩნდა, ერთმანეთის მნიშვნელობის დასაკნინებლად.... „ფაქტობრივი“; „ეგრეთ წოდებული“; „მონები“ და განსაკუთრებით ხაზგამსით ხდება სიტყვა „არალეგიტიმურის“ გამოყენება.

მართალია კარგად ვერ ხსნიან თუ ხელისუფლების რომელი შტო და ნაწილია ლეგიტიმური და რომელი არალეგიტიმური, მაგრამ ვგონებ ამ სიტყვას მეტადრე ქოთანზე მისამაგრებელი სახელურივით უფრო იყენებენ ვიდრე პირდაპირი დანიშნულებით. რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოში ხელისუფლებაში მოკალათებულ უზურპატორთა გუნდს და მათ მიერ საფუძველჩაყრილ პოლიტიკურ სისტემას, რაც ნამდვილად აკლდა ეს გახლდათ: ლეგიტიმაცია, კანონიერება და პოლიტიკური სამართალმემკვიდრეობა.

მოყოლებული 1992 წლიდან, ეს „ჭირი“ სისტემატიური პერიოდულობით წამოყოფს ხოლმე თავს და ისედაც მცირერიცხოვან ქართულ საზოგადოებას დაერევა ხოლმე. ამ დროს როგორც წესი ასპარეზზე გამოდიან ათასი ჯურისა და მასტის პოლიტიკოსები და შექმნილ ვითარებაში საკუთარ შესაძლებლობებს ხედავენ. ეგება და ბედმა გაუღიმოს და სანუკვარი ადგილი დაიკავოს საქართველოს პოლიტიკურ რუქაზე (ანუ ხელისუფლებაში).

ე. წ. ახალ სახეებთან ერთად, სცენაზე კვლავ და კვლავ ვხედავთ ძველ ნაცნობებსაც. ერთი სიტყვით პოლიტიკური პალიტრა ფრიად მრავალფეროვანია. თუმცა ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მათ უმეტესობას აქამდე დიდი ვერაფერი ღირებული ვერ შეუქმნია და შეუმატებია სამშობლოსთვის. მიუხედავად ამისა ბეჯითად და შეუპოვრად იბრძვიან „ლეგიტიმური ხელისუფლების“ სტატუსისთვის. არადა, თითოეულ მათგანს კარგად მოეხსენება სინამდვილეში, თუ რას ნიშნავს ქართველთა ცნობიერებაში „ლეგიტიმური ხელისუფლება“.

მაშ მოდით ერთად ვნახოთ თუ რა/ვინ არის და სად არის დღეს „ლეგიტიმური ხელისუფლება“.

შეხსენებისთვის: ჯერ კიდევ სანამ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავად გახდებოდა ქვეყნის ხელისუფალი, მანამდე მან მიზანიმართულად იბრუნა მომავალი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს სამართლებრივი და ლეგიტიმური სტატუსზე.

ყველა მისი პოლიტიკური ნაბიჯი კანონიერ და სამართლებრივ ნორმებში იჯდა და მან ვირტუოზულად შეძლო მცირე რესურსით დასახული პოლიტიკური ამოცანების გადაჭრა. 1990 წლის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგად კი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ფაქტობრივად, კონსტიტუციური სტატუსის მატარებელი სახელმწიფო ინსტიტუციის ფუნქცია განუსაზღვრა. რაც თანამედროვე მსოფლიოში უპრეცედენტო მოვლენა გახლავთ.

ისეთი მძლავრი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პლატფორმის შექმნით, როგორიც იყო „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, ზვიად გამსახურდიამ თავიდანვე იბრუნა ისეთი მტკიცე სამოქალაქო პოლიტიკური ინსტიტუციების ჩამოყალიბებაზე, სადაც ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტი - იქნებოდა ეს პარტია, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია - ანგარიშვალდებული იყო საკუთარი მხარდამჭერისა და ამომრჩევლის წინაშე. ხოლო მისი წევრები კი საკუთარი ორგანიზაციების წესდების ერთგულნი უნდა ყოფილიყვნენ.

კატეგორიულად დაუშვებელი გახლდათ შიდა პარტიულ მოღვაწეობაში პოლიტიკურ სუბიექტთა მხრიდან ფრაქციულობა.

თუ რა „სამსახური გასწია“ ფრაქციულობამ საქართველოში პოლიტიკური კრიზისების დროს, ამის საკმაო მაგალითები გვაქვს სამწუხაროდ. ფრაქციულობა ერთგვარ „პოლიტიკურ ინდულგენციადაც“ კი იქცა ზოგიერთი დეპუტატის ხელში. ასევე, პარტიული და პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი-ინსტიტუციონალური) სუბორდინაციის და დისციპლინის უგულველყოფა, (ამ უმნიშვნელოვანესი ასპექტისა), ერთგვარი

პოლიტიკური „თავნებობა“ - ხშირად პოლიტიკური სუბიექტის „აქილევსის ქუსლად“ მოგვევლინებოდა ხოლმე - თავისი გამომდინარე შედეგებით.

გამომდინარე აქედან როგორც ზემოთ ავლნიშნე, ნებისმიერი პირი, რომელიც გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო, თუ აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი კონსტიტუციური სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების, ასევე ხელისუფლების მმართველი პოლიტიკური პარტიისა, თუ ორგანიზაციის წევრი, კანონის (და წესდების) მიხედვით პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ვალდებულების მატარებელი არიან. ამ ვალდებულებისგან ისინი მხოლოდ კანონის (ანდა წესდების) სრული წესის დაცვით თუ იქნებიან გათავისუფლებულნი დაკავებული თანამდებობებიდან.

ზემოთ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ვახსენე“ და მიმაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატებს, რომელთაც ხვდათ წილად უდიდესი ბედნიერება, ხელი მოეწერათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე - გარდა პოლიტიკურისა ასევე გააჩნიათ მორალურ-ზნეობრივი ვალდებულება საკუთარი სამშობლოსა და მისი ერის წინაშე და ეს ვალდებულება, ამ შემთხვევაში მხოლოდ მათი არჩევითობის პერიოდით არ განისაზღვრება, არამედ სიცოცხლის ბოლომდე.

ცნობილია, რომ უკვე დევნილობაში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ აღადგინა და განაახლა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და მის წესდებაში ცვლილებებიც შეიტანა. გაუქმდა ინდივიდუალური წევრის სტატუსი. რაც გამოწვეული იყო, როგორც ზემოთ ავლნიშნე ზოგიერთი პიროვნების ე. წ. „პოლიტიკური თავნებობითა და კეკლუცობით“, რაც საბოლოოდ ქვეყანაში კანონიერების და სამართლიანობის აღდგენას ხელს უშლიდა.

აუცილებელია მოხდეს სამართლებრივი თვალსაზრისით მკაფიო განსაზღვრა ყველა იმ ადამიანის პოლიტიკური სტატუსისა, რომელიც საკუთარ თავს დღემდე მიაკუთნებს „ეროვნულ ხელისუფლებას“.

იმისთვის, რომ „ეროვნულ ძალებს“, „ეროვნულ ხელისუფლებას“ მიეცეს საშუალება მაქსიმალურად აქტიურად იყოს ჩართულნი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში, აუცილებელია დაუყოვნებლივ მოხდეს მათი სამმართველბრივი და პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა. „დეპუტატთა კორპუსის“, ასევე ხელისუფლებისა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციებისა, შეიარაღებული ძალების წევრების ჩათვლით.

ისევ „(არა)ლეგიტიმურობის“ შესახებ

დღევანდელ დღეს შექმნილ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კრიზის ფონზე, როდესაც საუბარია ახალი არჩევნების დანიშვნის აუცილებლობაზე, ხელისუფლების ინსტიტუციების არალეგიტიმურობაზე და ა. შ., ჩნდება კითხვა, თუ ვინ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები? ვის შეუძლია უზრუნველყოს ახალი ხელისუფლებისთვის ლეგიტიმურობის და პოლიტიკური სამართალმემკვიდრეობის სტატუსის უზრუნველყოფა კანონიერად?

ამის პასუხად უფრო ხშირად გაისმის, რომ ეს უნდა ითავოს დღეს კანონიერად მოქმედმა ეროვნულმა, ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი არჩევნები ჩაითვლება არაკანონიერად ხოლო ხელისუფლება კი შესაბამისად უკანონოდ და არალეგიტიმურად. ესეთი ხელისუფლება კი ცხადია არანაირ ვალდებულებას ე. წ. საკუთარი ამომრჩევლის მიმართ არ გრძნობს და შესაბამისად არც მის კეთილდღეობაზე რეალურად არ იზრუნებს. განვლილი პერიოდი ამის ნათელი მაგალითია.

იმისთვის, რომ კარგად გავიაზროთ თუ რანაერად არის შესაძლებელი საქართველოსთვის ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევის უზრუნველყოფა, ამისთვის საკმარისია დავბრუნდეთ 1990 წელს და გავიხსენოთ, თუ როგორ კომპრომისს მიაღწია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ზვიად გამსახურდიას თაოსნობით - მაშინდელი საქართველოს სსრ ხელმძღვანელობასთან ერთად მომავალი მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

1990 წელს საქართველოს სსრ უმარტესმა საბჭომ, საქართველოს სსრ-ს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო ორი უმნიშვნელოვანესი დადგენილება. მან აღიარა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისის დადებული სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების უხეში დარღვევა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და მისი ფაქტობრივი ანექსია. გამომდინარე აქედან, საბჭოთა ხელისუფლებამ სცნო რა თავი, საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკურ სამართალმემკვიდრედ, საქართველოში არსებული 70 წლიანი კომუნისტური რეჟიმი აღიარა და გამოაცხადა როგორც უკანონო. გამომდინარე ზემოთქმულიდან იქნა მიღწეული შეთანხმება ახალი არჩევნების დანიშვნასთან და ჩატარებასთან დაკავშირებით.

მიმაჩნია, რომ ყოველივე ამას წინ უნდა უძღოდეს ლუსტრაციის პროცესი, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საყოველთაო დიდი ეროვნული თანხმობა-შერიგებით უნდა დასრულდეს. რათა მოხდეს ერის არათუ მხოლოდ კონსოლიდაცია და გაერთიანება მის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, არამედ მისი აღორძინება. ყოველივე ეს კი საყოველთაო გულწრფელი სინანულისა და მიტევების გარეშე, სადაც პოლიტიკური სუბიექტი მზად იქნება ბოლომდე იტვირთოს საკუთარი წილი პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს მოსახლეობის წინაშე.

ამის გარეშე კი ფუჭი და მოჩვენებითი იქნება ყოველგვარი თანხმობა. ლუსტრაციის საკითხიც აუცილებელი პირობა უნდა იყოს, ვინაიდან ქვეყანამ და ახლად არჩეულმა ხელისუფლებამ, ისევე როგორც საზოგადოებამ - წყნარად და მშვიდად განაგრძონ თანაარსებობა და მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

და ბოლოს - ზვიად გამსახურდიამ თავის დაღუპვის მერე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუტოვა მძლავრი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუციები. ვფიქრობ, რომ ზემოთ თქმული პრინციპების გათვალისწინების გარეშე, ვერ მოხერხდება ამ ყოველივეს განხორციელება დროის მოკლე მონაკვეთში და ქვეყანა არ აღმოჩნდება მზად იმ სავარაუდო მასშტაბური ცვლილებებისთვის, რომელიც ჩვენც აუცილებლად შეგვეხება. ამ საყოველთაო რთულ პერიოდში ჩვენ შესაძლებლობები უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორია თავის მკაცრ პასუხს გაგვცემს.

ასევე, ხაზგასასმელია, რომ „ჩვენ აუცილებლად ვიპოვით გზას აფხაზთა გულებისაკენ“ კიდეც ერთხელ გაუღერდება აფხაზეთის და აფხაზების დაბრუნების მოწოდება, თუმცა სიტყვებს უნდა მოჰყვეს საქმე, საჭირო და აუცილებელი სამართლებრივი ქმედითი ნაბიჯები. არადა ეს აუცილებლად გასაკეთებელია და ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება, როგორც ეს დაფიქსირდა კანონიერი ხელისუფლების მიერ გაკეთებულ შეფასებაში. ნუ დაგვაგინწყდება, რომ 1991 წლის 31 მარტის სრულიად სახალხო რეფერენდუმზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას აფხაზთა დიდმა ნაწილმაც მხარი დაუჭირა. ზემოთ სოხუმის დაცემის დღე ვახსენე და მსურს შეგახსენოთ, რომ 27 სექტემბერს საქართველოში გლოვის დღეა - ხოლო აფხაზები კი თავიანთ „გამარჯვებას და გათავისუფლებას“ ზეიმობენ. ამ ვითარებაში კი მერწმუნეთ, ძნელია წარმოიდგინო ერთმანეთის გვერდიგვერდ მჯდომი აფხაზი და ქართველი. 1993 წლის 27 სექტემბერი აფხაზეთის დაკარგვის მიზეზი კი არა, არამედ შედეგია, შედეგია იმ ავბედითი 1992 წლის 14 აგვისტოსი, როდესაც პირველად გავარდა ტყვია და პირველი ქართველი და აფხაზი დაიღუპა. ამიტომ ვფიქრობ, სწორედ 14 აგვისტოა დღე ჩვენი საერთო ტკივილისა და ტრაგედიისა. დღე, როდესაც ძმამ ძმაზე ხელი აიღო, დღე, როდესაც ერთდროულად ჩაიყვანა ქართველმა და აფხაზმა ქალებმა ძაძები. სწორედ ამ დღემ მოუსწრაფა სიცოცხლე ათასობით ყმანვილ ქართველსა და აფხაზს. ამ დღემ დაუდო სათავე ქვეყნის გენოფონდის განადგურებას... ამ დღეს შეველიეთ ჩვენს აფაზეთსა და აფხაზებს... ამ დღეს ჩაინგრა ხიდი ენგურზე და დღემდე ვერაზინ აღადგინა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა დღესაც მზადაა ლომის წვლილი შეიტანოს სამართლიანობისა, კანონიერების აღდგენაში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

„დარიგებები შთამომავლობას“

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება-დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთსწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრყველა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეუძლება, ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმობ, საცა მართო ერთგვარი გუნდია ცოდვილი. აი, საფრთხე სწორედ აქ არის. აი, აქედამ მოველით იმ მტვერ-ბუქსა, იმ კუდიან ქარსა, რომლის აყენებას არ მოერიდება იგი ერთგვარი გუნდი, რომ კაცს თვალები დაახუჭვინოს, თვალები აუბას“. „ქართველმა თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაგ. ამიტომაც, ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა; სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვდრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი-აქ, ჩვენში პპოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და სინიღისის თავისუფლებას“.

„ენა, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედავლად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზემოქმედება, მისი წარმატება და მისი კეთილმდგომარეობისათვის სარგოიანი მოღვაწეობა“.

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თვის მწეობით და გონებით აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდეგი, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული-ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერთვის, -მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს“.

„ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, ემორეს მხრით-რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უუარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლიებინა ჩვენს ისტორიას“.

„გვეყო ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავალის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“.

„ერთხელ და უკანასკნელ საცოდნელად საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრივ და ყოვლისფრით სულ სხვაა. იმის ცხოვრებას, მოქალაქურს თუ ეკონომიურს, თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, თომელსაც შეუდგდება მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდგდოს მისი მომავალი. ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად და ეკონომიურად. ეს წესნი ისე გამჭდარია ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტკიცესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა ზემოქმედება

ისეთი ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგანაც უნიადაგოა და ფეხმოუკიდებელი; მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჰაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, ისე არ იხეირებს არარა ფიქრი, არარა მეცადინეობა, არარა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი დედა არა აქვს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ“. აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა, თუ სიცილსა, განყრას, თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა“.

„უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიკურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ“.

„ყველამ ერთად და თვითთულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძიებდეს მართლ მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“. ნუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰტეოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. ნავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისა და მართლ იმისი“.

„გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი – პოლიტიკისათვისაო“.

„სხვადასხვაობა სარწმუნოებისა სრულიად არაფერს უშლის ერთობას და ძლიერებას სახელმწიფოსას“.

„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გაუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა, – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვითანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ველარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“.

„ჯაკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავის ქერქშია, – რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება... სულ სხვაა უჯკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელი აქვს აშლილი. ...რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუშლის!...“

„... ძალ-ღონე ყოვლის ერისა უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნულის, მამულიშვილურის გრძნობის განვითარება-გაღონიერებაზე. სადაც ეს ცენტრალური გრძნობა სუსტია, იქ ხალხიც უძლურია. განცალკევება საქართველოს კუთხეებისა კი ნამდვილი შხამი იყო ჩვენი ერისათვის, ერთობა კი-უებარი წამალი“.

„არცერთი სიტყვა სახელისათვის, ყოველი სტრიქონი ქვეყნის სიკეთისა და ქართველთა გაუკეთესოებისათვის. აი, პრინციპი, რომელიც უნდა თვალწინ ედგას ჩვენში ყველას, ვინც კი საზოგადოებას ემსახურება თავისი კალმით“.

„ღრმად მორწმუნე კაცი არასოდეს არ ყოფილა სულმდაბალი, ეგოისტი და ვერც იქნება. იგი ახორციელებს თავის ცხოვრებაში მაღალს სწავლას სახარებისას და ჰფენს სიტბოს, სიკეთეს თავისს გარშემო. წინააღმდეგ ამისა, თვით პირველი მსწავლული, სარწმუნოებას მოკლებული, შეიძლება იყოს სულმდაბალი, არამზადა, მონა თავისი სიამოვნებისა, მაგნე მოყვასისა. სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგან, დროებით ფორმებს ეკლესიისას და ივინყებს შინაგანს მხარეს, ცხოველმყოფელს ზნეობრივს პრინციპებს, დედააზრებს სახარებისას“.

„ჩვენი საქართველო: ეს არის ჩონგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვა... თვითეულს ამათგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოთ თავის-თავად არც ერთს არ აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ, და შეთანხმებით კი გაკეთილ-ხმოვანდებიან“.

„ჯერ არსად, არცერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამალღებულის სხვისი დახმარებით, თუ არა თავისი საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენადენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადოებას. კაცისათვის და ქვეყნისათვის მართლ ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავის საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია... ნაპოვნი და ნაწყალობევი კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნი იყო...“ ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი; თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენადენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება...”

„რასაც პეტრე პირველმა-გენიოსმა-რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, რაც ჩვენში ერმოლოვმა-დიდმა და ჭკუიანმა ერმოლოვმა-ვერ მოახერხა, ის რუსებს ეკატერინემ და ქართველებს ვორონცოვმა ალერსით თუ ოსტატობით შეაპარა. შეაპარა ბრმა, მაიმუნური გარეგანი წაბადვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრების“.

„ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცემს, ქართველს ვერაკაცი ვერ გაარუსებს... როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანკუსზავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს, ან ქართველმა რუსსავით გეყმოს, მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ“.

„თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალური მხრით-სამრთლიანად ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით - მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით.“

„...მართლ ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მართლ ჩვენს ძალას მივყნდეთ, მართლ ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ, მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“. დროა, ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, სიზმრის თვალთმაქცობისაგან თავი ვიხსნათ, იმის გარჩევა ვისწავლოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია“.

„ქვეყნის პოლიტიკას-როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს-ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს (აგერ, ბატონო, ქართული გეოპოლიტიკური ტრადიციის სათავე-კონსტანტინე ვეკუა). პოლიტიკა ახალ მოდური „შლიაპკა“ კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით-რუსეთი, ბევრიც რომ ვიანრიდოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს. ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდათ? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა, საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ?... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს...“

„ელაპარაკეთ რომელიც გნებავთ ღარიბს და უმტკიცეთ მას, თუნდაც ერთი წელიწადი, რომ იმისი ფარღალა ქოხი ვერ გაუძლებს ვერც არქიტექტორულ და ვერც ჰიგიენურ კრიტიკას. ვერავითარი არგუმენტით ვერ დაუმტკიცებთ მას, რომ უმჯობესია მიატოვოს ქოხი და იცხოვროს ღია ცის ქვეშ. მაგრამ აუხსენით ამ ლატაკს, რომ იმ მასალებიდან, რომლებიც მას გააჩნია, შესაძლებელია ახალი ქოხის აგება, დაუმტკიცეთ მას, რომ ეს შესაძლებელია და სასარგებლოა, ასწავლეთ მას, როგორ ააგოს და რა აკეთოს და იმ წუთშივე გაგიგებთ. მაგრამ ის მაშინაც არ დაანგრევს თავის ქოხს, თუ სულელი არაა... ის ჯერ ააგებს ახალ სახლს, ხოლო შემდეგ კი, თუ მისი ქოხი არ გამოადგა ბოსლად, ან ძველმანთან შესანახ საკუჭნაოდ, დაანგრევს მას და მთელი თვის განმავლობაში გამოიყენებს ახალი სახლის გასათბობ შეშად. ეს ტრივიალური მაგალითი შეადგენს დამოუკლებელი ყველა საზოგადოებრივ გარდაქმნათა ფილოსოფიას“

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. „კავკასიის რეგიონის (პოლიტიკური) კონტინენტის, შემდგომ მსოფლიოს ეროვნულ სახელმწიფოთა ალიანსის შექმნის რისკების და მათი დაძლევის შესახებ“. გიორგი წიფნივაძე; მალხაზ მუსერიძე; რატი გაგოშიძე -- გვ. 1-20 (20);
2. ლექსი „ხალხური!“, „ბინდისფერია სოფელი“; პორტრეტი“; მერაბ კოსტავა; „თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა“; „ჩვენი ფოსტალიონი“ - ნოდარ კიკნაძე -- გვ. 21-28 (8);
3. „საქართველოს რესპუბლიკის კანონი ლუსტრაციის შესახებ“ - მარი დემეტრაძე -- გვ. 29-36 (8);
4. მასალები რუბრიკისათვის: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად...“, (წმინდა ილია მართალი) - გოგი მაისურაძე -- გვ. 37-40;
5. „ჯანდაცვა და სახელმწიფო მმართველობა უძველეს ცივილიზაციებში: ეგვიპტე, მესოპოტამია და ჩინეთი“; „სამწუხაროდ საქართველოში“ - თამარ რაზმაძე -- გვ. 41-44 (4);
6. „ჩემი სულიერი მისია“; გრიგოლ რობაქიძე - „საქართველოს სათავენი“ - თორნიკე დარახველიძე -- გვ. 45-60 (16);
7. „საბრალო დევნილის ჩანაწერები სასწრაფო სარეცლიდან“ - სერგი (გიორგი) საჯაია -- გვ. 61-72 (8);
8. „იბერიელთა აქტი გონიური“ - ფირუზ დიაკონიძე -- გვ. 73-88 (16);
9. „ორგანული კანონი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს შესახებ“ - თამაზ ხუციშვილი, ტარიელ ყირიმლიშვილი -- გვ. 89-92 (4);
10. „ზვიად გამსახურდია და მისი (საქართველოს რესპუბლიკის) პოლიტიკური სამართალმემკვიდრეობა. საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი“ - მალხაზ მუსერიძე - გვ. 93-96 (4);
11. დარიგებები შთამომავლობას -- გვ. 97-99 (3);
12. სარჩევი - გვ. 100 (1).

წ ი ნ ა ნ ო მ რ ე ბ ი ს ს ა რ ჩ ე ვ ე ბ ი: (დასაწყისი)

„მათიანე“ - 2014_1-2(7-8)

ზ. გამსახურდია - მოკლე ბიოგრაფია	გვ. 2-3
26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა	გვ. 4-5
ზ. გამსახურდიას საინაგურაციო სიტყვა	გვ. 6-7
როგორ ამხელდნენ მტრებს ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა	გვ. 8
საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული	
აღორძინების მეორე ყრილობა	გვ. 9
ს.პ.კ.-ე.ა. - მოკლე ისტორიული მიმოხილვა	გვ. 10-15
ს.პ.კ.-ე.ა. - ს თავმჯდომარეები 1989 წლიდან დღემდე(2014წ.)	გვ. 16
საქ. რესპ. დევნილი, ემოგრაციული მთავრობისა და ს.პ.კ.-ე.ა.- ს	
ერთობლივი განცხადება-მიმართვა	გვ.17-20
საქ. რესპ. დევნილი, ემოგრაციული მთავრობისა და ს.პ.კ.-ე.ა.- ს	
ერთობლივი დადგენილება	გვ. 21-27
მ. კოსტავა: „ძმას ქრისტესმიერს“	გვ. 28.

„მათიანე“ - 2014_3-4(9-10)

ზ. გამსახურდია - „გაფრთხილება“	გვ. 2
ბ. გუგუშვილი: 1991 წ. 22 დეკემბერთან დაკავშირებით	გვ. 3-4
ბ. გუგუშვილი: „ვარსკვლავური საათი“	გვ. 5
ი. ღუდუშაური,	
თ. ხუციშვილი,	
კ. ტონია,	
მ. ცქიფურიშვილი. წერილები	გვ. 6-9
ს.პ.კ.-ე.ა. - 25 წლისაა	გვ. 10
ს.პ.კ.-ე.ა. - უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ	გვ. 11
ნ. კიკნაძე - მიძღვნა ნ. ბაღდავაძისადმი	გვ. 12
ნ. ბაღდავაძე: „Selfe or Carpe Diem“	გვ. 14
ნ. ბაღდავაძე: „ზ. გამსახურდიას სულიერი მისია“	გვ. 15-18
ზ. გამსახურდიას სიტყვა 1990 წ. 14 ნოემბერს	გვ. 19
ს.პ.კ.-ე.ა.-ს მიმართვა მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს	გვ. 20-29
მარადიული ხსოვნა(ლ. მაისურაძე, ვ. ყაველაშვილი, ხ. არეშიძე)	გვ. 30-31
ზ. გამსახურდია: ლექსი „ქრისტეშობა“	გვ. 32

„მათიანე“-2015_1-2(11-12)

ზ. გამსახურდია - „საქართველოს ყოფნა-არყოფნა“	გვ. 1-2
ვაჟა-ფშაველა: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“	გვ. 3
ი. ღუდუშაური: მიმართვა ბ. გუგუშვილს	გვ. 4-5
ნ. კიკნაძე: „ისინი გვესვრიან ტყვიებს, ჩვენ კი...“	
„მე ღარიბი ვარ, როგორც იესო...“	გვ. 6-7
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების“ წესდება	გვ. 8-18
ს.პ.კ.-ე.ა. - ს პრეზიდიუმი	გვ. 18
ნ. ბაღდავაძე: „შეშლილი დრო, თარიღები...“	გვ. 19-22
მარადიულ ნათელში(გ. ყაველაშვილი, ნ. ხოსიტაშვილი, პ. ტონია)	გვ. 23-26
ნ. ლორთქიფანიძე „იყიდება საქართველო“	გვ. 26
ილია ჭავჭავაძე: „ზოგიერთი რამ“	გვ. 27-31
ზ. გამსახურდია: „საუკუნე უახლესი“, „პოეტი და მუზა“	გვ. 32-33

„მათიანი“ - 2015_3-4(13-14)

ბ. გუგუშვილი 70 წლისაა	გვ. 2
ს. ჰ. კ.- ე. ა - ს განცხადება	გვ. 3-5
„კავკასიის ცენტრი“	გვ. 6
თორელი დ.	გვ. 11
ს. ჰ. კ.- ე. ა.-ს სხდომა	გვ.12-13
შეხვედრები ლომისის წმ. გიორგის სახ. ტაძარში	გვ. 14
მილოცვები	გვ. 15-21
ნ .კიკნაძე: „მაგრამ ვინაა აქ გამკითხველი“	გვ. 22-24
რატი გაგოშიძე: „მეტი, ვიდრე გვაქვს“	გვ. 25-26
დენიზა სუმბაძე: მიმართვა	გვ. 28-35
დავით ამირეჯიბი: „ქვეყნის გადარჩენის პირობა“	
„შარაგზის ყაჩაღები“	გვ. 36-38

„მათიანი“-2016_1-2(15-16)

ს. ჰ. კ. - ე. ა. - ს კონცეფცია	გვ. 3-13
წერილი-მიმართვა	გვ. 14-27
ნ. ბაღდავაძე: „ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხის	
სამართლებლივი გაგება	გვ. 27-36
ნ. ბაღდავაძე: „დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში“	გვ. 36-41
ზ. გამსახურდია, ამონარიდები გაზეთებიდან	გვ. 42
ნ. კიკნაძე: „ნ. ბაღდავაძე 60 წლისაა!“	გვ. 43

„მათიანი“-2016_3-4(17-18)

ზ. გამსახურდია - მიმართვა	გვ. 2
„დიდგორის რედაქცია“: მიმართვა	გვ. 3-6
„დიდგორის რედაქცია“: განცხადება	გვ. 7
ს.ჰ.კ.-ე.ა.-ს განცხადება	გვ. 8-10
ნ.კიკნაძე : „ისტორიის ნამდვილობისთვის“	გვ. 10-13
რ.გაგოშიძე: „მზერა“	გვ. 14
მალხაზ მუსერიძე: „ჩვენ მაინც ვიპოვით გზას...“	გვ. 15-16
მორის მუსერიძე: „მოგონებანი...“	გვ. 18-22
ნ.ბაღდავაძე: „ზ.გამსახურდიას შეცდომები“	
„... ერთდღად შევკრათ კავკასიური წრე“	
„მთავრობის ახალი ინიციატივა...“	
„დროა, იწამლო...“	გვ. 23-35
მარადიულ ნათელში: მ. მაჭავარიანი, ვ. მერაბიშვილი, ვ. შურღაია,	
ლ. მაისურაძე, ნ. იმნაძე, ა. კალაძე, ა. მელაძე, გ. ტეტელაშვილი,	
ნ. შანავა, ც. ქევხიშვილი, ა. რამიშვილი, ა. მარკოზია, ზ. სიხარულიძე	გვ. 36-44
ნ. ბაღდავაძე „მკითხველის წერილი“	გვ. 45
ვ.შაველა „სად არის ქრისტე და მისი სწავლა“	გვ. 46
„ასე იწყება სამშობლო“	გვ. 47

„მატიანე“-2017_1-2(19-20)

დადგენილება „საქართველოს ეროვნული გმირის“

წოდების დაწესების შესახებ

გვ. 1-2

ნ. ბაღდავაძე: „...დიპლომატიური კურიოზი“

გვ. 3-9

„აჩრდილი“

გვ. 10-11

ნ. კიკნაძე: „გმირის ვარამი“

„ჰეფი ბერსდენი“

გვ. 12-15

ნათია მუკბანიანი: „რა გითხრათ...“

გვ. 16-17

ნ. ბაღდავაძე: „ბერის სულის ძახილი“

გვ. 18-21

მღვდელი გიორგი სხილაძე-ინტერვიუ

გვ. 22-28

გ. ივანიაშვილ-ორბელიანი „მოსასზრება“

გვ. 29-33

დ. სუმბაძე - „ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის შესახებ“

გვ. 34-49

ნ. ბაღდავაძე: „მხედრულის მთავრული“

გვ. 50-53

მოსაგონარი

გვ. 54-55

ზ. გამსახურდია - იგაგები

გვ. 56-57

„მატიანე“-2017_3-4(21-22)

„22 დეკემბერი“

გვ.1

ზ. გამსახურდია: „ეროვნება არა აქვს ცხოველს“

„გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“

გვ. 2-17

„დიდგორი“: „დიდი სჯულის კანონი ამხელს“

გვ. 18-24

ზ. გამსახურდია: დეპეშა პატრიარქს, „მახვილი მხილებისა“

„მთვარის ნიშნობა“, იგაგები გვ. 25-33

მეათე ყრილობის მასალებიდან

გვ. 35-41

შორენა ხუხუას წიგნი „შემოვალ ეტლით“

გვ. 42-43

მარად მოსაგონარნი: გიორგი ზარზმელი, პეტრე ტონია,

თემურ ქორიძე

გვ. 44-46

ბახტანგ ბახტაძე: „მერაბ კოსტავა“

გვ. 47-60

ოლღა დემურია-კოსტავა. წერილი

გვ. 61

მატიანე-2018_1-2(23-24)

ზ. გამსახურდიას სიტყვა 1989 წ. 26 მაისს

რეზოლუცია საქ. რესპუბლიკის, მისი მთავრობისა და

მოქალაქეობის სტატუსის შესახებ

ზ. გამსახურდიას წერილი ლ. მაისურაძის ოჯახს

ზ. გამსახურდია: „დილემა კაცობრიობის შესახებ“

ნ. ბაღდავაძე: „იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მითები; მითოლოგია და

რელიგია. ქართული მითოლოგია“

გ. სხილაძე - ინტერვიუს გაგრძელება

ნ. კიკნაძე - შეხვედრა ჯ. დუდაევთან

ვაჟა კაკაბაძე - „მცირე ქვეყნების რაციონალური ადგილი პოლიტიკაში“

მარად მოსაგონარნი - გ. მაისაშვილი

გვ. 1-9

გვ. 10

გვ. 11-18

გვ. 19-44

გვ. 45-53

გვ. 54

გვ. 55-59

გვ. 60-61

„მატიანე“-2018_3-4(25-26)


ს.პ.კ.-ე.ა.-ს მიმართვა ქართველ ერს	გვ. 1-3
„ჩვენ მაინც ვიპოვით გზას ...“	გვ. 4
საგანგებო სხდომის ოქმის ამონაწერი	გვ. 5-7
მ. „კოსტავა: „ის, ვინც სიცოცხლეს მსხვერპლად იღებს ...“	გვ. 8-9
ზ. გამსახურდია: „საქართველოს გაეროს წევრად მიღების გამო“	გვ. 10-11
ზ. გამსახურდიას წერილი ჯეიმს ბეიკერს	გვ. 12-14
ნ. ბაღდავაძე „ქართული არმია გენერალ მუხრან ბატონის მეთაურობით	გვ. 15-20
ნ. კიკნაძე: მოგონებები ლ.მაისურაძის შესახებ	გვ. 23-25
ნ. კიკნაძე: „ოვერტონის ფანჯარა“ და „დახურული დარბაზი“	გვ. 26-28
ბ. კაკაბაძე: „აფხაზეთი. თავისუფალი ეკოლოგიური ზონა ...“	გვ. 30-36
ვ. ნადირაშვილი: გვახსოვდეს ვისი გვარისანი ვართ	გვ. 37-40
ნინო რაზმაძე: წერილები	გვ. 41-46
ნ. ბაღდავაძე: სწავლებანი	გვ. 47-60

„მატიანე“-2019_1-2(27-28)

31 მარტი - ზ. გამსახურდია	გვ. 1-3
26 მაისი - მ.კოსტავა	გვ. 4-6
31 მარტი - ზ. გამსახურდია	გვ. 7
ზურაბ გურული: ს.პ.კ.-ე.ა.- ს ღონისძიების მონაწილეებს	გვ. 9-10
ვ.ბახტაძე: „ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის“	გვ. 11-15
თამარ გომართელი	გვ. 17-18
დ. კაპანაძე	გვ. 19-22
რ.გაგოშიძე: „ჩემს თანამოაზრეებს“	გვ.23-24
თ. რაზმაძე: „კიბერბულინგი“	გვ. 25-32
ვ.კაკაბაძე: „სახალხო დიპლომატია“	გვ. 33-41
ზ. კორტანელი: იგავები, წერილები	გვ. 42-51
ინტერვიუ მოძღვართან- მღვდელი ვახტანგ მარგიანი	გვ.52-58
ქრისტეს აღდგომა და მისი ნაყოფი ხსნიისა	გვ. 59-60

„მატიანე“-2019_3-4(29-30)

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“	გვ.1-5
30 წლისაა!	გვ. 7
ნ. კიკნაძე: საიუბილეო მისალმება	გვ. 8
მუხრან მაჭავარიანის წერილი ვაჟს	გვ.9-10
ბ. გუგუშვილი, ნ. კიკნაძე, ნ. ბაღდავაძე: „წინაპართა ძახილი“	გვ.11-27
ნ. ბაღდავაძე: მონოგრაფია	გვ. 28-40
მ. მუსერიძე, დ.სუმბაძე, ნ. ბაღდავაძე: წერილი - მიმართვა	გვ. 41
ს.პ.კ.-ე.ა. - ს საპატიო წევრის სტატუსის მინიჭება	გვ. 42
მარადიული ხსოვნა	გვ. 43-44
მორის მუსერიძეს 85 წელი შეუსრულდებოდა	გვ. 45-49
ინტერვიუ ი. ღუდუშაურთან	გვ. 50-52
ინტერვიუ ზ. ლიპარტელიანთან	გვ. 53-56
ვ. კაკაბაძე: „აფხაზეთი - რეალობა და სიცრუე“	გვ. 57-58
ნარგული ფირცხალაიშვილი: „საქართველოს ხსნის გასაღები...“	გვ. 59-60
ლუარა სვანაძე: „ტკივილი, რომელიც სიკვდილზე მეტია“	გვ. 61-68
გიორგი წიფწივაძე: საქართველოს უახლესი გამოწვევები	გვ. 69-70
ქეთევან ქურდოვანიძე: „შეხვედრა წარსულთან“	გვ. 71-72
ზვიადი თარგმნიდა გალაკტიონს	გვ. 77
რეტი სულაძე: „გრაკლიანის არტეფაქტი“	გვ. 78
ზაზა კორტანელი ნოველები	



ტერენტი გრანელს

ეს დედამიწა აკრთობდა გრანელს,
როცა ოცნებით ცაში ვიდოდა,
იმ ცეცხლის ალით თვით დაიგრაგნა,
ვიდრემდე სამზღვარს გარდავიდოდა.
ბოლოს იფიქრა სასომიხდილმან;
არ განიყოფის მთლიანი ორად,
არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
რადგან ორთავეს მიიჩნევ სწორად.
დიახ, მათ შორის მესამეც ჰგია,
ორთავ საწყისის მაერთებელი,
თუ ზეცა გწყურის და მიწა გშია,
თუ შენი თავის ხარ განმგებელი,
სინდისის შენის წინაშე წარსდექ,
იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღსდექ!
დიახ, ის მუდამ ემახსოვრებათ,
მისი ლექსები და მისი ბოლო,
თუმც ვერ იცხოვრა მიწის ცხოვრებით,
ეს მესამე გზა ინატრა მხოლოდ.

მერაბ კოსტავა

ვეფხისტყაოსნის სიმფონია

მულღაზანზარულ მუზარადთა ზმათ და ზარებათ,
ზეიდალთაებრ მზე-ზარნიშით მბზინვარე ზღვათა,
ზედგამზრახველთა არგამწირავთ მუქაფის ზღვადა,
ზეგარდმო ქნარნი მუნ ამკობენ სეშთა ზარებად.

გაჭრად იჭურვის ჭარმაგოსან ჭაბუკთა ჭმუნვა,
სული სათთა და სპეტ-სოსანთა იფრქვევა ნაზი,
ბროლის კუბონი, ბროლ-ბაკმათნი მზეობენ მუნვე,
გიშრის ტბათაგან ლალს მოადენს მუტრიბთა საზი,

ბივრილ-სათთაგან და ელვარე საფირონთაგან
მუნ კიანთობენ ლალ სტრიქონთა სამაჯურები
ლალ-მარგალიტნი ათასგვარნი, ათასჯურები,
სცვივა მთიებთა ნაკვალევზე განარონთაგან,

მნათობთა თანადს მას უყვარდა ზიმზიმი მზეთა,
ზერგნა ბოროტი ცთომილების მას უხაროდა,
დაბნედიტ განცდა სინარნარეთ და სინაზეთა,
გულის წარტყვევნა უდილეგოთ და უხაროდა,

ლაღად მიმფრენი ტაიჭები, შევარდენები,
სიხაფე ხაფთა და მათრახით ხლეჩა ხორცისა,
მონათა ყორე გმირთა მაჯით წანახოცისა,
ბედისწერადი ნიაღვრების შავი დინება,

ვეფხური მზერის დადუნება ვეფხურ შეტევით,
ეხო მგრგვინავი უდაბნოში ატეხილ ლომთა,
სამუმის ბულში გაჩაღებულ მძვინვარე ომთა,
გაფიცება და ცას მიწვენა ცეცხლის სვეტებად,

ზეგარდმო მადლი მოავლინა ჩვენზედ ზენამან
გულს განახლება, ხოლო სმენას მოსცა სიამე,
მიუთხრობელი ვით მოგიტხროთ ბრგვნილმან ენამან,
თუ ვით დიადობს სამყაროზე მზიანი ღამე!

არ დაიმცრობის მამაცურთა მკლავთა კვეთება,
მიჯნურის სახმილს რა ძალით ძალუძს, აბა დაშრეტა,
დგას შეუღწეველ სრა-დარბაზად შემოქმედება,
ვით უბურღავი კლდე-გრეხილი ურღვევთა შრეთა.

ზვინად გამსახურდია

ISSN 1987-7986

helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; ნოდარ კიკნაძე - თავმჯდომარის მოადგილე, მთავარი რედაქტორი; რედაქტორები: მალხაზ მუსერიძე, გიორგი წივნივაძე, თორნიკე ამაშუკელი; თამუნა რაზმაძე - სარედაქციო კოლეგიის მდივანი; რობერტ მარგველანი და მანუჩარ თოფაძე - სარედაქციო წარმომადგენლები საზღვარგარეთ.